

სწრაფი და ობიექტური გამოძიება - ხელისუფლების ნდობის გარანტი

A4



თანამედროვე შემოქმედება

A6



დავაპროექტოთ და ავაშენოთ თბილისი თანამედროვე მოთხოვნილებათა მიხედვით

A7

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი · ხუთშაბათი, 1 ივნისი, 2006 წელი. №119 (1271) · ფასი 50 თეთრი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## ამბები

### სოციალური რევოლუცია გადაიდო

"სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის და მონაცემთა ბაზის ფორმირებას" ღატაკები ამაოდ ელოდნენ. პროგრამა, რომელიც დღეს უნდა ამოქმედებულიყო და რომელსაც მისი ავტორები სოციალურ რევოლუციად აფასებდნენ, ვერ შედგა.

A2

## სამართალი

### ვარაუდებზე დაყრდნობილი განაჩენი

2006 წლის 27 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მურუსიძემ ლევან მარცვალაძე დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რისთვისაც მარცვალაძეს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ხოლო 2 წელი პირობითი გამოსაცდელი ვადა.

A4

## რევიუ

### მხატვარი, რომელიც დროს უსწრებს

5 მაისის შემდეგ მთელი თვე TMS-ში ლევან ლაღიძის გამოფენა მიმდინარეობდა. უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს მხატვარი და ეს გალერეა, გარკვეულწილად, ერთიან მოვლენად აღიქმება.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 1/06 | 2/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 33 |
| ყვარელი | 36 | 33 |
| სოხუმი | 36 | 37 |
| გორი | 32 | 31 |
| ონი | 29 | 26 |
| ზუგდიდი | 41 | 41 |
| ახმეტა | 35 | 32 |
| გაგრა | 33 | 34 |
| სამტრედია | 40 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7980 |
| ევრო | 2.3124 |
| ბირთვანქა სტერლ. | 3.3779 |
| რუბლი | 0.0668 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| ტენდერი | A 8 |


# ყველაზე კეთილგანწყობილი რეზოლუცია

## ნატო ძალიან სერიოზულია საკუთარ გეგმებში, რომ კავკასიის მიმართულებით გაფართოვდეს

*"ეს არის დადგენილება, რომლის მსგავსიც საქართველოს სასარგებლოდ არასოდეს მიუღიათ," - აცხადებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნიკა რურუა, რომელიც გუშინ ჩამოვიდა პარიზიდან, სადაც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღეს. იგი "24 საათს" რეზოლუციის დეტალებსა და ნატო-სთან ურთიერთობის თვალსაზრისით საქართველოს მომავალ პერსპექტივებზე ესაუბრა.*

სოფო ბუკია

- ეს არის დადგენილება, რომლის მსგავსიც საქართველოს სასარგებლოდ არასოდეს მიუღიათ. ეს არის საეტაპო ნაბიჯი იმისათვის, რომ ჩვენ გადავიდეთ ნატო-სთან ურთიერთობის შემდეგ საფეხურზე, კერძოდ ინტენსიური დიალოგის ფაზაზე, რაც წინაპირობაა იმისა, რომ ჩვენ მალე წევრობის საკანდიდატო გეგმას, ე.წ. MAP-ს მივიღებთ.

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია პირველ რიგში აღიარებს იმ წინსვლას, რაც საქართველოში პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების სექტორში ჩატარებული რეფორმების თვალსაზრისით 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ აღინიშნება. ასამბლეა აღიარებს, რომ ალიანსის წევრობა საქართველოსთვის რეფორმების იმპლემენტაციის საუკეთესო მოტივაციაა. რაც მთავარია, დეკლარაცია ხაზს უსვამს, რომ ალიანსი ღიაა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ნატო-ს წევრი ქვეყნების ღირებულებებს იზიარებენ. ასამბლეა აღნიშნავს, რომ ალიანსის გაფართოება ევროატლანტიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მაშასადამე, მე ვარ მდიდარი

სოფიო თოდუა

*როგორც იქნა, მეც გავმდიდრდი, თანაც სრულიად მოულოდნელად. რაც მთავარია, ამიერიდან ჩემს სიმდიდრეს ეჭვქვეშ არავინ დააყენებს, რადგან მთელი ჩემი ავლადიდების გარანტად სახელმწიფო მიდგას. ეს მან დამიდგინა - ყოველთვიურად 300 კილოვატზე მეტ ელექტროენერგიას თუ ვხარჯავ, ესე იგი შეძლებული ვარ. ჩემი გამდიდრება ხომ მიხარია და მიხარია, მაგრამ გულს ეფონება, ირგვლივაც მაძღრები რომ მეგულებიან - მაგალითად, ჩემი მეზობლები. ასე რომ, ახლა თამამად შემიძლია ვთქვა: მეც თბილისის ერთი პრესტიჟული უბნის პრესტიჟულ სახლში ვცხოვრობ. არადა, იყო დრო, ჩემი ქუჩაც და ამ ქუჩაზე წამოჭიმული კორპუსიც დიდად თვალში არ მომდიოდა.*

გაგრძელება A5 გვერდზე



*კახიძეების ოჯახი და მათი საცხოვრებელი ლოტკინის მთაზე.*

# "სახალხო ბანკი" პავილიონების გახსნას იწყებს

## "სახალხო ბანკის" ქსელს კიდევ 12 ფილიალი და 11 პავილიონი შეემატება

*"სახალხო ბანკი" მოქალაქეების მომსახურების გამარტივებისა და გაიოლების მიზნით სპეციალური პავილიონების გახსნას იწყებს. გუშინ პირველი ასეთი პავილიონი ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტროსადგურ "სამედიცინო ინსტიტუტის" მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა.*



# ოპოზიცია ავტობუსგეიტს აგორებს

*ბოიკოტის პერიოდს ოპოზიცია, როგორც ჩანს, საკმაოდ "ნაყოფიერად" იყენებს და პოლიტიკურ ოპონენტებზე კომპრომატებს აგროვებს. ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტი" აპირებს, უახლოეს ხანში პროკურატურას გადასცეს მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოძიებული მასალა, რომლის მიხედვითაც, ფინანსურ მაქინაციებსა და გარიგებებში არიან დადანაშაულებულნი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის მეუღლე, დედაქალაქის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე და თბილისის ყოფილი პრემიერი, ამჟამად კი ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ბიძინა ბრეგაძე. ეს მასალები, ძირითადად, საქართველოში ჰოლანდიური და უკრაინული ავტობუსების ჩამოყვანას უკავშირდება და ვიდრე მათ პროკურატურა შეისწავლის, "დემფრონტელებმა" ჟურნალისტებს გააცნეს.*

გიორგი ასანიშვილი

ზურაბ ჩიკვილაძესა და ბიძინა ბრეგაძის მიმართ წაყენებული ბრალდებების ნუსხა საკმაოდ ვრცელია. ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე ზვიად ძიძიგური, პირველ რიგში, იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ნიდერლანდურ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ჰოლანდიური ავტობუსები, არაუადრეს, 1990 წელს უნდა ყოფილიყო გამოშვებული და მაქსიმალური გარბენი 600 ათას კილომეტრზე მეტი არ უნდა ჰქონოდათ. მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოძიებული მასალებიდან კი ირკვევა, რომ შემოყვანილი 77 ავტობუსიდან 17-ის მილაჟი 600 ათას კილომეტრს ბევრად აღემატება და მიღების მომენტში, ისინი ექსპლუატაციისთვის უვარგისი იყო.

**"რა მოტივით და რა მიზნით იქნა შესყიდული ავტობუსები, რომელთა გადაადგილებაც მგზავრების სიცოცხლისთვის საშიშია?"** - კითხულობს ზვიად ძიძიგური.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქუთაისის მერი სამართალდამცავების ვერდიქტს ელოდება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ბოლო დროს ქუთაისში ისევ ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაცია მერის მოვალეობის შემსრულებლის მორიგი ცვლილების შესახებ. უკვე შვიდი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გიგა ჩოგოვაძემ ქუთაისის პირველი პირის პოსტი ჩაიბარა. მისმა წინამორბედმა ბესიკ გულორდავამ თანამდებობაზე რვა თვე გაძლო. გულორდავამდე კი ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლად თითქმის ერთი წელი იმუშავა გია გიორგაძემ, რომელმაც ამ თანამდებობაზე ქუთაისის პირველი და უკანასკნელი არჩეული მერი ნუგზარ ფალიანი შეცვალა.

გიგა ჩოგოვაძეს ოპონენტები კომპრომატად ე.წ. "კანონიერ ქურდებთან" მეგობრობას უყენებენ. რამდენიმე დღის წინ კი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-მა საზოგადოებას აუწყა, რომ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ერთ-ერთი ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ ფოცხვერიას ძმისშვილის ქორწილის ამსახველ ვიდეოკასეტაზეა დაფიქსირებული, თუმცა ტელეკომპანიას აღნიშნული ფირი არ უჩვენებია. სიუჟეტში ითქვა, რომ "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტი მიშა მდინარაძე ამ ვიდეოკასეტის გამო თერთმეტმა პირმა გაიტაცა. ამის გამო, ეს ვიდეოკასეტა უკვე რამდენჯერმე ნახეს სამართალდამცავებმა, რომლებიც "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის გატაცების საქმეს იძიებენ. სამართალდამცავებს ჯერ ოფიციალური დასკვნა არ დაუდიათ, თუმცა, წინასწარი ინფორმაციით, ჟურნალისტის გატაცების ფაქტი არ დასტურდება. დადასტურებით კი შეიძლება ითქვას, რომ ტარიელ ფოცხვერიას ძმისშვილის ქორწილის კასეტაზე გიგა ჩოგოვაძე არც ერთ კადრში არ ფიგურირებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# არაძალისმიერი სანქციები ირანის წინააღმდეგ

## ოფიციალური თეირანი დასავლეთის გულისხმიერების მოლოდინში

ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული ვითარების გათვალისწინებით გაერო-ს უშიშროების საბჭო გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მივიდა. როგორც გავლენიანი გაზეთი "ნიუ-იორკ თაიმს"-ი იუწყება გაერო-ს დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით, აშშ მზადაა უშიშროების საბჭოს რეზოლუციიდან ის პუნქტი ამოიღოს, რაც საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენების ნებასაც იძლევა ირანის წინააღმდეგ, რათა რუსეთმა არ დაბლოკოს ეს დოკუმენტი. კონკრეტულად საქმე რეზოლუციის პროექტში გაერო-ს წესდების მე-7 თავს ეხება.

**"რუსეთის დასამშვიდებლად აშშ მზადაა მე-7 თავის მხოლოდ 41-ე მუხლს დაეყრდნოს და არა მთელ თავს"**, - წერს "ნიუ-იორკ თაიმს"-ი.

**"მართალია ჩვენ დავანაწევრეთ მთლიანი გეგმა, მაგრამ პროცესი - ირანზე ზეწოლის სახით, მაინც გაგრძელდება"**, - განაცხადა ერთ-ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის თქმით, ოფიციალური მოსკოვის წინადადებებს ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით "ექვსეული" დადებითად შეხვდა.

**"ჩვენი ინიციატივები მოლაპარაკებების მაგიდაზე იქნება განხილული. რუსეთი მომხრეა, რომ ყველა ქვეყანას ჰქონდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების გამოყენების უფლება, მხოლოდ მკაცრი საერთაშორისო კონტროლის პირობებში"**, - აღნიშნა სერგეი ივანოვმა.

ზემოაღნიშნული 41-ე მუხლის თანახმად, გაერო-ს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის ეფექტიანი ღონისძიებები, მხოლოდ შეიარაღებული ძალების გამოყენების გვერდის ავლით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უარით გასტუმრებულები

## ვინ რჩება სოციალური დახმარების გარეშე

*მას შემდეგ, რაც საქართველოში სიღატაკის დაძლევის პროგრამის ამოქმედებაზე დაწყო საუბარი, უკიდურესად გაჭირვებულ ათასობით ადამიანს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი გაუჩნდა. მაგრამ ამ დროისთვის რეალურად დახმარების იმედი ბევრ გაჭირვებულს ამოწურული აქვს. მიზეზად, არასწორად შედგენილი სიები და სოცაგენტების ტენდეციურობა სახელდება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

გიორგი დოლმაზაშვილი ყვარლის რაიონის სოფელ სანავარდოში დაიბადა. იგი რვა თვის იყო, როდესაც მამა ტრაგიკულად დაეღუპა. ბებიამ კი, დედასთან ერთად, ქუჩაში იმ მოტივით გამოაგდო, რომ შვილი აღარ ჰყავდა და არც ისინი სჭირდებოდა. გიორგი მალე დედამაც მიატოვა და თვეების ბავშვი მოხუცებულმა დიდედამ შეიფარა.

იმის გამო, რომ მათ სახლიც არ ჰქონდათ, ერთმა ღვთისნიერმა ქალმა საკუთარი ჭერი არ დაამადლათ, სადაც ღვთისა და კაცისგან ერთდროულად მიტოვებულებმა უმძიმესი წლები გაატარეს. მოგვიანებით კი, გიორგის დიდედაც გარდაეცვალა და გარდა იმისა, რომ მკაცრი ცხოვრების პირისპირ სრულიად მარტო აღმოჩნდა, მალევე გაარკვია, რომ თავშესაფრის გარეშე ქუჩაში რჩებოდა, რადგან ბინის პატრონს სახლი უნდა გაეყიდა.

**"რამდენიმე ხნის განმავლობაში, იძულებული ვიყავი ღამე ქუჩაში გამეთია. რის შემდეგაც ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემები შემექმნა. თუმცა, კვლავაც გამოჩნდნენ ღვთისნიერი ადამიანები და მიშოვეს თავშესაფარი, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობ. ეს ერთი ოთახია და შიშით ველოდები იმ დღეს, როცა მისი პატრონი განმიცხადებს - ბინა მჭირდებაო, რადგან მწარედ მახსოვს ქუჩაში გატარებული ღამეები და მაშინ მიღებული სახსრების დაავადება, რის შემდეგაც კარგა ხანს ყავარჯნებით მომიწია სიარული,"** - ყვება გიორგი დოლმაზაშვილი.

მიუხედავად ასეთი ცხოვრებისა, გიორგი იმ ადამიანთა სიაში ვერ მოხვდა, ვინც ახალ სოციალურ დახმარებას მიიღებს.

სიღნაღელი 6 შვილის დედა, მარინე მამაიაშვილი კი, რომელიც მეუღლესთან და 5 ბავშვთან ერთად, ერთ ოთახში ცხოვრობს, სოციალურ აგენტს არაობიექტურობაში ადანაშაულებს. **"როდესაც აგენტი დეკლარაციის შესავსებად მოვიდა, გაუკვირდა, ყველა ერთ ოთახში რომ ვცხოვრობდით. ავუხსენი, რომ თვეში ჩვენი შემოსავალი მხოლოდ მეუღლის 80 ლარი იყო, რომელსაც სოფლის ნახირის მოვლისთვის უხდიდნენ, ისიც ვუთხარი, რომ ზოგჯერ ამასაც ვერ ვიღებდით და შემოდგომით, როცა სოფელი მოსავალს აბინავებდა, მერე ერთბაშად გვიხდიდნენ. ყველაფერი ჩაინიშნა, თავადვე ამბობდა, ამდენი ცარიელი გრაფა როგორ დავტოვოო, არც მიწის ნაკვეთი გაგვაჩნია, არც საქონელი გვყავს და არც არანაირ დახმარებას ვიღებთ. საკვირველია, დაბალი ქულა საიდან მივიღეთ?"** - ამბობს მამაიაშვილების ოჯახის დიასახლისი.

გიორგი დოლმაზაშვილის და მამაიაშვილების მრავალსულიანი ოჯახის მსგავსად, გაჭირვებული ადამიანები კახეთში მრავლადაა და ისინიც ანალოგიურ მდგომარეობაში არიან. უმრავლესობამ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ადგილობრივი სამსახურების წინააღმდეგ საჩივრები რაიონის გამგეობებში შეიტანა. სააგენტოს ხელმძღვანელებმა კი სოფლის საკრებულოებს თანამშრომლობა იმ დროს შესთავაზეს, როდესაც სიები შედგენილი იყო. საკრებულოს თავმჯდომარეები თვლიან, რომ მათ ამ საქმესთან არანაირი კავშირი არ აქვთ და არც დაშვებული შეცდომების გამოსწორება ევალებათ. **"როგორც ჩემი კოლეგებიც ამბობენ, მათ მიერ საკმაოდ ბევრი შეცდომაა დაშვებული. დღეს კი, ამის გამოსასწორებლად ჩვენი დახმარება სურთ. ამას მოსახლეობის მხრიდან ჩვენს მიმართ სერიოზული პრეტენზიები მოჰყვება. მე ერთპიროვნულად ვერ გადავწყვეტ, რომელ ოჯახს ეკუთვნის დახმარება და რომელს არა. მით უმეტეს, რომ ამის საშუალებას კანონმდებლობა არ მაძლევს. ეს შეცდომები ჩვენი გასასწორებელი ნამდვილად არ არის. იმისათვის, რომ სურათი უფრო რეალური იყოს, ამ სამსახურის მხრიდან წამოვიდეს სოცაგენტი, მასთან ერთად სოფლის საკრებულოდან ერთ წარმომადგენელს გავაგზავნი და საეჭვოდ მიჩნეული ოჯახები გადაამოწმონ,"** - ამბობს გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ დოხნაძე, რომლის აზრსაც დანარჩენი საკრებულოების ხელმძღვანელებიც იზიარებენ.

მიუხედავად ამისა, სოცუზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელები თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ და ამბობენ, რომ ისინი კანონიერად მუშაობენ. **"მინდა გითხრათ, რომ ჩვენმა სამსახურმა კანონის მოთხოვნა ზუსტად შეასრულა - ამომწურავი და რეალური მონაცემები გავაგზავნეთ. თუმცა, ზოგიერთი ფაქტის გამო, შედეგით თავადაც გაოცებული ვარ. კერძოდ, არ ვიცი რა მოხდა გიორგი დოლმაზაშვილის შემთხვევაში. ამიტომ ასეთ ადამიანებს ჩვენ ვთავაზობთ, რომ განცხადება კიდევ ერთხელ დაწერონ, რათა შეცდომა დროულად გამოსწორდეს. დახმარებას კი მხოლოდ ის ოჯახები მიიღებენ, რომლის ზღვრული ქულა 40001 იქნება"**, - ამბობს ყვარლის სოცუზრუნველყოფის და დასაქმების განყოფილების ხელმძღვანელი ლეილა მამულაშვილი.

# ოპოზიცია ავტობუსგეიტს აგორებს

პირველი გვერდიდან

გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, ავტობუსების მძღოლთა "საკონსულტაციო მომსახურებისთვის" 40 ათასი ევროა გადახდილი. ძიძიგურს აინტერესებს, რაში დაიხარჯა ეს თანხა და რატომ იხდის ქალაქის ბიუჯეტი ფულს ასეთ "საეჭვო პროგრამებში".

**"ნუთუ, ამსტერდამელი სპეციალისტები თავის ქართველ კოლეგებზე უკეთ მოახერხებდნენ თბილისის სამარშრუტო გზების ოპტიმიზაციას?"** - მორიგ შეკითხვას სვამს ოპოზიციონერი დეპუტატი.

ზვიად ძიძიგურს ისიც აინტერესებს, სერვის-ცენტრის (მის შესაქმნელად ქართულმა მხარემ 256,5 ათასი ევრო გადაიხადა) მიერ შესყიდული სხვადასხვა დასახელების ინსტრუმენტების და ხელსაწყოების ფასი რატომ არის იმაზე გაცილებით ძვირი, ვიდრე ისინი თბილისის პრესტიჟულ მაღაზიებში ღირს.

**"ბიძინა ბრეგაძის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი უროს ფასი 100 ევროა, მაშინ, როდესაც მისი ანალოგი თბილისში 20 ლარი ღირს"**, - აცხადებს ზვიად ძიძიგური.

იგი კიდევ ერთ საინტერესო დეტალზე ამახვილებს ყურადღებას: კონტროლის პალატის აქტის მიხედვით, ჰოლანდიური ავტობუსების შესაძენად, გადახდილია არა 77, არამედ 160 ავტობუსის საფასური.



ოპოზიცია პოლიტიკურ ოპონენტებზე კომპრომატებს აგროვებს.

**"სად არის დანარჩენი 83 ავტობუსი - ჯერ კიდევ ჰოლანდიაშია, გზაშია თუ უკვე თბილისშია?"** - "არ ისვენებს" "დემოკრატიული ფრონტის" ხელმძღვანელი.

არანაკლებ დამაინტრიგებელი სიტუაცია იკვეთება უკრაინულ ავტობუსებთან დაკავშირებითაც, რომელთაგან თითოეული ქართულმა მხარემ 29 070 დოლარად შეიძინა.

**"ჩვენ დავუკავშირდით უკრაინელებს და ავტობუსების მოყიდვა შევთავაზეთ. 28 900 დოლარზე შევთანხმდით, ანუ 170 დოლარით იაფად გვაძლევდნენ, ვიდრე თბილისის მერიამ შეისყიდა,"** - მონიტორინგის ჯგუფს, დეპუტატების დავალებით, ასეთი უცნაური ექსპერიმენტიც კი ჩაუტარებია.

ამ ჯგუფმა გადაამოწმა აგრეთვე ტენდერში მონაწილე ჩინური კომპანიის განაცხადი და დაასკვნა, რომ მისი პირობები, უკრაინულთან შედარებით, აშკარად უკეთესი იყო.

**"ჩვენი შეფასებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ჩინური მხარის მიერ შემოთავაზებული ავტობუსები თბილისისთვის უფრო კომფორტული და მისაღები უნდა ყოფილიყო,"** - ამტკიცებენ ოპოზიციონერი პარლამენტარები.

ფრაქციის გუშინდელ სხდომაზე ისინი იმის გამოც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, რომ კატასტროფული მდგომარეობაა შექმნილი მიკროავტობუსებით გადაზიდვების მწარმოებელი ფირმების მიერ ბიუჯეტში შეტანილ თანხებთან დაკავშირებით. როგორც საგადასახადო სამსახურების ინფორმაციებიდან ირკვევა, ბოლო სამი წლის განმავლობაში მთელ რიგ შპს-ებს ("გენერალტრანსი", "ქარავანი", "კასპიის აუზი", "თბილტრანსსერვისი" და სხვა) ბიუჯეტში ერთი თეთრიც კი არ შეუტანიათ.

**"ასეთი ფირმების უკან ჩინოვნიკები დგანან. ამიტომაც არ ინტერესდებიან ამით შესაბამისი სამსახურები,"** - აცხადებს "დემოკრატიული ფრონტის" წევრი ბეჟან გუნავა.

როგორც აღვნიშნეთ, მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოძიებული მასალა პროკურატურას გადაეგზავნება. ძიძიგურის აზრით, თუ სამართალდამცავები ობიექტურები იქნებიან, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. **"ზურაბ ჩიკვილაძის მიმართ დადგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი, ბიძინა ბრეგაძეს კი არაერთ რთულ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა. მითუმეტეს, რომ თბილისის ყოფილ პრემიერს ძალიან ბევრ წამგებიან ხელშეკრულებაზე აქვს ხელი მოწერილი,"** - აღნიშნავს ზვიად ძიძიგური.

თუმცა, დეპუტატს მაინც ნაკლებად სჯერა, რომ მტყუან-მართალი გაირკვევა, რადგან, მისივე თქმით, **"ასეთ მასალებზე პროკურატურა, როგორც წესი, არ რეაგირებს"**. მიუხედავად ამისა, პარლამენტარი დარწმუნებულია, რომ, ადრე თუ გვიან, სამართლიანობა იზეიმებს. **"როდესაც დღევანდელი ხელისუფლება შეიცვლება, კანონდამრღვევებს აუცილებლად მოეთხოვებათ პასუხი,"** - დასძენს "დემფრონტის" თავმჯდომარე.

# სოციალური რევოლუცია გადაიდო

## ჯანმრთელობის დაზღვევა შემწეობის ნაცვლად

*გოძიაშვილის პირველ შესახვევში მცხოვრები, 90 წელს მიტანებული მარტოხელა ქალბატონი ნატო, რომელიც ქოხში ცხოვრობს და პენსიისა და სოციალური დახმარების გარდა, ქუჩა-ქუჩა ნაგროვები ბოთლებით ირჩენს თავს, დღევანდელ დღეს იმის იმედით ელოდა, რომ სახელმწიფო ღატაკად ჩათვლიდა და დაეხმარებოდა.*

თამარ ქადაგიძე

"სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის და მონაცემთა ბაზის ფორმირებას" ღატაკები ამაოდ ელოდნენ. პროგრამა, რომელიც დღეს უნდა ამოქმედებულიყო და რომელსაც მისი ავტორები სოციალურ რევოლუციად აფასებდნენ, ვერ შედგა. ღატაკების დახმარება, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის გადაიდო. თუმცა არ არის გამორიცხული, ახალ წლამდე არაფერი შეიცვალოს.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა ამოქმედდებოდა, ქვეყანაში ავტომატურად უქმდებოდა ყველა მოქმედი სოციალური დახმარება, რადგან, პროგრამის არსის თანახმად, დახმარება ისეთ ოჯახებს გაეწეოდა, რომლებიც უკიდურეს სიღატაკეში იმყოფებოდნენ და შიმშილს განიცდიდნენ. დღეს ირკვევა, რომ დახმარებები, მათ შორის, 22 ლარიანი "საოჯახო დახმარების პროგრამა" წლის ბოლომდე იმუშავებს, რაც იმას არ გამორიცხავს, რომ "სოციალურ სიახლეს" ამ წელს უნდა დავემშვიდობოთ.

ოჯახების იდენტიფიკაციისა და მონაცემთა ბაზის რეფორმის მთავარ არგუმენტად მოქმედი სოციალური დაცვის სისტემის მოუქნელობა სახელდებოდა. დახმარების გაცემა ივნისიდან უნდა დაწყებულიყო. დადგენილი იყო დახმარების ოდენობები: ერთსულიან ოჯახზე - 38 ლარი, ორსულიანზე - 55 ლარი, სამსულიანზე 70, ოთხსულიანზე - 85, ხუთსულიანი- 100, ექვსსულიანი -115, შვიდსულიანი -125, და ყოველ თითო სულზე ემატებოდა 10 ლარი. ეს თანხები დღეისთვის 250 ათასამდე მოქალაქეს უნდა მიეღო - იმ ადამიანებს, ვისი მატერიალური მდგომარეობაც სოციალურმა აგენტებმა 40 ათას ქულაზე ნაკლებად შეაფასეს.

თუმცა, როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა გუშინ განაცხადა, უპოვართა შესახებ მონაცემთა სრული ბაზა ჯერ კიდევ არ არსებობს, რის გამოც ივნისში დაგეგმილი დახმარების გაცემა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. **"მიუხედავად დასაქმების სააგენტოს მიერ ჩატარებული დიდი სამუშაოებისა, მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით კი უკიდურესად გაჭირვებული ფენა, ჯერ კიდევ არ არის ინფორმირებული პროგრამის შესახებ"**, - აღნიშნა მან.

აქამდე სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ამბობდნენ, რომ ბაზის შევსება პერმანენტულად მოხდებოდა. ამდენად, ის, ვინც 1 ივნისიდან ვერ მიიღებდა დახმარებას, "სოციალურ ფერხულში" შემდეგ ეტაპზე ჩაერთვებოდა.

ფონდის ხელმძღვანელი ლევან ფერაძე აცხადებს, რომ შეფასება სოციალური პროგრამების შეწყვეტის შესახებ მცდარია. მისი თქმით, ჯანდაცვა მსოფლიოში ყველაზე დიდი სოციალური ბენეფიტია, ამდენად, მთავრობამ გადაწყვიტა, რომ "სოციალური რევოლუცია" ეტაპობრივად, ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებით დაიწყოს. **"თუ ადამიანი უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო მომსახურებით, ითვლება, რომ ის ადამიანი ადამიანია. ივნისის თვიდან ამუშავდება ჯანდაცვის პაკეტი, რომელიც რევოლუციური და უპრეცედენტოა. ჩვენ მიერ შექმნილი, მოსახლეობის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ამ დახმარებას დაახლოებით 700 ათასი ადამიანი, ანუ 220-230 ათასი ოჯახი მიიღებს. ჯანდაცვის პაკეტში შედის ამ ხალხის გადაუდებელი (ურგენტული) სამედიცინო დახმარება, პირველად ფინანსდება ყველაზე პრობლემატური გეგმიური ოპერაციები, ამუშავდება ოჯახის ექიმის ინსტიტუტი. ექიმი ვალდებული იქნება ჩვენი ბენეფიციარები თვეში ორჯერ სახლში მოინახულოს. ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევები: ელექტროკარდიოგრამა, ექოსკოპია და ა.შ. ამიერიდან, ეს ადამიანები ვეღარ იტყვიან, ოპერაცია მჭირდება და ვერ ვიკეთებო"**, -აღნიშნა ლევან ფერაძემ. სამედიცინო პოლისი მხოლოდ იმ ადამიანებმა მოიპოვეს, რომელთაც 140 ათასზე ნაკლები სარეიტინგო ქულა დაუგროვდათ.

სოციალური დახმარების სრული პაკეტის ამოქმედების გადადების მიზეზად ფონდის ხელმძღვანელი შემდეგ არგუმენტებს ასახელებს: **"მას მერე, რაც გაირკვა, რომ ფონდის მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზას ელექტროენერგიის სუბსიდირებისთვის გამოიყენებდნენ, ბაზაში უამრავი ახალი განცხადება შემოვიდა. საშუალოდ კვირაში 1000-1200 განაცხადი შემოდიოდა. ამ ინფორმაციის გავრცელების მერე, ერთ კვირაში 5 ათასი განცხადება შემოვიდა. აღმოჩნდა, რომ ამ დახმარების მიღმა რეალურად რჩებოდნენ ის ადამიანები, ვინც ამ პროგრამისთვის პრიორიტეტულია. ამდენად, გადაწყდა, რომ განცხადებების მიღება მიმდინარე წლის 15 ივლისამდე გაგრძელდება,"** - აცხადებს ლევან ფერაძე და უარყოფს კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს სოციალური დახმარების გაცემა შემოდგომაზე ჩასატარებელი არჩევნებისათვის თანხების "გადასროლისათვის" გადაიდო. **"ამ პროგრამისთვის გათვალსწინებული თანხა, 52 მილიონი ლარი, ხელუხლებელია"**, - აცხადებს ფერაძე. მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად, ამ თანხას 13 მილიონი ლარი ჩამოეჭრა დევნილებისთვის "საოჯახო დახმარების" გასაცემად. სახელმწიფო ბიუჯეტში ჩადებულ "ჯანდაცვის პროგრამის" 16 მილიონ ლარს კი, ლევან ფერაძის თქმით, არანაირი კავშირი არ აქვს ზემოთ ნახსენებ 52 მილიონთან.

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ დავით კიკალიშვილს. გადაცემის თემაა მზრუნველობამოკლებული და ინვალიდი ბავშვები, ხოლო სტუმრები არიან სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები მერი მაღლაფერიძე და განათლების სამინისტროს წარმომადგენელი თამთა გულორდავა.*

**დათო კიკალიშვილი:** ქალბატონო მერი, მე როგორც ვიცი თქვენ გუშინ ჩამოხვედით სამეგრელოდან, სადაც ბავშვთა სახლი მოინახულეთ. საინტერესოა ამ კონკრეტულ მაგალითზე, რა პრობლემებია იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომლებიც მშობლების მზრუნველობას არიან მოკლებულები და სპეციალიზებულ სახლში არიან მოთავსებულები?

**მერი მაღლაფერიძე:** პრობლემები სხვადასხვანაირია. ზოგადი მდგომარეობა მძიმეა, განსაკუთრებით იმ სახლებში, სადაც უნარშეზღუდული ბავშვები არიან. ანუ ვგულისხმობ სისუფთავესა და კვებას.

**დ.კ.** კონკრეტულად, მე როგორც ვიცი, სენაკში მდებარე ბავშვთა სახლში იყავით, რომელთან დაკავშირებითაც, გასულ კვირას, საკმაოდ სკანდალური რეპორტაჟიც გაკეთა. თქვენ მაინც რომელ მწვავე პრობლემას გამოყოფდით ?

**მ.მ** დანახული პრობლემებით ვერ გამოვყოფ სენაკის ბავშთა სახლს , რადგან კასპის ბავშვთა სახლშიც მსგავსი მდგომარეობაა. სენაკის ბავშთა სახლი იმდენად ყურადღების ცენტრში მოექცა, რომ იქ სრული წესრიგია, რადგან ყოველდღე ახალ სტუმარს ელოდებიან. ამით ის მტკიცდება, რომ მონიტორინგი ბავშთა სახლებისთვის ძალიან კარგია. რაც შეეხება ატეხილ აჟიოტაჟს, მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან ეს საქმე შესწავლის პროცესშია. მე ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების ჯგუფთან ერთად ვიყავი და მათ ჯერ, დასკვნა არ დაუწერიათ.

**დ.კ.** მსმენელს შევახსენებ, რომ საუბარია ჯერ დაუდასტურებელ ფაქტებზე, ანუ იქ ერთ-ერთმა მომვლელმა განაცხადა, რომ ბავშვებს შორის სექსუალური ძალადობის აქტები იყო, თუმცა ეს ჯერჯერობით არ მტკიცდება. თამთასთან მექნება შეკითხვა: თუ გაქვთ ინფორმაცია, რამდენია ბავშვთა ასეთი სპეციალიზირებული დაწესებულება?

**თ.გ.** ასეთი დაწესებულებები ძალიან მრავალფეროვანია, თუმცა თითოეულ მათგანს აერთიანებს ერთი პრობლემა, ეს არის სოციალურად დაუცველობა. ფიზიკურად არ შეიძლება, რომ ბავშვთა სახლში ბავშვი გაიზარდოს ისე, რომ მას გარკვეული კომპლექსები და ფსიქოლოგიური ჩამორჩენა არ ჰქონდეს.

**დ.კ.** მოდით ვილაპარაკოთ იმ ბავშვებზე, რომელიც გადარჩა ინსტიტუციებში მოხვედრას,ანუ მარტივად ვიტყვი, როცა ვაძლევთ ოჯახს გარკვეულ თანხას და ვცდილობთ, რომ ეს ბავში მათთან აღიზარდოს. მაინტერესებს რამდენად სწორად მიმდინარეობს ოჯახები შერჩევა?

**თ.გ.** უმრავლეს შემთხვევაში რეინტრეგაცია , ანუ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება არის ძალიან ხშირი. თუმცა შვილობის ინსტიტუტი საქართველოში კარგად განვითარდა, რომელიც სხვა ქვეყნებში არ არის განვითარებული. ჩვენ ისეთი ტრადიციები გვაქვს, რომ ბავშვზე ზრუნვა ნორმალურად ითვლება და თან დიდ ანაზღაურებას არ ითხოვენ.

**დ.კ.** თუ შეიძლება გვითხარით რამდენია მათი ანაზღაურება?

**თ.გ.** ყოველთვიური გადასახადი არის 125 ლარი. იმის გამო, რომ ვცდილობთ კარგად გავაკეთოდ ეს საქმე, არ გვყავს ბევრი ოჯახი.






*მოკლედ*

### მეგობარი ქვეყნების ელჩები ცხინვალს ეწვევიან

1 ივნისს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ელჩებთან ერთად ცხინვალის რეგიონს ეწვევა.

ცხინვალში ვოლსკი და მეგობარი ქვეყნების ელჩები სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდებიან.

როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ "მედიანიუსს" უთხრა, ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი რეგიონში არსებული მდგომარეობის შესწავლა და კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტების გაცნობაა. "მიუხედავად იმისა, რომ დღეს ცხინვალის რეგიონში დაძაბული მდგომარეობაა, სამშვიდობო პროცესს და რეგიონის ეკონომიკურ რეაბილიტაციას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს. ჩვენი ვიზიტი სწორედ ამას ემსახურება", - დასძინა ვოლსკიმ.

გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყნებში შედიან გერმანია, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი.

*მედიანიუსი*

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ყველაზე კეთილგანწყობილი რეზოლუცია

პირველი გვერდიდან

საქართველოს მიღწევები ნატო-სთან ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში წარმატებულად შეფასდა. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა მიიჩნევს, რომ საქართველოს სურვილი, გახდეს წევრობის სამოქმედო გეგმის ნაწილი, რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდეს.

ასამბლეა აღიარებს, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება აფხაზეთსა და ოსეთში კონფლიქტების მოგვარებას დააჩქარებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რუსეთი ვალდებულია, ამ კონფლიქტების მოგვარებაში უფრო პოზიტიური როლი ითამაშოს, ვიდრე აქამდე თამაშობდა. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ნატო-ს წევრ ქვეყნებსა და მთავრობებს, პოზიტიურად გადაწყვიტონ საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების საკითხი, აღმოუჩინონ საქართველოს ტექნიკური დახმარება გაყინული კონფლიქტების რაც შეიძლება მალე გადაჭრაში. რაც ყველაზე მთავარია, რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ინტენსიური დიალოგი საქართველომ უნდა მიიღოს არაუგვიანეს 2006 წლის ზაფხულისა.

**- მანამდე თქვენ აღნიშნავდით, რომ რამდენიმე ევროპული ქვეყანა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მოხარული არ იყო. ეს არც ნატო-ს პარტნიორ ქვეყანას - რუსეთს სურს. მიუხედავად ყველაფრისა, რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული. როგორ მოახერხა ქართულმა მხარემ ამის მიღწევა?**

- წინააღმდეგობები მართლაც იყო. რამდენიმე ქვეყანამ ერთგვარი სკეპტიციზმი გამოთქვა საქართველოს მიმართ ასეთი კეთილგანწყობილი რეზოლუციის მიღების გამო, მაგრამ ასეთი ქვეყნები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ამ ქვეყნების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ამგვარი რეზოლუციის მიღწევა საქართველოსთვის ადვილი არ იყო, მაგრამ ჩვენი მეგობრების დახმარებით ბევრი ვიმუშავეთ. კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო, რომ ამგვარი კეთილგანწყობილი რეზოლუცია საქართველოს არ ახსოვს.

ეს ჩვენი საპარლამენტო დელეგაციის მართლაც დიდი მიღწევაა და, რა თქმა უნდა, ამ დადგენილების მიღებაში განსაკუთრებული როლი საქართველოს პრეზიდენტმა, ასამბლეის სხდომაზე მისმა გამოსვლამ შეასრულა. საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების გამოსვლის შემდეგ დარბაზი ფეხზე ადგა და მქუხარე ტაში დაუკრა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. ეს იმას მიანიშნებს, რომ ნატო ძალიან სერიოზულია საკუთარ გეგმებში, რომ კავკასიის მიმართულებით გაფართოვდეს.

**- კონკრეტულად როდის გადავა საქართველო ინტენსიური დიალოგის ეტაპზე და რას ველოდებით ოქტომბერში, რიგაში დაგეგმილი ნატო-ს სამიტისგან?**

- რიგაში იქნება ტრანსფორმაციის შესახებ სამიტი, ეს არ იქნება გაფართოების შესახებ სამიტი, ანუ რიგის სამიტზე ნატო-ს გაფართოება არ მოხდება. თუმცა, საერთაშორისო მდგომარეობა ხშირად იცვლება და თანაც ძალიან მოკლე ვადებში. ამდენად ძნელია ზუსტი პროგნოზირება იმისა, თუ რა მოხდება რიგაში. რაც შეეხება ინტენსიურ დიალოგს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მას რიგის სამიტამდე მივიღებთ. რიგაში საქართველო ძალიან პოზიტიურად იქნება წარმოდგენილი და იქნება უკვე ურთიერთობის სხვა საფეხურზე - ინტენსიური დიალოგის ფაზაში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის დიდი იმედი გვაქვს.



ამგვარი რეზოლუციის მიღწევა საქართველოსთვის ადვილი არ იყო, მაგრამ ჩვენი მეგობრების დახმარებით ბევრი ვიმუშავეთ.

**- იყო საუბარი იმაზეც, რომ საქართველოს შესახებ მსგავსი შინაარსის რეზოლუცია ნატო-ს მანამდე უნდა მიეღო, მაგრამ ამას რუსეთმა შეუშალა ხელი...**

- ეს რეზოლუცია მანამდე ვერ იქნებოდა მიღებული, რადგან ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა წელიწადში მხოლოდ ორჯერ იკრიბება და ტექნიკურად, პროცედურულად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. რაც შეეხება რუსეთს, ის მართლაც ძალიან აქტიურობს საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთი ხელს უშლიდა ამ რეზოლუციის მიღებას ახლაც, პარიზშიც, მაგრამ ის უმცირესობაში აღმოჩნდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, რუსეთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა და იგი არ უნდა დარჩეს იზოლირებული. ამდენად, ნატო-ს წევრი ქვეყნები ცდილობენ, რუსეთი დიალოგზე დაიყოლიონ და გაარკვიონ ის უთანხმოებები, რაც არსებობს. ჯერჯერობით რუსეთის პოზიცია აბსოლუტურად კატეგორიულია. ნატო-ს გაფართოებას იგი შეცდომად მიიჩნევს; ეწინააღმდეგება ენერგეტიკის ალტერნატიული წყაროების განვითარებას, რაც ცენტრალური აზიიდან და კასპიის რესურსებიდან ევროპის ბაზრებზე ენერგეტიკული მატარებლების ინფრასტრუქტურის განვითარებას გულისხმობს... მაგრამ მონოპოლისტად რუსეთს არავინ აქცევს. მსოფლიოში მწიფდება შეხედულება, რომ საჭიროა რუსეთის მიმართ მიდგომა უფრო პრინციპული და თანმიმდევრული გახდეს. დღესდღეობით ჩვენ ამ პროცესის მოწმეები ვართ.

# არაძალისმიერი სანქციები ირანის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება წესდების მე-7 თავის 42-ე მუხლს, რომელზედაც აშშ-მ თქვა უარი, სწორედ, სამხედრო ძალების გამოყენებას ითვალისწინებს რეზოლუციის დამრღვევის წინააღმდეგ. 41-ე მუხლი ითვალისწინებს ეკონომიკური ურთიერთობების, სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო, საფოსტო, რადიო, ტელეგრაფისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების სრულებით ან პერიოდულ შეწყვეტას. გარდა ამისა, ეს მუხლი დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის უფლებასაც იძლევა.

აშშ-მ კატეგორიული ტონი ირანთან მიმართებაში ვენაში რუსეთის, აშშ-ს, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო უწყებათა მეთაურების შეხვედრამდე შეარბილა.

რაც შეეხება თავად ირანს, ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი პოზიციას არ იცვლის. როგორც ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ჰამიდ რეზა ასეფი ირწმუნება, ირანი ურანის გამდიდრებაზე მუშაობის შეწყვეტას არც აპირებს.

**"ჩვენ გავაგრძელებთ სამუშაოებს ურანის გამდიდრებაზე. მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ სამუშაოების შეწყვეტა ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების დღის წესრიგში არც კი დგას. ირანი არ აკეთებს რაიმე ისეთს, რაც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების ჩარჩოებს დაარღვევდა, განსაკუთრებით ეს ბირთვულ სფეროში კვლევებს ეხება"**, - განაცხადა ჰამიდ რეზა ასეფიმ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე.

ირანელი დიპლომატის თქმით, რესპუბლიკა მზადაა ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოება მხარეებთან დიალოგის გზით აღმოფხვრას.



ირანის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების დაწესებას რუსეთი უშლის ხელს.

**"ჩვენ ევროპელებისგან შექმნილი ვითარების კარგად გათვალისწინებას და გულისხმიერი დამოკიდებულების გამომჟღავნებას ველით ხუთშაბათს ვენაში დაგეგმილი "ექვსეულის" შეხვედრის შემდეგ"**, - აღნიშნა ჰამიდ რეზა ასეფიმ.

დასავლეთის გულისხმიერების მოლოდინში კი ოფიციალური თეირანი ბირთვული ტექნოლოგიების დახვეწაზე აგრძელებს მუშაობას.

**"ბირთვული სინთეზის სფეროში პირველი კვლევა ირანმა ხუთი წლის წინ ჩაატარა, დღეს კი ჩვენი სპეციალისტები მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების მქონე სახელმწიფოებთან თანაბარ პირობებში კონკურენციის გაწევას ცდილობს ბირთვულ სფეროში"**, - თქვა ირანის ბირთვული ენერგიის ორგანიზაციის წარმომადგენელმა სადათ ხოსეინიმ.

## მოკლედ

### საქართველოს პრეზიდენტი საფრანგეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორას შეხვდა

საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართულ დიასპორას შეხვდა.

პარიზში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საზაფხულო სესიაზე დასწრების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილი საფრანგეთში საქართველოს საელჩოში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საღამოს დაესწრო.

პრეზიდენტმა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოში დაბრუნებისკენ. "ჩვენ არ ვარსებობთ ერთმანეთის გარეშე. ჩვენი კავშირები სცდება ეპოქას; აქ არის პირველი ემიგრაცია, ემიგრაციის შემდეგი ტალღები. ის ხალხი, ვინც შეინარჩუნა ქართული ეროვნული სული," - განაცხადა მან შეხვედრაზე.

ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი სასტუმრო "გეორგ მეხუთეში" ცნობილ ფრანგ მეღვინეებსაც შეხვდა. მან მოლაპარაკება გამართა ღვინის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტთან. ფრანგული ღვინის ასოციაციის წარმომადგენლებმა ქართული პროდუქციის ლობირება გადაწყვიტეს. შეხვედრას ღვინის თემაზე მომუშავე ფრანგი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ.

*მედიანიუსი*




# ქუთაისის მერი სამართალდამცავების ვერდიქტს ელოდება

პირველი გვერდიდან

ბრალდებებს გამოძიების დასრულებამდე ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი არ პასუხობს, თუმცა ამასთან დაკავშირებით მისი სპეციალური განცხადება მედიას მისმა თანაშემწემ გააცნო.

**"საჯაროდ ვთხოვ სამართალდამცავ ორგანოებს, ნებისმიერ ბრალდებაზე გაკეთდეს სათანადო რეაგირება, რათა წერტილი დაესვას უზნეო პოლემიკას და სააშკარაოზე გამოიყვანონ ის ადამიანები, რომლებიც კულისებიდან მართავენ ამ პროცესებს. იმედს ვიტოვებ, რომ საკითხს დროულად მოეფინება ნათელი,"** - ნათქვამია გიგა ჩოგოვაძის სპეციალურ განცხადებაში.

გამოძიებამ საბოლოო სიტყვა რამდენიმე დღეში უნდა თქვას, რის შემდეგაც გაირკვევა, გამოიცვლიან თუ არა ქუთაისელები რიგით მეოთხე მერს.

# რუსეთი შეთანხმებას არღვევს

პრემიერ-მინისტრმა, ზურა ნოღაიდელმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე, ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამშვიდობოების მიერ განხორციელებულ როტაციას "თავხედური" უწოდა.

პრემიერის განმარტებით, როტაცია საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ყველა შეთანხმების დარღვევით განხორციელდა.

შეგახსენებთ, რომ რუსულმა სამშვიდობო ძალებმა როტაციისათვის გამიზნული შეიარაღებული ძალები შემოიყვანეს არა ყაზბეგი-ლარსის ოფიციალური გამშვები პუნქტის გავლით, არამედ როკის გვირაბის გავლით, რაც ქართული მხარის მითითებით არალეგალური გამშვები პუნქტია.

როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, ასეთი მოქმედება რუსეთის მხრიდან არის პროვოკაცია და მან მოუწოდა მთავრობის წარმომადგენლებს, იყვნენ ფხიზლად და ფრთხილად.

ზურა ნოღაიდელის მტკიცებით, ამ დროისთვის რეგიონში შედარებით სტაბილური ვითარებაა. რუსეთის მხრიდან დარღვევით განხორციელებულ როტაციას გამოეხმაურა როგორც სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **"ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ე.წ. სამშვიდობოების როტაცია რუსეთმა გუშინ ისევე თავხედურად, დემონსტრაციულად და ორმხრივი შეთანხმებების სრული დარღვევით განახორციელა, როგორც ყველა სხვა ქმედება ამ ბოლო პერიოდში"**, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

*24 საათი*

# კოკოითმა ქართული მხარე ეუთოს ქვეყნების ელჩებთან "ამხილა"

30 მაისს ეუთო-ს ქვეყნების ელჩების დელეგაცია ცხინვალში სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერს ედუარდ კოკოითს და დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებს შეხვდა.

კოკოითმა ეუთოს დელეგაციის წევრებს განუცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც 27 მაისს ქართველმა სამართალდამცველებმა რამდენიმე ოსი ეროვნების მოქალაქე დააკავეს.

კოკოითის თქმით, საქართველოს ხელისუფლებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება არ სურს. ასევე შერეულ საკონტროლო კომისიაში ქართული მხარე უარს ამბობს უსაფრთხოების გარანტიების მემორანდუმის ხელმოწერაზე.

*მედიანიუსი*

# სუამის ფარგლებში სამშვიდობო ქვედანაყოფის შექმნა იგეგმება

"ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისათვის - სუამის" ფარგლებში სამშვიდობო ქვედანაყოფის შექმნა იგეგმება.

უკრაინის თავდაცვის მინისტრის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ანდრეი ლისენკოს განცხადებით, სამშვიდობო ძალების ამოცანებსა და სტრუქტურაზე იმსჯელებენ ოდეგ-სუამის ქვეყნების გენშტაბის ხელმძღვანელთა მოადგილეების შეხვედრაზე. ეს შეხვედრა მიმდინარე წლის ივლისში კიევში უნდა გაიმართოს.

გარდა ამისა, შესაძლოა, ეს ინიციატივა გაჟღერდეს ბრიუსელშიც, სადაც უკრაინა-ნატო-ს თავდაცვის მინისტრების შეხვედრა იგეგმება.

უკრაინამ ასევე შესთავაზა აზერბაიჯანს სამხედრო პილოტების მოსამზადებლად შეიქმნას ერთობლივი საავიაციო ცენტრი. შეთანხმება ამ თემაზე მიღწეულ იქნა უკრაინა-აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე.

ცოტა ხნით ადრე უკრაინის თავდაცვის მინისტრი ანატოლი გრიცენკო აცხადებდა, რომ ოფიციალური კიევი უარს ამბობს სამხედრო თანამშრომლობაზე დსთ-ის ფარგლებში.

"უკრაინა ევროატლანტიკური სტრუქტურით ინტერესდება, ეს კი დსთ-ის თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოებში არ ეწერება", - განაცხადა გრიცენკომ.

სუამ-ის წევრმა ქვეყნებმა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის - "ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისათვის - სუამის" შექმნის შესახებ ხელშეკრულებას ხელი 23 მაისს კიევში მოაწერეს.

*ინტერპრესნიუსი*

# სამშვიდობოების როტაცია აფხაზეთშიც დაიწყო

ზუგდიდის რაიონისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამშვიდობო ძალების როტაციის პროცესი დაიწყო. ენგურის ხიდი, ზუგდიდის რაიონის მიმართულებით, უკვე გადმოკვეთა დაახლოებით ასამდე ავტომანქანამ და ათასზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ. ისინი ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთაში მდებარე სამხედრო შტაბში განთავსდებიან, რის შემდეგაც სხვადასხვა საგუშაგოებზე გადანაწილდებიან.

რუსეთის სამშვიდობო ძალების როტაციის პროცესი ქართულ მხარესთან შეთანხმებულია. რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალ-მაიორი სერგეი ჩაბანი აცხადებს, რომ როტაცია ორმხრივი შეთანხმებით, სამ წელიწადში ერთხელ ხორციელდება. ჩაბანის განცხადებით, ყველაფერი მშვიდობიანად და ნორმის ფარგლებში მიმდინარეობს. როტაციის პროცესს ჰაერიდან სამხედრო ვერტმფრენები აკონტროლებდნენ.

გალის რაიონის მოსახლეობის განცხადებით კი რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა შემთხვევით ისარგებლეს და რამდენიმე დამატებითი საგუშაგო გახსნეს. თუმცა, ამის შესახებ ქართული მხარე ინფორმირებული არ არის და ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

*ინტერპრესნიუსი*

# ლიტვის პრემიერ-მინისტრი თანამდებობას ტოვებს

პრემიერის გადადგომა ლიტვის შრომის პარტიასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს უკავშირდება. კერძოდ, ლიტვის გენერალურ პროკურატურას აქვს ინფორმაცია, რომ ამ პარტიის წევრები ევროკავშირის მიერ გამოყოფილ გრანტებს ქრთამის საფასურად სხვადასხვა ლიტვურ კომპანიებზე ანაწილებდნენ. ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტი კი ზემოხსენებული პარტიის წევრების მიერ რუსეთის სპეცსამსახურებისგან ქრთამის აღების ფაქტს იძიებენ.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა უნდობლობა გამოუცხადა ხუთ მინისტრს, რომლებიც მთავრობაში შრომის პარტიას წარმოადგენენ. ასევე ადამკუსმა განაცხადა, რომ მისი აზრით, პრემიერ ბრაზაუსკასის მთავრობა ქმედუუნაროა.

საპასუხოდ ალგირდას ბრაზაუსკასი თანამდებობიდან გადადგა.

*მედიანიუსი*

მოკლედ

## შეხვედრა ამერიკის ელჩთან

სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები და ახლობლები საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ჯონ ტეფტს შეხვდნენ. შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის პოლიტიკური მრჩეველიც ესწრებოდა. გირგვლიანის ახლობლებმა უცხოელ დიპლომატს მკვლელობასთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. ჯონ ტეფტს იმ მაღალჩინოსნების გვარები დაუსახელეს, ვინც გირგვლიანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე ჯონ ტეფტთან საუბრის დეტალებს ჯერჯერობით არ აკონკრეტებს. მისი განცხადებით, შეხვედრის მიზანი იყო მომხდართან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენება. **ინტერპრესნიუსი**

## პრობაციონერებს ხელფასი დაუნიშნეს

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა ბიურომ ორი პრობაციონერის დასაქმებას შეუწყო ხელი. იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტს პრობაციონერთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია წარმოადგენს. პრობაციის ბიუროები, მათ კონტროლს დაქვემდებარებული პირების დასაქმების მიზნით, მუდმივად აწარმოებენ მოლაპარაკებებს სხვადასხვა ორგანიზაციასთან. სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს თხოვნას გამოეხმაურა წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში მოქმედი ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმო - "ენგური 2005"-ის ხელმძღვანელობა. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ დაბა ჯვარში მცხოვრები პირობით მსჯავრდებულები: მალხაზ გერგედავა და ზვიად ჭანტურია ხის სახერხში დასაქმდებიან. პრობაციონერებს თვიურ ხელფასად 120 ლარი განესაზღვრათ. **24 საათი**

## ნაცემი ჯარისკაცი

საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეს სასტიკად სცემეს. იგი თბილისის უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული. სამხედრო მოსამსახურე გიორგი შარიქაძე ჯერჯერობით ვერ ლაპარაკობს. დაზარალებულის ადვოკატის გიორგი სამუშიას განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის ცემის ფაქტს ჯარისკაცების და სერჟანტების სახით მოწმეები ჰყავს. "შარიქაძე სხვა სამხედროებმა აითვალწუნეს, დასუფთავებას სთხოვდნენ. უკანონობის შესახებ მან შესაბამის უწყებებს ჩვენება მისცა, რის შემდეგაც შარიქაძეს სცემეს", -განაცხადა ადვოკატმა. მისივე თქმით, გამოჯანმრთელების შემდეგ გიორგი შარიქაძის იმავე სამხედრო ნაწილში დაბრუნება, უსაფრთხოების გამო, დაუშვებელია. **ინტერპრესნიუსი**

## მაღალჩინოსანი ქრთამზე დააკავეს

შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი დააკავეს. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის სოსო თოფურიძის განცხადებით, დაკავებულია ცაგერის რაიონის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახურის უფროსი მერაბ მეშველიანი. თოფურიძის ინფორმაციით, მან მოქალაქეს, შპს "ცაგერის ავტოტრანსპორტის" აუქციონზე გატანის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 5 ათასი ლარი გამოსძალა. საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს. აღნიშნული დანაშაული ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერპრესნიუსი**

## "კანონიერი ქურდის" ადვოკატის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ არ დააკმაყოფილა კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატის საჩივარი - ფოცხვერიასთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობის შეფარდების გაუქმების შესახებ. მოსამართლე გოდერძი გიორგიშვილმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. "კანონიერი ქურდი" უკრაინელმა სამართალდამცველებმა ყირიმში დააკავეს. იგი ბრალდებულია 27 მარტს თბილისის N5 საპყრობილეში ბუნტის მოწყობის ორგანიზებაში, რომლის დროსაც შვიდი პატიმარი გარდაიცვალა და 22 დაშავდა. შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განაცხადებით, ტარიელ ფოცხვერია ყირიმში მეუღლის გვარით იმალებოდა. "მინდა ვთქვა, რომ ყველა ქურდი და კრიმინალური ავტორიტეტი ჩაჯდება ციხეში, ერთადერთი ადგილი, სადაც მათ დიდი სიამოვნებით ელოდებიან, ეს არის საქართველოს ციხეები. ქალაქებში აღარ იქნებიან ქურდები", - განაცხადა შს მინისტრმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ერთობლივი წვრთნები დასრულდა

საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ახალციხის მონაკვეთზე საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო უწყებების ერთობლივი წვრთნები გუშინ დასრულდა. წვრთნები გაიმართა საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე. სწავლების თემა საზღვარზე დარღვევების წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედება და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდების შემუშავება იყო. სწავლება პრაქტიკული ხასიათისა გახლდათ და თურქ კოლეგებთან ერთად დაგეგმილი სცენარის მიხედვით ჩატარდა. სცენარი საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე საზღვრის უკანონო კვეთის, კონტრაბანდული ტვირთის გადაადგილებისა და მათ აღმოსაფხვრელად ჩასატარებელ ღონისძიებებს მოიცავდა, რაც ქართველმა და თურქმა მესაზღვრეებმა ერთობლივად განახორციელეს. სწავლება შესაბამისი აქტების გაფორმებით დასრულდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს - თურქეთის შეიარაღებული ძალების ატაშემ გენერალ-მაიორმა იუქსელ ოზთექინმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ჰაირი ქივრიქ ოღლუმ, არდაგანის გუბერნატორმა მურათ ილდირიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან ცერემონიას დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ. **ინტერპრესნიუსი**

## დააკავეს უაქციზო სიგარეტის გადამზიდავები

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე ორი მოქალაქე დააკავა. ფინანსურმა პოლიციამ ბესიკ კურტანიძე და დავით კიპაროიძე "მერსედესის" მარკის ავტომანქანით, ნატახტარის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა. ჩხრეკის შედეგად მათი ავტომანქანის საბარგულიდან 3 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტია ამოღებული. ფინანსურმა პოლიციამ ეჭვმიტანილები უკვე დაკითხა და წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანა. გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით დაიწყო, რაც "მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვას" გულისხმობს. ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველომ კი აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული ორი ავტომანქანა დააკავა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთზე "ფორდ-ტრანზიტის" და "მერსედესის" მარკის ავტომანქანები დააკავა. ავტომანქანებს ზაურ ეფენტიევი და ნიკოლოზ ბარნაბიშვილი მართავდნენ. მათ აღურიცხავი პროდუქცია სარეალიზაციოდ თბილისში გადაჰქონდათ. ამ ეტაპზე ავტომანქანები ტერმინალშია გადაყვანილი, სადაც ტვირთს ექსპერტიზა ჩაუტარდება და ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# სწრაფი და ობიექტური გამოძიება - ხელისუფლების ნდობის გარანტი

*სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ცხინვალის რეგიონში 27-28 მაისს მომხდარი ინციდენტების შესახებ მის მიერ შესწავლილი მასალები რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.*



*სოზარ სუბარი ცხინვალის ინციდენტების გამოძიებას კატეგორიულად მოითხოვს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

**"გორის პოლიციის შენობაში მომხდარი ფაქტი ერთმნიშვნელოვნად არის ხელისუფლების წარმომადგენლების, კერძოდ კი, სამართალდამცველთა მხრიდან ადამიანების წამების მაგალითი. კატეგორიულად მოვითხოვ უკანონო დაკავების, ცემისა და წამების ფაქტების გამოძიებას. პასუხისგებაში უნდა მიეცენ არა მხოლოდ შემსრულებლები, არამედ დამგეგმავები და ამ ოპერაციის ხელმძღვანელი პირები"**, - ასეთი მოთხოვნით მიმართავს სოზარ სუბარი გენერალურ პროკურატურას.

ომბუდსმენის ინფორმაციით, 27 მაისს, დილით სოფელ აჩაბეთის მკვიდრი, 8 ახალგაზრდა ქართველი მამაკაცი, ცხინვალის გავლით, ყინწვისში სალოცავად მიდიოდა. ოსმა სამართალდამცველებმა, საბუთების შემოწმების მიზნით, ისინი დააკავეს და ადგილობრივი უშიშროების სამმართველოს შენობაში გადაიყვანეს. დაკავებულები დაკითხეს და ჩვენებები ჩამოართვეს.

**"ქართველები აცხადებენ, რომ ოსებს მათთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და ჩამორთმეული პირადი ნივთებიც დაუბრუნეს. თუმცა ხუმრობით ეკითხებოდნენ, - შემთხვევით "ბოევიკები" ხომ არ ხართო. შემდეგ კი გაუშვეს. ფაქტს, როდესაც სამი საათის განმავლობაში მოქალაქეს მხოლოდ იმიტომ აკავებენ, რომ მას ქართულნომრიანი მანქანა ჰყავს და ქართველია, გამართლება არ აქვს"**, - აცხადებს სოზარ სუბარი.

როგორც ჩვენთან საუბარში სოზარ სუბარმა განაცხადა, ოსმა პოლიციელებმა მას განუმარტეს, რომ ეს იყო ნაქურდალი მანქანების მოსაძიებლად დაგეგმილი ოპერაცია. თუმცა, ომბუდსმენის შეფასებით, ეს არ ამართლებს ოსი სამართალდამცველების მიერ ხუმრობით დასმულ შეკითხვებს: "ბოევიკი ხომ არ ხარ, იარაღის ტარებისგან თითებზე მაზოლები ხომ არ გაქვს."

**"ასეთი საქციელის გამართლება შეუძლებელია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ორივე მხრიდან სამშვიდობო შეთანხმებაზე მიდის საუბარი"**, - ასეთია სახალხო დამცველის პოზიცია.

სახალხო დამცველის თქმით, ყოვლად გაუმართლებელია და მიუღებელია ის რეაქციაც, რომელიც ამ ფაქტს ქართული მხრიდან მოჰყვა.

ოსური მხარის ინფორმაციით, ქართველებმა 48 ოსი ეროვნების მოქალაქე, ხოლო ქართული მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციით - 41 - დააკავეს და მიიყვანეს გორის პოლიციაში. როგორც ომბუდსმენმა გაარკვია, ოსი ეროვნების მოქალაქეები სხვადასხვა ადგილას დააკავეს - პატარა ლიახვის ხეობაში სოფელ ერედვთან, ამავე ხეობის სხვა სოფლებში, სოფელ კეხვთან, რომელიც ცხინვალის იქით მდებარეობს. ორი მათგანი (რუსეთის მოქალაქეები) დღესაც დაკავებულები არიან. დანარჩენებს შეუმოწმეს დოკუმენტები, რამდენიმე მათგანს კი (დაახლოებით, 12 ადამიანს) ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

**"მოვინახულე ხუთი დაკავებული - ფელიქს ტუაევი, ედუარდ თედეევი, მაირბეგ გაგიევი, პავლიკ დოგუზოვი, რუსლან კუსრაევი. დაზარალებულთა განცხადებით, ისინი სამოქალაქო პირები არიან და არანაირი კავშირი არ აქვთ რაიმე სახის სამხედრო დაჯგუფებასთან. ერთი მათგანი - ფელიქს ტუაევი მეორე ჯგუფის ინვალიდია. ხუთივე დაზარალებული ირწმუნება, რომ მათი დაკავების ოპერაციაში არ მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქართველი პოლიციელები და ისინი თბილისიდან ჩასულმა ნიღბიანმა და ფორმიანმა სპეცრაზმელებმა დააკავეს. ნიღბიანებმა დაკავებულები გორის პოლიციაში მესამე სართულზე აიყვანეს, სადაც ადგილობრივ პოლიციელებს არ უშვებდნენ. გარდა ნიღბიანი სპეცრაზმელებისა, დაკავებულებს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ადამიანები სასტიკად უსწორდებოდნენ. დაზარალებულების ინფორმაციით, განსაკუთრებული სისატიკით ორი ქართველი გამოირჩეოდა"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ომბუდსმენმა.

ხუთივე დაზარალებული ცემის მეთოდებსაც ერთნაირად აღწერს: აყენებდნენ მუხლებზე, ხდიდნენ ტანსაცმელს - ზოგს მხოლოდ წელს ზემოთ, ზოგს წელს ქვემოთაც; ურტყამდნენ წიხლით, ხელით, მუშტით, ჰქონდათ დიდი, მძიმე წიგნი, რომლებსაც ოთახიდან ოთახში დაატარებდნენ და დაკავებულებს თავში ურტყამდნენ.

**"დაკავებულებს სცემდნენ პლასტმასის ცარიელი ბოთლებით, ბოლოში განასკვული სველი პირსახოცებით, ერთ-ერთ მათგანს პისტოლეტით გაუტეხეს თავი. ეს სისასტიკე, თითქმის, ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა"**, - ამბობს სახალხო დამცველი.

როგორც ცნობილი გახდა, ნიღბიანი ქართველები დაკავებული ოსი ეროვნების მოქალაქეებისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ, ეღიარებინათ, რომ ისინი ე.წ. "აპალჩენცები" იყვნენ. სოზარ სუბარის ინფორმაციით, სპეცრაზმელები დაკავებულებს დავალებებს აძლევდნენ; ითხოვდნენ, რომ "მათზე ემუშავათ", მიეწოდებინათ ინფორმაცია ცხინვალში მდგარი სამხედრო ქვედენაყოფებისა და ტექნიკის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუპატიურებით ემუქრებოდნენ.

სხვათა შორის, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გორის პოლიციის წარმომადგენლები, რომლებსაც სპეცრაზმელები შენობაში არ უშვებდნენ, მაქსიმალურად ცდილობდნენ, დახმარებოდნენ დაკავებულებს.

**"ერედველმა პოლიციელმა ჩემი დახმარება ძალიან მოინდომა. ეს სპეცრაზმელებმა შენიშნეს თუ არა, იქვე ააგლიჯეს სამხრეები, აგინეს და წიხლისკვრით გააგდეს"**, - უთქვამს ერთ-ერთ დაკავებულს სოზარ სუბარისთვის.

**"რომ არა ადგილობრივი პოლიციელების თანაგრძნობა და დახმარება, წარმოდგენა არ გვაქვს, როგორ გადავრჩებოდით ცოცხლები"**, - ასე გაიხსენეს მომხდარი სპეცრაზმელების მიერ პოლიციის შენობაში ნაწამებმა ადამიანებმა სოზარ სუბართან საუბრისას.

ერთი სიტყვით, ომბუდსმენმა მომხდარი დეტალურად შეისწავლა და გენერალურ პროკურატურას სასწრაფოდ გამოძიების დაწყების რეკომენდაციას აძლევს.

გორის პოლიციის შენობაში ოსი ეროვნების მოქალაქეების ცემა-წამების ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიებას ითხოვს არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტიც".

**"მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ორი ვერსია არსებობს. ხელისუფლების ვერსიით, პოლიციაში მიყვანილ ოსებს სამოქალაქო პირებმა სცემეს. თუ ეს ვერსია რეალურია, მაშინ გასარკვევია, როგორ მოახერხეს სამოქალაქო პირებმა გორის პოლიციაში დაკავებულ ოსებთან შეღწევა. მეორე ვერსიით კი, დაკავებულებს პოლიციელებმა სცემეს. გამოძიების დაწყება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსახლეობაში პოლიციისა და, ზოგადად, საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნდობა კიდევ უფრო დაეცემა"**, - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები.

*24 საათი*

# ვარაუდებზე დაყრდნობილი განაჩენი

*2006 წლის 27 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მურუსიძემ ლევან მარცვალაძე დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რისთვისაც მარცვალაძეს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, ხოლო 2 წელი პირობითი გამოსაცდელი ვადა.*

**"აღნიშნული განაჩენი უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. მასში ჩამოყალიბებული დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან; ასევე, მოსამართლემ არასწორად განმარტა კანონი და აბსურდული და დაუსაბუთებელი კვალიფიკაციით დასდო განსასჯელ მარცვალაძეს მსჯავრი"**, - ასეთ შეფასებას აკეთებს "საადვოკატო ფირმა "ეკა და კომპანიას" ადვოკატი ვახტანგ ქანაშვილი, რომელიც ლევან მარცვალაძის უდანაშაულობის დამტკიცებას, წლებია, ცდილობს და ამჟამად სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელებას სააპელაციო სასამართლოში გეგმავს.

საუბარია 2000 წლის 31 აგვისტოს გლდანში დატრიალებულ ტრაგედიაზე, რომელიც ორი ახალგაზრდის სიკვდილით დასრულდა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, ზურაბ კანდელაკი სტუმრად იყო გლდანში მეგობრებთან - ანანო, მაია და ეკა წენგუაშვილებთან, სადაც მივიდნენ დები თამთა და ნათია ხარძიანები. მოგვიანებით თამთა ხარძიანს და ზურაბ კანდელაკს სიტყვიერი კონფლიქტი მოუვიდათ, რის გამოც, გოგონამ ბინა დატოვა და მომხდარი ეზოში მყოფ დავით ჩიტაურს მოუყვა.

ჩიტაურმა ზურაბ კანდელაკი ეზოში ჩაიყვანა და მათ შორის კონფლიქტი მოხდა. თუმცა, ისინი მეზობლებმა გააშველეს. ჩიტაური კონფლიქტის ადგილიდან წავიდა, მაგრამ კანდელაკს დაუბარა, რომ ისევ დაბრუნდებოდა. დაახლოებით, ერთ საათში ჩიტაური თავის მეგობრებთან კობა ჯავახიასთან, როლანდ გევორქიანთან, გიორგი დულაძესა და კახა ბუთხაშვილთან ერთად ზურაბ კანდელაკის საცხოვრებელ სახლთან დაბრუნდა. ჩიტაურმა კანდელაკი იქვე მდებარე ბაღში გაიყვანა, სადაც ჩხუბი განახლდა. იქვე იყვნენ კანდელაკის მეგობრები - ლევან მარცვალაძე და თემურ ვერულავა. ცოტა ხანში ჩხუბში კანდელაკის და ჩიტაურის მეგობრებიც ჩაერთნენ. თვითმხილველთა თქმით, რაც შემდეგ გამოძიებამაც დაადასტურა, კობა ჯავახიას ჰქონდა პისტოლეტი და რამდენჯერმე გაისროლა კიდეც.

**"ჩხუბის დროს დავით ჩიტაურსა და კობა ჯავახიას დანით მიაყენეს მძიმე ხარისხის დაზიანებები, რასაც მათი სიკვდილი მოჰყვა"**, - ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში.

აღნიშნულ ფაქტზე განზრახ მკვლელობის მუხლით მაშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და გამოძიებამ ზურაბ კანდელაკი და ლევან მარცვალაძე ბრალდებულებად ცნო. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცველები ლევან მარცვალაძეს ზურაბ კანდელაკთან ერთად მხოლოდ ლევან ჯავახიას მკვლელობაში ადანაშაულებდნენ.

საქმე თავდაპირველად განსახილველად გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოში გადაიგზავნა. თუმცა, პროცესის მსვლელობის დროს, მტკიცებულების არარსებობის გამო, პროკურორმა შუამდგომლობა დააყენა და კანდელაკისა და მარცვალაძისთვის ჯავახიას განზრახ მკვლელობის ბრალდების მოხსნა მოითხოვა. ამის საფუძველზე, სასამართლომ ჯავახიას მკვლელობის ნაწილში საქმე რაიონულ პროკურატურას ხელახალ ძიებაში დაუბრუნა.

მალე საოლქო სასამართლომ ქვემდგომი რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე განსახილველად კვლავ გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს, მხოლოდ სხვა მოსამართლეს დაუბრუნა.

**"სხვათა შორის, ლევან მარცვალაძის მიმართ იმ პერიოდში საპატიმრო ვადები დაირღვა და იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ადვოკატების არაერთი საჩივრისა პროკურატურამ და სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ყველა შუამდგომლობა და მის მიმართ კანონის სრული იგნორირება მოხდა"**, - ამბობს ადვოკატი.

თუმცა, სასამართლოს განაჩენით განზრახ მკვლელობისთვის განსასჯელი ლევან მარცვალაძე საბოლოოდ გაამართლეს და იგი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

მოგვიანებით გარდაცვლილი ჯავახიას ოჯახის საჩივრის საფუძველზე, საოლქო სასამართლომ კვლავ გააუქმა რაიონული სასამართლოს განაჩენი და საქმის დამატებითი გამოძიება ამჯერად უკვე თბილისის პროკურატურას დაავალა.

2004 წლის 7 აპრილს ლევან მარცვალაძე კობა ჯავახიას განზრახ მკვლელობისთვის ხელახლა ცნეს ბრალდებულად, ორ დღეში მას სასამართლომ წინასწრი პატიმრობაც შეუფარდა და ძებნაც გამოცხადდა.

**"პროკურატურამ მარცვალაძის დაპატიმრების ერთადერთ არგუმენტად დაასახელა ის, რომ ბრალდებული გამოძიებას ემალებოდა. სასამართლომ გაიზიარა ეს არგუმენტი. არადა, მარცვალაძე იმ პეროდში საერთოდ არ იმყოფებოდა საქართველოში და სასამართლო პროცესის შესახებ არაფერი იცოდა"**, - ამბობს ადვოკატი ვახტანგ ქანაშვილი.

აღნიშნული პროცესიდან, თითქმის, წელიწადნახევრის შემდეგ საქართველოში ახლად დაბრუნებული მარცვალაძე სამართალდამცველებმა დააკავეს. ამ პერიოდისთვის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული კანდელაკი უკვე დამნაშავედ იყო ცნობილი და მას 16 წლით პატიმრობა მიესაჯა.

**"ახალი სასამართლო პროცესის გამწესრიგებელ სხდომაზევე დავაყენეთ შუამდგომლობა მარცვალაძის საპატიმრო ვადის გასვლის შესახებ და მისი, როგორც უკანონო პატიმრის, გათავისუფლება მოვითხოვეთ. საქმე ის გახლავთ, რომ კანონმდებლობით, სასამართლო განხილვის ვადა მხოლოდ თორმეტი თვეა, მარცვალაძის შემთხვევაში, ეს დრო ამოწურული იყო და იგი ავტომატურად უნდა გათავისუფლებულიყო. თუმცა, მართლმსაჯულებამ დაცვის მოთხოვნა არც ამ შემთხვევაში დააკმაყოფილა"**, - განმარტავს ადვოკატი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრალდება მარცვალაძეს კვლავ განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებდა. თუმცა, დანაშაულიდან ექვსი წლის თავზე, რამდენიმეთვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ მოსამართლემ განაჩენში აღნიშნა:

**"სასამართლო გამოძიებისას შეკრებილი მტკიცებულებებით ვერ დადგინდა, რომ განსასჯელი მარცვალაძის მიერ მოქნეული დანა გულ-მკერდის არეში მოხვდა გარდაცვლილ ჯავახიას. ამიტომ სასამართლოს მიაჩნია, რომ განსასჯელის ქმედება უნდა გადაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობად"**, - განაცხადა მოსამართლემ და აღნიშნული დანაშაულისთვის მარცვალძეს ხუთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ლევან მარცვალაძის ადვოკატები მიიჩნევენ, რომ მოსამართლეს არც მკვლელობის მცდელობის დამადასტურებელი მტკიცებულებები გააჩნდა და განაჩენი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ეჭვების საფუძველზე გამოიტანა.

**"საქმეში არსებულმა ერთადერთმა მოწმემ კატეგორიულად გამორიცხა მარცვალაძის მხრიდან დანის დარტყმის ფაქტი. ამიტომ, სასამართლოს არანაირი მტკიცებულება არ მოეპოვება, თუ რის საფუძველზე უნდა დაკვალიფიცირდეს მარცვალაძის ქმედება მკვლელობის მცდელობად. მოსამართლემ განაჩენი ვარაუდზე დაყრდნობით გამოიტანა, რაც, ასევე, კანონდარღვევაა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული განაჩენი უკანონოა"**, - ამბობს ადვოკატი, რომელიც ლევან მარცვალაძის უდანაშაულოდ ცნობას და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ზემდგომი, სააპელაციო სასამართლოსგან მოითხოვს.

*24 საათი*

SMS-ჰოროსკოპი

შეხვდით მოულოდნელობას მომზადებული




ყოველ დილას მიიღეთ ასტროლოგიური პროგნოზი!

თუ დღის ასტროლოგიური პროგნოზის მისაღებად ყოველდღე რეკავდით შესაბამის ნომერზე, ამიერიდან შეძლებთ ერთი ზარით შეუკვეთოთ თვის ან წლის ინფორმაცია, რომელსაც დილის საათებში მიიღებთ. ტარიფი შეღავათიანია:

დღის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 12 თეთრი
თვის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 1 ლარი
წლის ასტროლოგიური პროგნოზის გამოწერა — 10 ლარი

თვის ან წლის ინფორმაციის გამოსაწერად მობილურზე აკრიფეთ:

44300171, თქვენი დაბადების თვე და რიცხვი (მაგ: 5 იანვარი ჩაიწერება, როგორც 0105) და OK.

25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge

მაგთი MAGTI GSM

# მაშასადამე, მე ვარ მდიდარი



იქნება კი, ამ მაგიდაზე საახალწლოდ იმის ნახევარი მაინც, რაც გოგია უიშვილს ჰქონდა.



კახიძეების ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც სკოლაში სიარულს ახერხებს.

პირველი გვერდიდან

## სახელმწიფო სტანდარტი

აქამდე ჩვენი საზოგადოების მდიდრებად და ღარიბებად დახარისხება სუბიექტურად ხდებოდა, მაგრამ დენის ტარიფის მომატების შემდეგ არათუ გამოიკვეთა სიღარიბე-სიმდიდრეს შორის გამავალი ხაზი, არამედ საშუალო ფენის განსაზღვრაც მოხერხდა. მაშ ასე: ვინც ყოველთვიურად 100 კოლოვატამდე ელექტროენერგიას მოიხმარს, ის ღარიბია; ვინც 100-300 კილოვატით კმაყოფილდება, საშუალო ფენას წარმოადგენს; სამასზე ზემოთ კი, ჩემი არ იყოს, მდიდარია.

უფრო ადრე, როცა ლაპარაკიც არ იყო დენისა და გაზის ტარიფების გაზრდაზე, სახელმწიფომ სიღარიბის ზღვარზე მყოფი ფენების ჯერ გამოსავლენად, შემდეგ კი დასახმარებლად, გარკვეული კრიტერიუმები შეიმუშავა. არჩევანი უკიდურესად გაჭირვებულებზე გაკეთდა. სწორედ მათთან დადიოდნენ სოციალური აგენტები, ამათ თვალს კიდევ, აბა, რა გამოეპარება! აღიწერა ყველაფერი: ვინ როგორ ბინაში ცხოვრობს; როგორი ავეჯი უდგას; აქვს თუ არა, მაგალითად, მაცივარი და თუ აქვს, შიგნით რა უდევს; დღეში რამდენჯერ იკვებება; რაზე ამზადებს საჭმელს; ზამთარში რითი თბება; უყურებს თუ არა ტელევიზორს და ა. შ. ითვალეს, ითვალეს და საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვიც დაასახელეს. გაირკვა, რომ ოთხმილიონიან საქართველოში **350 000** ოჯახი შიმშილობს. რაც შეეხება დახმარებას, სულადობის მიხედვით თანხა ასე გადანაწილდა: 38, 55, 70, 85 და 100 ლარი. ამ მონაცემების შემხედვარე შეგვიძლია დავასკვნათ: ამიერიდან გაჭირვებული მარტოხელა პენსიონერი (33 ლარი პენსია და 38 ლარი დახმარება, ანუ 71 ლარი) უფრო დალხენილად იცხოვრებს, ვიდრე, ვთქვათ, ოჯახი, სადაც ჯან-ღონით სავსე უმუშევარ დედ-მამას ორი ბავშვი ჰყავს გასაზრდელი - მათ მხოლოდ 85 ლარით დაკმაყოფილება მოუწევთ. დახმარებაში არ შედის ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადების სუბსიდირება, რაც ამ კატეგორიის ოჯახებს ამთავითვე უსპობს განათებისა თუ გათბობის შესაძლებლობას. მათთვის არათუ ასი, ორმოცდაათი კილოვატის დახარჯვა და, შესაბამისად, 6 ლარის გადახდაც ფუფუნებაა. 50 კილოვატი კი მხოლოდ იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ დღეში სამი საათით ავანთოთ ერთი ნათურა, სამი საათით ჩავრთოთ ტელევიზორი, ერთი საათით ავამუშავოთ მაცივარი, ათასში ერთხელ გადავაუთოვოთ "სექენდ ჰენდებში" ნაყიდი ტანსაცმელი და მხოლოდ დღესასწაულებზე ჩავრთოთ აქა-იქ შემორჩენილი მოძველებული წყლის გამაცხელებელი.

ახლა თელასის მონაცემებს გადავხედოთ. მათი დაანგარიშებით, თბილისში 100 კოლოვატზე ნაკლებ ელექტროენერგიას 230 000 ათასი აბონენტი მოიხმარს - შესაბამისად, ამდენივე გაჭირვებული ოჯახი ცხოვრობს. რაც შეეხება მთლიანად საქართველოს, ასეთი ოჯახების რაოდენობა, უხეში დაანგარიშებით, **600 000**-ს აღწევს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაინც, რამდენი გაჭირვებულია ჩვენს ქვეყანაში - 350 000 ოჯახი, რომელიც სახელმწიფომ ღარიბლატაკად აღიარა თუ 600 000 აბონენტი, რომელიც მინიმალური რაოდენობის ელექტროენერგიას მოიხმარს? და აქვე: რამდენია იმ აბონენტთა ზუსტი რაოდენობა, რომლებსაც სახლები და ბინები გამოკეტილი აქვთ ან, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის არ იყოს, მხოლოდ დასაძინებლად მიდიან შინ?

ბოლო მონაცემებით, მომავალი წლიდან სოციალურ დახმარებას მეტი ოჯახი მიიღებს. ასევე მოსალოდნელია დენისა და გაზის გადასახადების სუბსიდირება. აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო გაჭირვებულ ფენებზე მართლა ზრუნავს და მომავალშიც იზრუნებს. მაგრამ მოდი, ახლა საკითხი ასე დავსვათ: მომატებული ტარიფის ფონზე, რამდენჯერ გაიზრდება ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე? სხვათა შორის, ამის გამოთვლაც შეიძლება. არა, პრემიერ-მინისტრი ფასების მატებას კი უარყოფს, თანაც კატეგორიულად, მაგრამ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები, უფრო პრაგმატულები აღმოვჩნდით და ასის ფარგლებში ანგარიშიც სხვებისგან არ გვესწავლება. ამიტომაც გვგონია, რომ სუბსიდირებული ელექტროენერგია ღარიბებისთვის დიდი ვერაფერი შეღავათი იქნება. მეტიც, სიღარიბე-სიმდიდრის დასადგენად უკვე აპრობირებული კრიტერიუმებით თუ ვიმსჯელებთ, ხვალ-ზეგ გაცილებით მეტი უპოვარი გვეყოლება.

## რეალითი შოუ

როგორ ცხოვრობენ მდიდრები, მაგალითად მე, ზამთარ-ზაფხულ 450-500 კოლოვატ ელექტროენერგიას რომ მოვიხმარ?

როგორც ყველა შეძლებული, მეც ყაირათიანი გავხდი - დავდივარ ოთახიდან ოთახში (ოთხოთახიან ბინაში ვცხოვრობ) და შუქს ვაქრობ. მაქვს ერთი ტელევიზორი, ერთი მაცივარი, წყლის გამაცხელებელი ბაკი. სარეცხი მანქანა ახლახან შევიძინე. ვერ დავიჩემებ, რომ სახლიდან გასვლის წინ მეც და ჩემი ოჯახის დანარჩენი სამი წევრი ისე არ გავალთ, ტანსაცმელს უთო არ გადავუსვათ. დალხენილი ცხოვრებით გაზულუქებული ჩემი შვილი დილა-საღამოს, ძილის წინ და გაღვიძებისას, მუსიკალურ ცენტრს ჩართავს ხოლმე. სიმდიდრე, როგორც ჩანს, მეც თავში ამივარდა და ისეც ხდება, კომპიუტერს მივუჯდები და ჩემთვის ვაკაკუნებ. ერთი სიტყვით, ყველა ის სიამოვნება, რაც ასეთ დიდ შვებას მგვრის, 60-70 ლარი მიჯდება. დამავიწყდა მეთქვა, ზამთარში გაზით ვთბები და მრიცხველიც ისე სწრაფად ტრიალებს, მიხარია, მხოლოდ 100 ლარის გადახდა რომ მიწევს. აღარაფერს ვამბობ ტელეფონის, წყალისა და დასუფთავების გადასახადებზე. მთავარია, სახელმწიფოსთან პირნათელი ვარ და ყველაფერს დროულად ვიხდი - მე ხომ მდიდარი ვარ.

რას აკეთებს ამ დროს საშუალო ფენის წარმომადგენელი, თვეში 300 კოლოვატი ელექტროენერგიით დაკმაყოფილება რომ უწევს? ცხოვრობს ოროთახიან ბინაში, გამორთული აქვს მაცივარი, ტელევიზორს მხოლოდ საღამოს საათებში უყურებს, არ ცნობს უთოს, წყალს ან გაზზე აცხელებს ან ცივი წყლით იკაჟებს სხეულს. კომპიუტერი, მუსიკალური ცენტრი, მტვერსასრუტი, თმის საშრობი თუ სარეცხი მანქანა კარგა ხნის წინ დაივიწყა. ივნისიდან კიდევ ბევრ რამეზე მოუწევს უარის თქმა, წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო დენის საფასურად 35 ლარზე მეტის გადახდა მოუწევს.

რითი გააქვთ თავი ღარიბებს თვიდან თვემდე?

იმ 350 000 ოჯახიდან, ვინც სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სიაში მოხვდა, პირველი სამის მონახულებისთანავე ამ კითხვის დასმამ აზრი დაკარგა. მარტოხელა პენსიონერი ქალბატონი ვარკეთილის განაპირას დამიხვდა. ამის იქით თბილისი ჯერ არ გაშენებულა, ასე რომ, ბენდუქიძის რეცეპტი - კარგი ბინა ცუდში გადაცვალონ - ამ შემთხვევაში ზედმეტია. ამ ქალბატონის ბინაში არც დენია გაყვანილი და არც გაზი, შესაბამისად, წლების განმავლობაში მისი ჩვენება თელასსა თუ თბილგაზში ნულის ტოლია. და ისევ კითხვა: ეს ადამიანი, რომლის ამ ქვეყნად ყოფნას არსებობასაც ველარ უწოდებს კაცი (ცხოვრებაზე ლაპარაკიც ზედმეტია), როგორ გამოიყენებს სუბსიდირებულ ენერგიას, თუ მის ბინაში ელექტროსადენის კვალიც კი არ ჩანს? სურათი, სამწუხაროდ, ყველგან მეტ-ნაკლებად ერთნაირი დაგვიხვდა, პატარ-პატარა განსხვავებებით: პენსიონერი დედა და ზრდასრული ინვალიდი შვილი; ორი მცირეწლოვანი ბავშვი და მათი მარჩენალი, ასევე არასრულწლოვანი უფროსი და; თითო ბავშვზე დარიცხული ხუთი ლარის ანაბარა დარჩენილი მარავალშვილიანი ოჯახი; დაბრმავებული დედა და ფსიქიკურად აშლილი ქალიშვილი... და ასე გაუთავებლად. ზოგს ვინაობის გამხელა ეთაკილება, ზოგიც აგრესიულად გიკეტავს ცხვირწინ კარს. ისეთებიც არიან, შესაშური სიმშვიდით გისმენენ და არც ერთ კითხვაზე პასუხს არ გცემენ.

კახიძეების ოჯახი ლოტკინის დასახლებაში მოვინახულეთ: ინვალიდი მამა, ინვალიდი დედა და სამი მოზარდი შვილი. აქ მრიცხველები საერთოდ არ არსებობს და ტრადიციულად, ათ-ათი ლარი თელასში ჩააქვთ. კახიძეებს ამხელა ფული სადა აქვთ, ამიტომაც ან სიბნელეში სხედან, ან მეზობლები უმართავენ ხელს. საინტერესოა, სუბსიდირების შემთხვევაში, როგორ დაიანგარიშენებ, რამდენ კილოვატ ენერგიას მოიხმარს ეს ოთხსულიანი ოჯახი? 15 და 17 წლის ვაჟიშვილები კარგა ხანია სკოლაში ველარ დადიან - იმიტომ არა, რომ სადმე მუშაობენ და ოჯახს ეხიდებიან. არა აქვთ სამუშაო, არა აქვთ სკოლაში სასიარულო ტანსაცმელი, სახელმძღვანელოების შესაძენი ფული. სწავლას მხოლოდ ათი წლის გოგონა აგრძელებს. მშობლები ინვალიდობის პენსიასაც იღებენ და სახელმწიფო თითო შვილზე ხუთ-ხუთ ლარსაც უმატებს. ივნისიდან, როგორც დაჰპირდა ხელისუფლება, 100 ლარამდე შემწეობასაც ელიან და ამ ოჯახის შემოსავალი, შეიძლება, დაახლოებით 200 ლარამდე გაიზარდოს. ამის მიუხედავად, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ოჯახმა უახლოეს მომავალში ოდნავ მაინც მოითქვას სული.

## მივიწყებული ავტორები

ჩემს დროს სკოლაში ეგნატე ნინოშვილის "გოგია უიშვილს" გვასწავლიდნენ. ასე მგონია, ეს მწერალი ისე არ არის დაფასებული, როგორც მას ეკადრება. საბჭოთა საქართველოში ნინოშვილის მოთხრობები იმიტომ შეჰქონდათ სასწავლო პროგრამებში, რომ ავტორს მეცხრამეტე საუკუნის გლეხობის სიდუხჭირე ზედმიწევნით მუქ ფერებში აქვს აღწერილი. რა გასაკვირია, რომ ამ ფონზე საბჭოთა სოფელი ლაღად გამოიყურებოდა. მოკლედ, ეს გაჭირვებული გოგია უიშვილი ახალი წლის შესახვედრად ასე ემზადებოდა: "ხაჭაპურის გამოცხობამდე გადადო ქათმების და ღორის დაკვლა. ის ეხლა დროს გასატარებლად მოჰყვა ძარის და საღორის დათვალიერებას და როცა გაათავა, სიამოვნებით გაუზიარა თავისი კმაყოფილება მარინეს: - ძაან კი გუუწითლებია და გადმუუბრუნებია დუდი იმ ჯაჭველა დედალს! იი ყვერულიც ძაან მსუქანი უნდა იყოს! საწყლები!". გამოდის, რომ გაჭირვებული გლეხი საახალწლო სუფრას მე-19 საუკუნის გურიაში ისე არ მიუჯდებოდა, ზედ ხაჭაპურები, ქათმისა (ქათმების) და ღორის ხორცი რომ არ დაეწყო. ყველი, მჭადი და მწვანილი სათვალავში არ შედის. ახლა ვიკითხოთ, რა შერჩა უიშვილების ოჯახს ეგზეკუციის შემდეგ: ორი ქათამი, სამიოდე ხაჭაპური და ერთი დოქი ადესის ღვინო, თუმცა ჭურში კვლავაც ეგულებოდა ღვინო. ღარიბების რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი მდიდარი ოჯახი, თვეში ხუთასკილოვატიანები, ახალ წელს ისე ვერ ხვდება, როგორც გოგია ეპირებოდა, სანამ რუსის ყაძახები დააქცევდნენ. ხოლო რაც შეეხება უიშვილების საახალწლო სამზადისს ეგზეკუციის შემდეგ, ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ 350 000 ოჯახში საახალწლო სუფრას ასევე ორი დედალი და რამდენიმე ხაჭაპური ამშვენებდეს - ამისათვის სულ ცოტა 20 ლარია საჭირო. ჩვენს ხელისუფალთ სჩვევიათ ხოლმე რიტორიკული კითხვების დასმა, დაახლოებით ამ ტიპის: არ გახსოვთ, როგორ ცხოვრობდით ვარდების რევოლიციამდე? გვახსოვს და ყოველთვის გვემახსოვრება. საკითხავია, თქვენ თუ გახსოვთ, რას გვპირდებოდით ორი წლის წინათ?





# აფიშა

**1 ივნისი**

**თეატრი**

**თეატრალური სარდაფი**
კლოდ მანიე. "ოსკარი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თავისუფალი თეატრი**
"აჩრდილები". დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
"V ვენდეტა"
დასაწყისი: 14:00; 17:00; 20:00; 22:30

**ცირკი**

ცირკი წყალზე
მოსკოვის ცირკის მსახიობთა წარმოდგენა
დასაწყისი: 15.00. ბილეთის ფასი 4-8 ლარი

**გალერეა**

**ჰობი**
ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამოფენა

**კოპალა**
ქართველი თანამედროვე მხატვრების გამოფენა

# შეხვედრა მედეა ჩახავასთან

მზევინარ ხუციშვილი

"მედეა ჩახავა... სახელის ხსენებისთანავე მეხსიერებაში გაცოცხლდება განსაკუთრებული ხიბლით განათებული ულამაზესი სახე, კინოსა და თეატრში განსახიერებული პერსონაჟები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეულან. მისი წარმატებების საწინდარი ყოველთვის განცდის სიწრფელე და შინაგანი სიწმინდე იყო", - ამ შეფასებებით გაიხსენეს 30 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ქალბატონ მედეას მიერ განვლილი შემოქმედებითი მუხტით აღსავსე გზა. 85 წლის მსახიობი ჟურნალისტებს შეხვდა და პრესკონფერენცია გამართა.

პრესკონფერენციას მსახიობთან ერთად მისი კოლეგები და მეგობრებიც ესწრებოდნენ. გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, სოსო ლაღიძე, ნანა ფაჩუაშვილი, კარლო საკანდელიძე, რობერტ სტურუა... მათ გაიხსენეს ქალბატონ მედეა ჩახავასთან ერთად შესრულებული როლები კინოსა და თეატრში, ისაუბრეს მის მრავალფეროვან შემოქმედებაზე და ცხოვრებაზე, აღნიშნეს, რომ - "იგი იშვიათი და განსხვავებული მსახიობია, ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ დღეს მის გვერდით ვზივართ და მის სიხარულს ვიზიარებთ, მოსაგონარი და გასახსენებელი ბევრი გვაქვს, რაც დროის მონაკვეთში ვერ ჩაჯდება. ძალიან გვიხარია, რომ რუსთაველის თეატრს კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატება და ეს მედეა ჩახავას სახელობის იქნება, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია."

პატარა სიურპრიზი, რომელიც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მსახიობს მოუმზადა: მონიტორის საშუალებით შემოგვთავაზეს ქალბატონ მედეას შესრულებული როლები კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან. რასაც მოჰყვა ფილმების "ბაში აჩუკის", "ნინოს" და "გლახის ნაამბობის" გახსენება.

მსახიობი ყურადღებით უსმენდა და აკვირდებოდა მის მიმართ ნათქვამ თითოეულ სიტყვას, ბოლოს კი აღნიშნა, - "მე ყოველთვის დიდ სიყვარულს ვგრძნობ, როგორც ჩემი მეგობრებისგან, აგრეთვე ჟურნალისტებისგან, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ ჩემზე დაიხარჯონ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ."

გარდა საკუთარი შეფასებებისა, მისმა მეგობრებმა გაიხსენეს, საქართველოში ცნობილი ადამიანების გამონათქვამები, სადაც სულ რამდენიმე ბწკარში ქალბატონ მედეას ნიჭიერება და მისი სათნო, კეთილშობილი ბუნებაც არაჩვეულებრივადაა გადმოცემული.

**ვერიკო ანჯაფარიძე:** "ძვირფასი ხარ ქართული ხელოვნებისათვის და უნდა დიდხანს ბრწყინავდე... "

**ლადო გუდიაშვილი**: "თქვენ ქართული თეატრის მშვენება ბრძანდებით..."

**ვასო გოძიაშვილი**: "შენი ნიჭისა და არტისტულობის თაყვანისმცემელი მრავალჟამიერს გისურვებ... "

**რამაზ ჩხიკვაძე**: "არ შეიძლება ამ შესანიშნავი მსახიობის მიმართ მადლიერების გრძნობით არ იყო სავსე... მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ სცენაზე პირველი ნაბიჯის გადადგმისას გვერდით მყავდა ისეთი ნიჭიერი შემოქმედი, რომელმაც ბევრი შემძინა და დიდი როლი ითამაშა ჩემს მსახიობად ჩამოყალიბებაში... "

მედეა ჩახავა დაიბადა 1921 წლის 15 მაისს. 1944 წელს წარჩინებით დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. რუსთაველის თეატრში 1944 წელს მივიდა. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და წოდება: საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია, საქართველოს სახელმწიფო პრემია, ღირსების ორდენი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრემია, თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრემია...

4 ივნისს კი რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში გაიმართება ქალბატონ მედეა ჩახავას ბენეფისი და ვარსკვლავის გახსნის ცერემონია.

# თანამედროვე შემოქმედება

მზევინარ ხუციშვილი

მსოფლიოში აღიარებულ ხელოვნებას - პლაკატების შექმნას საქართველოში არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი რამდენიმე წლის უკან მხატვარმა ბატონმა თამაზ ვარვარიძემ სამხატვრო აკადემიაში ერთ-ერთ წამყვან დარგად აღადგინა გრაფიკის ფაკულტეტზე და პლაკატის სახელოსნო უწოდა. დღევანდელი გადასახედიდან ამ დარგმა სტუდენტებში დიდი დაინტერესება გამოიწვია და წარმატებით აგრძელებს მუშაობას. პედაგოგის დახმარებით სტუდენტები გამოფენებს აწყობენ და მსოფლიოს ქვეყნებში გამართულ გამოფენებზეც აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

სტუდენტთაგან დიდი წარმატებით **ნატო ლაზარაშვილი** გამოირჩევა, რომელმაც არა ერთ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა და დიპლომები და სერტიფიკატები მისი შემოქმედებისთვის არ დაუშურებიათ. შემოქმედი ჯერ ისევ სტუდენტია. გრაფიკის ფაკულტეტზე შესვლისას, მიუხედავად მამის, ცნობილი მხატვრის ბატონი გოგი ლაზარაშვილის რჩევებისა, დიზაინერობა და პლაკატების შექმნა არჩია: "ვმერყეობდი, მამა სხვადასხვა ვერსიებს მთავაზობდა, მაგრამ არჩევანი მე თვითონ გავაკეთე, ვფიქრობ, პლაკატი ფართოა, სტაბილური და უფრო მაინტერესებს" - აღნიშნა შემოქმედმა.

1991 წელს შემოქმედის დებიუტი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში შედგა, სადაც გამოფენა "მშობლები და შვილები" გაიმართა და აკვარელით და გუაშით შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები ჰქონდა წარდგენილი. 2003 წელს გერმანიაში, მაგდებურგის საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო მონაწილეობა. 2004 წელს თბილისის წიგნის მეექვსე ფესტივალზე, ფესტივალის ფარგლებში მოწყობილ პლაკატის კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომი და 2005 წელს იტალიაში საერთაშორისო კონკურსზე, "დიზაინი ბეწვეულის წინააღმდეგ" მესამე ადგილი დაიმსახურა. ხოლო სულ რამდენიმე კვირის უკან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ პროექტში "არა! - ადამიანებით ტრეფიკინგს," პლაკატების კონკურსში ორი ნამუშევარი ჰქონდა წარდგენილი და ორივე დაჯილდოვდა პირველი და მეოთხე ხარისხის სერტიფიკატებით.

ამჟამად ნამუშევრები გაგზავნილი აქვს იტალიის, პოლონეთის საერთაშორისო კონკურსებზე, რომელიც პლაკატების კონკურსთაგან ყველაზე ძველ და პრესტიჟულ კონკურსად ითვლება, მოსკოვის "Golden Beeზე", რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ტარდება და წელს მეშვიდე კონკურსია, იაპონიის, სლოვაკიის კონკურსებზე. შესარჩევი ტური ყველგან გავლილია. მონაწილეობას იღებს გალერეა TMS-ში ჯაზფესტივალის პლაკატების კონკურსზე, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება და ოცდაათი საუკეთესო ნამუშევრიდან მხოლოდ სამი დაჯილდოვდება, აგრეთვე მეშვიდე კინოფესტივალის პლაკატების ფესტივალზე.




**- ხშირია შემთხვევები, როდესაც შვილები მშობლების კვალს მიჰყვებიან, მამის შემოქმედებამ შენზე გავლენა არ მოახდინა?**

- მიუხედავად იმისა, რომ ბავშობიდან მხატვრებთან ვიზრდებოდი და ჩემი ოცნება ფერწერა იყო, მაინც ეს გზა ავირჩიე, თავს აქ უფრო კარგად ვგრძნობ. ბევრს ჰგონია, რომ ეს ხელოვნება არ არის, მე ასე არ ვფიქრობ. თუმცა მხატვრობა ძალიან მიყვარს, მაგრამ ის შემიძლია გავწირო. ამ შემთხვევაში, შემიძლია ყველაფერი გადავდო და ეს გავაკეთო, ჩემი თავი აქ უფრო ვიპოვე.

**- რთულია?**

- რთული არის, მაგრამ მე ერთი ცუდი ჩვევა მაქვს, ყველაფერი ბოლო წუთს უნდა გავაკეთო, მანამდე არ შემიძლია ამაზე ფიქრი, თუმცა მაინც კმაყოფილი ვარ ჩემი შემოქმედებით.

შემოქმედი შეკვეთებზეც მუშაობს. ამჟამად კი კომპანია იუჯი- თის დიზაინერია.

# მიშელ კრაიდერი თბილისში ჩამოდის

იტალიური რეპერტუარის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი მიშელ კრაიდერი თბილისში ჩამოდის. იგი 26 ივნისს ვერდის ოპერაში აიდას პარტიას შეასრულებს, რაც შეეხება რადამესის პარტიას, მას ქართველი არტისტი ბადრი მაისურაძე იმღერებს.

დირიჟორია ზაზა აზმაიფარაშვილი, რეჟისორი - დავით საყვარელიძე, მხატვარი პოლინა რუდჩიკი.

მიშელ კრაიდერმა ვოკალის შესწავლა აიოვას უნივერსიტეტში დაიწყო. რეგიონალურ საოპერო კონკურსში ორჯერ გამარჯვების შემდეგ, მან სწავლა ციურიხის საოპერო სტუდიაში განაგრძო. 1988 წელს მიშელი ლუჩანო პავაროტის კონკურსის ფინალისტი გახდა, 1989 წელს კი ჟენევის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსზე პირველი პრიზი დაიმსახურა, რამაც საშუალება მისცა სპექტაკლში "ტრუბადური" ლეონორას პარტია შეესრულებინა.

1991 წლიდან კრაიდერი მღერის მსოფლიოს ისეთ აღიარებულ საოპერო თეატრებში, როგორიც არის კოვენტ გარდენი, მეტროპოლიტენ ოპერა, სან ფრანცისკოს, ლოს ანჟელესის, ბერლინის, მიუნხენის, ჰამბურგისა და ვენის საოპერო თეატრები. მის რეპერტუარშია მთავარი პარტიები სპექტაკლებში "ტოსკა", "მადამ ბატერფლაი", "ნორმა", "აიდა" და სხვა. იგი მუშაობს ისეთ უდიდეს დირიჟორებთან, როგორებიც არიან - რიკარდო მუტი, დანიელ ბერენბოიმი, ჯეიმს ლივაინი, ნელო სანტი, კრისტოფ ვან დოჰნენი, სემიონ ბიშკოვი.

მომღერალმა დიდ წარმატებას მიაღწია საკონცერტო ჟანრშიც, იგი სოლო კონცერტებს მართავს ნიუ იორკის კარნეგი ჰოლში, ლონდონის როიალ ალბერტ ჰოლში, ბერლინის ფილარმონიაში, მსოფლიოში ცნობილი ორკესტრების - ლონდონის სიმფონიური, პარიზის ნაციონალური და ისრაელის ფილარმონიის ორკესტრების თანხლებით. 1999 წელს კრაიდერის მიერ შესრულებულ ლეონორას ვერდის "ტრუბადურში" (მეტროპოლიტენ ოპერა) უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

2004-2005 წლებში მიშელ კრაიდერის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი სპექტაკლები იყო: "ტოსკა" ვენის სახელმწიფო ოპერაში, ასევე ამელიას პარტია "ბალ-მასკარადში" (ციურიხის საოპერო თეატრი). მიმდინარე სეზონში მიშელ კრაიდერი მიწვეულია ბერლინისა და ციურიხის სახელმწიფო საოპერო თეატრებში ტოსკას პარტიის, მეტროპოლიტენ ოპერაში აიდას, ხოლო თელავივის საოპერო თეატრში კი ამელიას როლის შესასრულებლად "ბალ-მასკარადის" ახალ დადგმაში.

დღეისათვის, მიშელ კრაიდერი იტალიური რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება მთელ მსოფლიოში.

# "მოძრაობის თეატრი" და ბენდი

კახა ბაკურაძის "მოძრაობის თეატრი" და ბენდი საგასტროლოდ თურქეთის ქალაქ სტამბოლში გაემგზავრა.

როგორც თეატრის პრესსამსახურში აცხადებენ, 1-3 ივნისს სტამბოლში "თბილისის კულტურის დღეები" გაიმართება. კულტურის დღეების ფარგლებში, 2 ივნისს "მოძრაობის თეატრი" ქალაქ სტამბოლში გამართავს თეატრალიზებულ აქციას ცოცხალი მუსიკის თანხლებით, 3 ივნისს კი თეატრი ქალაქ სტამბოლში ითამაშებს სპექტაკლს "მიმიკრია".

თეატრის პრესსამსახურში განმარტავენ, რომ "მიმიკრია" ბალეტის, ცეკვის, აკრობატიკისა, ცირკისა და პანტომიმის ელემენტების სინთეზს წარმოადგენს. სპექტაკლის განუყოფელი ნაწილია მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალ შესრულებას. სპექტაკლი "მიმიკრია" მობილურია, დეკორაციების მონტაჟიც და დემონტაჟიც თავად დასის წევრებს შეუძლიათ.

კახა ბაკურაძის "მოძრაობის თეატრი" და ბენდი საქართველოში 5 ივნისს დაბრუნდება.

*ინტერპრესნიუსი*

# მხატვარი, რომელიც დროს უსწრებს

## ლევან ლაღიძე და ისევ TMS

სოფო კილასონია



5 მაისის შემდეგ, მთელი თვე TMS-ში ლევან ლაღიძის გამოფენა მიმდინარეობდა. უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს მხატვარი და ეს გალერეა გარკვეულწილად ერთიან მოვლენად აღიქმება. ეს იმიტომ, რომ მრავალი წელია, რაც ლევან ლაღიძე საქართველოში მხოლოდ TMS გალერეაში გვეპატიჟება, ამ გალერეის ხელმძღვანელობა კი ლაღიძეს საკუთარ სახედ მიიჩნევს.

TMS გალერეის ოთახებში, სადაც სხვადასხვა დროის აფიშების ექსპოზიციაა, ლევან ლაღიძის ნამუშევრებით შემკული გამოფენის საანონსო ფურცლები სჭარბობს. მხატვარი და გალერეა 1995 წლიდან ერთად მოღვაწეობენ, მაგრამ თუ ამ აფიშებით ვიმსჯელებთ, როგორც ერთის, ისე მეორის ინტერესები, სტილი და ესთეტიკა დროთა განმავლობაში შეცვლილა. მიუხედავად ამისა, ლაღიძის მხატვრობის ამოცნობა ძალზე იოლია, მისი მხატვრულად მეტყველი ნიშნები ნამუშევრიდან ნამუშევარში გადადის და მხატვრული სახეც იოლად ამოსაცნობია.

გალერეის ხელმძღვანელი ბატონი მერაბ ლორთქიფანიძე ლაღიძის მხატვრობას კარგად იცნობს და ზოგადად საგამოფენო საქმიანობის ერთ-ერთი ექსპერტია:

- უკვე წლებია, რაც ამ მხატვართან ვმუშაობთ. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მის გამოფენას ვმასპინძლობთ.

**- უმარტივესი კითხვა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საინტერესო: თავის დროზე რატომ შეაჩერეთ თქვენი არჩევანი ლევან ლაღიძეზე?**

- აქ ყველაფერია ერთად: პირადი გემოვნება, საერთო აზრი. მომწონს მისი მხატვრობა. ძალიან ბევრი უნდა ილაპარაკო ადამიანმა, რომ შეაფასო ეს მხატვარი. ჩემი აზრით, დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, თანამედროვე და ღრმა მხატვარია. ახერხებს ისეთი ჰარმონიის შექმნას, რომელიც შიგნიდანაც მოდის, გონებასაც ექვემდებარება და ინტელექტსაც,

**- რამდენად ესმის და მოსწონს ეს მხატვრობა თქვენი გალერეის დამთვალიერებელს?**

- ლევანი ბევრად უსწრებს დროს. ამით იმის თქმა მინდა, რომ დამთვალიერებლის დიდი ნაწილი სათანადოდ ვერ აფასებს მის ხელოვნებას, მაგრამ ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტის აზრსაც და გალერეასაც, რამდენად აჩვევენ ისინი საზოგადოებას, მის თვალს ამ შემთხვევაში ლევან ლაღიძის შემოქმედებას.

**- დიდი განსხვავებაა კომერციულ ინტერესებსა და სხვა, ბევრად შემოქმედებით პროექტებს შორის? კომერციული ინტერესების შემთხვევაში ნებისმიერ ნამუშევარს გამოფენთ?**

- რა თქმა უნდა, არჩევანი აუცილებელია, რათა არ დავკარგოთ სახე, ხოლო ის მცირერიცხოვანი მაყურებელი, რომელიც ჩვენთან მოდის და ყოველთვის ელის გარკვეულ დონეს, არ გაწბილდეს. ერთი დონის შენარჩუნება, რომ ყველა გამოფენა კარგი იყოს, ძნელია - საქართველოში არ არის ამდენი კარგი მხატვარი. აქედან გამომდინარე, ძალაუნებურად გვიწევს შეზავება. მხატვართა უმრავლესობის შემთხვევაში კომერციაზე ლაპარაკიც არ არის, მათთვის გალერეა მუდამ ღიაა. საერთოდ, კომერცია მხატვრობაში ჩვენთან და საზღვარგარეთ ძალიან დაშორებული მოვლენებია მასშტაბთა დიდი სხვაობის გამო.

**- მხატვართა უმრავლესობას, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებს უკვე მიაღწიეს, საუბარში უთქვამს, რომ თბილისში გამოფენის მოწყობა მათთვის საინტერესო არ არის. თქვენი აზრით, რატომ? შეიძლება თუ არა ამ პრობლემის მოგვარება და რა როლი ენიჭება აქ გალერისტს?**

- შეიძლება, მაგრამ მარტო გალერისტმა კი არა, მხატვარმაც უნდა მოინდომოს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებამაც, მაგრამ ამ ინდიფერენტულობის მთავარი მიზეზი ეკონომიკურ გაჭირვებაში იმალება. ეკონომიკურად რაც უფრო ძლიერია ადამიანი, სულაც რომ არ ესმოდეს მხატვრობა, მაინც მეტს ნახულობს. სადღაც ნახავს და იქ მიხვდება, რომ რაღაც ახალია და მისგან დაკვირვებას საჭიროებს. აქ რომ შემოდის, ამაზე არ ფიქრობს, ჰგონია, რომ ეს ყველაფერი მოგონილია. სერიოზულობა აკლია ამ საქმეს.

**- საგალერეო მენეჯმენტში რა არის ის მთავარი, რითიც წარმატება მიიღწევა: ბევრი დამთვალიერებელი მოდის, ანდა ბევრი ნამუშევარი იყიდება? ეს PR-ის საკითხებია?**

- დიახ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს სფერო გამართულია. თანაც, ეს მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ეს უნდა აინტერესებდეს ტელევიზიას, ჟურნალს, გაზეთს, უნდა არსებობდეს კრიტიკა. კრიტიკა ნიშნავს ადამიანის რეცენზიას, რომელიც ფართო მასებს კომპეტენტურად მოუყვება თავის შეხედულებას, ბევრად უფრო დეტალურად და გასაგებად აუხსნის, ვიდრე ამას სხვა გააკეთებს.

**- თანამშრომლობთ თუ არა ასეთ ადამიანებთან?**

- ისინი ძალიან ცოტანი არიან. რაც მთავარია, მედიაში არ არის ასეთი ნიშა. დროდადრო თქვენს გაზეთში იბეჭდება ამგვარი სტატიები, მაგრამ საზოგადოებისთვის ეს საკმარისი არ არის.

ლევან ლაღიძის ექსპოზიციამ TMS-ში 30 მაისამდე გასტანა, თუმცა გალერეა მის ფერწერას ალბათ მალე ისევ წარმოგვიდგენს. მხატვრობა, რომელშიც სხვადასხვა ფაქტურის სიბრტყეები ხან უპირისპირდებიან და ხანაც ეხამებიან ერთმანეთს სხვადასხვა ფერადოვნებისა და რიტმულობის ვარიაციებით, მართლაც უჩვეულო ემოციებს ბადებს და დიდი ხნით აღიბეჭდება დამთვალიერებლის გონებაში.

# ინფორმაცია

საქართველოს **თავდაცვის სამინისტრო**, საქართველოს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ **2006 წლის 19 მაისის გაზეთ** "24 საათში" განთავსებული **ორგტექნიკის** შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

1. N1 ლოტში გამოცხადებული 12 ცალი ასლგადამღები აპარატის ნაცვლად შევისყიდით 8 ცალს;
2. N2 ლოტში გამოცხადებული 22 ცალი პრინტერის ნაცვლად შევისყიდით 12 ცალს;
3. N3 ლოტში გამოცხადებული 58 ცალი უწყვეტი კვების წყაროს ნაცვლად შევისყიდით 33 ცალს;
4. N4 ლოტში გამოცხადებული 54 კომპლექტი კომპიუტერის ნაცვლად შევისყიდით 29 კომპლექტს;
5. N7 ლოტში გამოცხადებული 4 ცალი ვიდეოპროექტორის ნაცვლად შევისყიდით 2 ცალს;
6. N8 ლოტში გამოცხადებული 4 ცალი თეთრი ეკრანის (დიდი) ნაცვლად შევისყიდით 1 ცალს.

# დავაპროექტოთ და ავაშენოთ თბილისი თანამედროვე მოთხოვნილებათა მიხედვით

*- საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი*
*- სახელმწიფო პრემიის ლაურეატი*
*- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი*
*- საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი*
*- საქართველოს არქიტექტორთა კავშირის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე.*

კიაზო ნახუცრიშვილი

ამ ბოლო დროს თბილისის ქალაქმშენებლობაში და ახლად აშენებულ სახლებში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა, ადრე ასეთი მკვეთრი განსხვავება არქიტექტურულ შემოქმედებაში ნაკლებად იგრძნობოდა.

არ შეიძლება არ დავინახოთ ის დიდი საქმიანობა და მონდომება, რაც ამჟამად ხდება: შენდება მრავალნაირი დანიშნულების შენობა-ნაგებობები, იცვლება დრომოჭმული და დანგრეული გზები თავისი მიწისქვეშა კომუნიკაციებით, რემონტდება და იღებება დაზიანებული და მტვრისგან ფერდაკარგული სახლები. მართალია, ფერთა შეხამებაში იყო ზოგიერთი დარღვევები, რაზედაც თავის დროზე გამოვაქვეყნეთ სტატია (იხ. "საქართველოს რესპუბლიკა" №188, 10 აგვისტო 2005 წ. რის შემდეგაც შედარებით გამოსწორდა მდგომარეობა.

ახლო მომავალში დაწყებულია და უფრო გაიშლება დიდი მასშტაბის მშენებლობანი და რეკონსტრუქციები: ბავშვთა ბაგების, სკოლების, სპორტული მოედნების, თბილისის გარდა, ასევე, საქართველოს ქალაქებში და სოფლებში, რაც მისასალმებელია.

თბილისში თუ ამ ახლად აგებულ შენობებს გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ ზოგიერთი შენობა მოხდენილია, დანარჩენი, გამონაკლისის გარდა, არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით, უარყოფით შეფასებას იმსახურებს. ნაწილობრივ ეს გამოიწვია ჯერ კიდევ 1989 წლის დროს მომხდარმა მთელმა რიგმა ფაქტორებმა: ქვეყანაში არსებულმა ცვლილებებმა, გარდამავალი პერიოდის ზოგიერთმა მავნე და უარყოფითმა მოვლენამ, უცხოეთის გავლენამ (ზოგადსაკაცობრიოს არ ვგულისხმობთ), რომელიც ფეხს იკიდებს ჩვენში და ვრცელდება ზოგიერთი მცდარი, საეჭვო ღირებულების, ჩვენი ტრადიციების უგულებელყოფის და ჩვენთვის მიუღებელი გაუცხოებული იერსახის ნაგებობები. შემოიჭრა უგემოვნო მოდის სხვადასხვა მიმდინარეობის - პოსტმოდერნის, დეკონსტრუქტივიზმისა და ეკლექტიზმის, ერთმანეთში არეული, სტილის შეუსაბამო გადაწყვეტილებით, რამაც წარმოშვა მახინჯი შენობები.

ამ უცხოურმა მიმდინარეობებმა ლამის წალეკოს უმდიდრესი, ძვირფასი ტრადიციების მქონე საქართველოს კულტურულ-ეროვნული თვითმყოფადობა, რომელიც ორგანულადაა შერწყმული ჩვენს ბუნებასთან, რელიეფთან, კლიმატურ პირობებთან, ცხოვრების თავისებურ ადათწესთან.

ყოველივემ აღშფოთება გამოიწვია და თავისი გულისწყრომა გამოხატა არქიტექტორთა კავშირმა, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა, ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ და თბილისის მოსახლეობამ.

ისმება კითხვა - რამდენად ამართლებს ბოლოდროინდელი არქიტექტურა ამ მოთხოვნილებებს, რასაც უყენებს თანამედროვე ცხოვრების პირობები? იგი დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის არსებულ მდგომარეობასთან. დღეს ჩნდება იმედი იმისა, რომ ყოველივე აღნიშნული გამოსწორდეს.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ამ ბოლო დროს რამოდენიმე კარგი შენობა შეემატა თბილისს. ასეთებია: დავით აღმაშენებლის პროსპექტზე №69-ში სამსართულიანი ოფისი, ხოშტარიას ქ. №18-ში საცხოვრებელი სახლი, მთაწმინდის ფერდობზე ორსართულიანი სახლი - ბიზნესცენტრი, ნინოშვილისა და მარჯანიშვილის, ჭოველიძის და ხოშტარიას, ფალიაშვილისა და ერისთავის ქუჩათა გადაკვეთის კუთხეებში, აგრეთვე რიგის, რაზმაძის ქუჩებზე საცხოვრებელი სახლები, კ. გამსახურდიას ქუჩაზე კაფე-ბარი. ზოგიერთი ბენზინგასამართი სადგური, არსებულ შენობათა პირველ სართულებზე მოწყობილი ზოგიერთი კაფე-ბარი, მაღაზიები, ოფისები.

რითი არიან ღირსშესანიშნავი და რანაირად იმსახურებენ დადებით შეფასებას?

ისინი თანამედროვე მოთხოვნილებათა მიხედვითაა დაპროექტებული და ამართლებს თავის დანიშნულებას, იძლევა არქიტექტურული კომპოზიციის იდეის ჩანაფიქრის ახლებურ ლოგიკურ გადაწყვეტილებას, შენობის შიდა და გარე ფორმების ჰარმონიულ ერთ მთლიანობაში მოყვანას, ადგილობრივ გარემოსთან შეხამების და მასშტაბურობის დაცვას, შენობის არქიტექტურულ-მოცულობითი ფორმები უფრო პლასტიკური და ფერთა გამასთან ერთად მეტყველი და მრავალფეროვანი გახდა, გამოყენებულია ხარისხიანი, მრავალნაირი სახის სამშენებლო მასალები: როგორიცაა მოსაპირკეთებელი, ასევე ფართო ზომის მრავალსახეობის მინა, მეტალო-პლასტიკის კარფანჯრები, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობები. ყოველივე აღნიშნულის გამო, შენობის არქიტექტურული იერსახე მაღალხარისხოვანი შესრულებით, მოხდენილია და თავისი ემოციური დატვირთვით, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ამავე დროს აშენდა დედაქალაქისათვის სრულიად შეუფერებელი შენობები, ამასთან სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დარღვევით, რომლებიც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს და სათანადო რეაქციას იწვევს როგორც მოსახლეობის, ასევე სპეციალისტების მხრიდან, რის შესახებაც არაერთხელ გვისაუბრია კონფერენციებზე, სხდომებზე, პრესაში და სხვა.

ავიღოთ თუნდაც პეტრიაშვილის ისედაც ვიწრო ქუჩაზე აშენებული სახლი თავისი მოცულობითი სიდიდით, 7-სართულიანი, შეუსაბამო ვიწრო ქუჩასთან წინ გამოწეული ვეებერთელა ფორმით, გარემოსთან შეუფერებელი, კომპოზიციურად ერთ მთლიანობაში არ არის მოყვანილი და ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. იმავე უბანში, ლარსის შესახვევში აშენდა საცხოვრებელი, რომლის მოცულობა შემობრუნებული დგას და ამის გამო ბინები ჩაბნელებულია და თვით შენობის არქიტექტურული იერსახე, მისი კომპოზიციური გადაწყვეტა მიუღებულია და უშნოა. ჯანაშიას ქუჩაზე ახლახან წამოჭიმეს 8-სართულიანი შენობა, ასევეა თარხნიშვილის ქუჩაზე, რომელიც წინ ისეა წამოწეული, ისედაც 10-მეტრიან ვიწრო ქუჩას, კიდევ უფრო ავიწროვებს და სანიტარიულ ნორმებს არღვევს. ასეთივე მდგომარეობაა ბარნოვის №58-ში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არის შემთხვევები, როდესაც ახალ, კარგ წამოწყებას და ღონისძიებას ყურადღება არ ექცევა. მაგალითად, შარშან ჩატარდა კონკურსი სააკაძის მოედნის მოშენების პროექტზე, სადაც გამოვლინდა შედარებით უკეთესი პროექტი. როგორც წესი და კანონი მოითხოვს, მის მიხედვით უნდა განხორციელდეს მშენებლობა. როგორც ამჟამად ირკვევა, აღარ სურთ პროექტის გადაწყვეტის მიხედვით მისი განხორციელება?! თანაც დამკვეთს ართმევენ ტერიტორიას.

რა ხდება ძველ თბილისში?

ამ ბოლო დროს ძველი თბილისის უბნებში დაიწყეს დიდი მოცულობის შენობების დაპროექტება-აშენება, რომელთა უმრავლესობა არ შეესატყვისება გარემოს და ამასთან, მის გვერდით არსებულ მაღალმხატვრული ღირებულების, ძეგლად აღიარებული შენობის დანგრევას ან დაფარვას იწვევს. არადა არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით, რამდენი შესანიშნავი შენობაა აქ.

ტრანსპორტის მოძრაობის უკეთესად წარმართვისათვის იქნებ საჭიროა ახლავე დავიწყოთ უფრო დიდი, ფართომასშტაბიანი ღონისძიებების ჩატარება, როგორიცაა ვახუშტის ქუჩის გაგრძელება ნაძალადევისკენ, უნივერსიტეტის და ვარაზისხევის გადაკვეთის სატრანსპორტო კვანძით მოგვარება, ნავთლუღის უბნის მაგისტრალით შეერთება ნაძალადევთან, ვერა მდინარის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ 3 კილომეტრის სიგრძის თავისუფალ მონაკვეთზე მაგისტრალის შექმნით განიტვირთება ჭავჭავაძის პროსპექტი და საბურთალოს მიმდებარე ქუჩები გმირთა მოედნისაკენ, მათი გატარებით სანაპიროსკენ. რუსთავისკენ და მარნეულისკენ გასაყარ მაგისტრალთან ხიდის გაყვანა მოახდენს დიდ ცვლილებას ტრანსპორტის მოძრაობის გადანაწილების თვალსაზრისით ფონიჭალის და ნავთლუღის უბანში. გმირთა მოედანზე ესტაკადის მოწყობა ვარაზისხევიდან ვაგზლისაკენ სათანადო შედეგს გამოიღებს, ასევე კოსტავას ქუჩის გაჭედილ საცობს ეშველება გვირაბის გაყვანით ფილარმონიასთან მდებარე მოედნიდან ტექნიკურ ბიბლიოთეკამდე და ა.შ. აქ წარმოდგენილი ღონისძიებები მეტი წილი ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაშია გათვალისწინებული, ამიტომ ისინი სხვა მრავალ ობიექტთან შედარებით პირველ რიგში უნდა იქნეს განხორციელებული.


*ხოშტარია-ბელინსკის ქუჩების გადაკვეთა. ავტორები: დავით აბულაძე, ილია ბერიკაშვილი.*


*ფალიაშვილისა და ერისთავის ქუჩების გადაკვეთა. ავტორები: დავით აბულაძე, ილია ბერიკაშვილი.*

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის გენგეგმის მიხედვით მშენებლობათა წარმართვას, ამიტომ უნდა დამთავრდეს და დაზუსტდეს ქალაქის გენგეგმის განაშენიანების პროექტი. განსაკუთრებით რეკონსტრუქციის ზონებში დიდი შეცდომებია დაშვებული არსებული ისედაც ვიწრო ქუჩების სიგანის შემცირებაში, სადაც ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობებია. მომავალში შეიძლება ასეთი ქუჩების გაგანიერება მოხდეს, ამას კი არ ითვალისწინებენ. ახლად აშენებულ შენობებში ბინებს უმთავრესად შეძლებულები ყიდულობენ, რომელთაც ორი - სამი ატომანქანა ჰყავთ, რომლის გამოც იმ უბანში გროვდება უამრავი რაოდენობის ავტომანქანა, მისასვლელი გზა კი არ არის. საერთოდ თბილისში ტრანსპორტის რაოდენობა მეტისმეტად გაიზარდა, მისი მოძრაობა უკვე იწვევს ქალაქის პარალიზებას, მიუხედავად მარშუტკების გადანაწილებისა. ამიტომ შეძლებისდაგვარად სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ სატრანსპორტო კვანძების და მაგისტრალების, ქუჩების რეკონსტრუქცია.

ამასთან პერსპექტიული განვითარების ქალაქმშენებლობითი კონცეფციის მიხედვით ჩამოყალიბებული გენგეგმით უნდა ხდებოდეს მშენებლობა.

რა ხდება ამ მხრივ?

უნდა აღინიშნოს, რომ გაჩნდა ტენდეცია და მოწვეული იქნენ უცხო ფირმები, რომლებიც თბილისში ზოგიერთ ცენტრალურ მნიშვნელოვან მონაკვეთში დააპროექტებენ და ააშენებენ დიდი მოცულობის შენობებს, ერთი მხრივ ეს კარგია, გვეხმარებიან, მაგრამ დასაწყისშივე შეინიშნება, რომ ისინი არ ითვალისწინებენ არც ქალაქის გენერალური გეგმისა და ადგილმდებარეობის განაშენიანების სტრუქტურას, მასთან არსებული სატრანსპორტო კვანძის მდგომარეობას. თვითონ შენობათა პროექტები დაბალ დონეზეა გადაწყვეტილი და თავისი სივრცით - მოცულობითი მასშტაბითა და ფორმის იერსახით შეუსაბამოა იმ სიტუაციაში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს მექანიზმი, რათა გამკაცრდეს მეთვალყურეობა და კონტროლი შენობის მშენებლობაზე შეთანხმებული პროექტის მიხედვით ზუსტად განსახორციელებლად. ხშირია მშენებლობებზე მათი უნებართვო არასწორი გადაკეთებები დამკვეთის და მშენებლის მიერ. არის შემთხვევებიც, თვითონ ავტორს აშენებული აღარ მოსწონს და იწყებს მის უთავბოლოდ გადაკეთებას, მაგრამ უარესს აკეთებს თავისი უცოდინრობით, მრავალნაირი სტილის არქიტექტურული ფორმებით ფასადები შეუსაბამოდ არის გადატვირთული და შედეგიც ცუდია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქალაქის ურბანიზაციის პროცესს ვერ შევაჩერებთ. არის შემთხვევები, სადაც საჭიროა ქალაქის განვითარების გენგეგმას გავუწიოთ ანგარიში და სათანადო ღონისძიებები ჩავატაროთ, განსაკუთრებით ქალაქის ისტორიულად დაცვით ზონებში. ამ შემთხვევაში მეტისმეტი სენტიმენტალური მიდგომაც არ ივარგებს, რადგან ქალაქი მოითხოვს განახლებას, განვითარებას, ქუჩების გაფართოებას, მაგისტრალების გაყვანას, სათანადო თანამედროვე დონეზე განაშენიანების მოწყობას, კომფორტის შექმნას და სხვა, აგრეთვე ზოგიერთი შენობის რეკონსტრუქცია - აღდგენას. ეს ყველაფერი უნდა იყოს არგუმენტირებული და სათანადო დადებით შედეგს იძლეოდეს.

ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია შესანიშნავი არქიტექტორების შოთა ყავლაშვილის და გიგა ბათიაშვილის ხელმძღვანელობით სათანადო ტაქტით, მასშტაბური დაცვით, შედარებით ადრე დაპროექტებული და განხორციელებული ბარათაშვილის, ლესელიძის, სანაპიროს მონაკვეთის, ბამბის, შარდენის, კიბალჩიჩის ფერდობების და სხვათა განაშენიანების აღდგენა - რეკონსტრუქცია, რომელმაც სათანადო კარგი შედეგი გამოიღო.

რა არის დარღვევის მიზეზი და შეძლებისდაგვარად როგორ უნდა გამოვასწოროთ არსებული მდგომარეობა?

ეს მრავალმა ფაქტორმა განაპირობა და ჩვენ ზოგიერთ ძირითად საკითხზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

მოსაგვარებელია საქმიანობა თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში. ჯერ ერთი, მისი სამუშაო რთული და დიდია თავისი მასშტაბით. იგი ემსახურება ქალაქს, რომელსაც გააჩნია მილიონნახევრიანი მოსახლეობა, უზარმაზარ ტერიტორიაზე განთავსებული, რომელსაც უკავია უძველესი, ძველი და ახალი განაშენიანებები თავისი მრავალმხრივი პრობლემებით. ამასთან გაუსაძლის გარდამავალ პერიოდში მოუხდათ მუშაობა და ხშირად საჭირო შეიქმნა ქალაქის მთავარი არქიტექტორის გამოცვლა, რაც გარკვეულ გავლენას ახდენდა საბჭოს ეფექტურ მუშაობაზე.

თვითონ საბჭო უვარგის პროექტებს ითანხმებდა და ამბობდნენ ეს ავტორს მივანდოთო, რომელთაც პროფესიონალური დონე მეტ წილად დაბალი აქვთ და მათი პროექტის შემოქმედებითი მხარე მიუღებელია. ასეთი შეთანხმებული პროექტით აშენებული მახინჯი შენობები მომრავლდა თბილისში და აღშფოთებას იწვევს, როგორც სპეციალისტთა, ასევე მოსახლეობის მხრიდან.

პროექტი აუცილებლად უნდა იხილებოდეს ექსპერტიზაზე, აგრეთვე ლიცენზირება ხდებოდეს და გამოიცეს ახალი ნორმები და წესები, რათა დაზღვეული ვიყოთ უხეში შეცდომებისაგან.

ქალაქის უმნიშვნელოვანესი ობიექტების პროექტი შეთანხმებამდე უნდა იხილებოდეს არქიტექტორთა კავშირშიც.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნული თუ არ იქნება გათვალისწინებული, ისევ იგივე შეცდომები იქნება დაშვებული მომავალში, რაც დღეს თბილისში არქიტექტურასა და მშენებლობაში ხდება, ამიტომ ამ საქმეს სათანადო პატრონი სჭირდება.

დრო არ ითმენს, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მოკლე დროში გამოვასწოროთ მდგომარეობა, რისი საწინდარიც არის ამ ბოლო დროს შემუშავებული ღონისძიებები, რომელსაც ატარებენ: თბილისის მერია და საკრებულო, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და არქიტექტორთა კავშირი.

დავაპროექტოთ და ავაშენოთ თბილისი თანამედროვე პროფესიონალურ დონეზე.




## ჩინეთის რეკლამა

ქუინსი ჯონსი ჩინეთს პირველად ცოტა ხნის წინ ეწვია. ის იმდენად მოიხიბლა ამ ქვეყნით, რომ ოლიმპიური თამაშების კომიტეტს 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მუსიკალური თემის დაწერა შესთავაზა.

73 წლის მუსიკოსის, კომპოზიტორის, დირიჟორისა და პროდიუსერის შეთავაზებას ორგანიზატორები, ცხადია, სიხარულით დათანხმდნენ. თუმცა, კონკურსი თამაშების ოფიციალური სიმღერის შესაქმნელად მაინც ძალაში დარჩება.

ქუინსი ჯონსი აცხადებს: "მინდა ამ ფანტასტიკურ ღონისძიებას მივუძღვნა ყველაზე დიდი რამ, რაც გამაჩნია - მუსიკა. ჩემი 60-წლიანი კარიერის განმავლობაში, თურმე, ამ დღისკენ მოვდიოდი... სიამაყით მავსებს იმის გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება ოლიმპიური თამაშების მუსიკალური თემა დავწერო და ორკესტრსაც თავად გავუძღვე".

ორგანიზატორების აზრითაც, ქუინსი ჯონსის დაინტერესება ოლიმპიური თამაშებისთვის ძალიან პრესტიჟული ამბავია. მისი სახელი მსოფლიოს გარშემო უამრავ ადამიანს გაუღვივებს ცნობისმოყვარეობას პეკინის თამაშების მიმართ".

რაც შეეხება კონკურსს ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სიმღერის გამოსავლენად, უკვე




500-მდე სიმღერა და 5 ათასამდე ტექსტია ჩართული.

ქუინსი ჯონსი "გრემიზე" თავისი ხანგრძლივი კარიერისთვის დააჯილდოვეს. ჯონსმა უამრავ დიდ მუსიკოსთან იმუშავა: ფრენკ სინატრასთან, მაიკლ ჯექსონთან, რეი ჩარლზთან, დიზი გილესპისთან, ქაუნთ ბეისისთან და ელა ფიცჯერალდთან. დღეს ის მულტი-მილიონერი მომღერალია და აქტიურად არის ჩართული საპროდიუსერო საქმეში. ჩინეთში კი, მისივე სიტყვებით, ქუინსი ჯონსმა აღმოაჩინა "ოთხიათასწლიანი უდიდესი კულტურა". "მე მართლა ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა, სამზარეულო, კულტურა, ულამაზესი ქალები - მართლა იშვიათად შევხვედრივარ ასეთ ლამაზ ქალებს! მინდა გავხდე ის ადამიანი, რომელიც მთელ მსოფლიოს შეატყობინებს, თუ როგორი არნახული ქვეყანაა ჩინეთი".

2008 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები კი იმედოვნებენ, რომ გრანდიოზული ღონისძიების პოპულარიზაციას ქუინსი ჯონსი მართლაც შეძლებს.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 03.05.19**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ყაზბეგის რაიონის, სოფ. ცდოს რეაბილიტაცია**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ყაზბეგის რაიონის, სოფ. ცდოს გაზსადენის რეაბილიტაცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფ. ცდოს სათემო კავშირთან "ცდო"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სოფ. ცდოს სათემო კავშირი "ცდო" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 2 ივნისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 500 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 3 ივლისს 12:00** - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 3 ივლისს 12:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**

**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

---

2006 წლის 15 ივნისს 18.00 საათზე გაიმართება **კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის** წევრთა საერთო კრება. ორგანიზაციის წევრებს გთხოვთ მობრძანდეთ კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, მიტროფანე ლაღიძის ქ. N3. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 922561, 922566

---

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისში საყრდენი კედლების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად):

1. სტურუას ქ. N5-7.
2. კეკელიძის ქუჩა N1

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს:

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე (ძირითადად - ჩამოშლილი ფერდობების გამო შექმნილი საფრთხესაშიში სიტუაცია) საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საყრდენი კედლების მოწყობისა და თანმდევი კეთილმოწყობის სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაციას.

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 დღე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 22 ივნისის 12 საათიდან 22 ივნისის 17.30 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 1 ივნისის 12 საათიდან 2006 წლის 22 ივნისის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ივანე კვინიკაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

---


## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39**

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**

- ალმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge






## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზ. N2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება: ექსპერტიზა გავლილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უნდა ჩატარდეს ავარიული საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბერი.

*3.* განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 23 ივნისის 12 საათიდან 2006 წლის 23 ივნისის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4.* პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 1 ივნისის 12 საათიდან 22 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.*ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელსეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების რირებულების 5% ოდენობით.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**




## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

24 საათი B
# ბიზნესი
© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



## აბრამოვიჩი "ევრაზის" აქციებს ყიდულობს

## უყურე რეკლამას და ილაპარაკე უფასოდ! ვენესუელაში




## კალაშნიკოვის ქარხანას აშენებენ

B3

## ელექტროენერგიის დიფერენცირებული ტარიფი დღეიდან ამოქმედდება

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3745 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 2,0007 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4901 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8000 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8396 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1824 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3101 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3125 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3120 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4778 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3462 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1696 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1609 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3739 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1968 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2499 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3991 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6346 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,2668 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,6460 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3636 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2955 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5880 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6047 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0667 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1416 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4190 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5588 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4732 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5647 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8857 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2243 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1484 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4440 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2495 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4827 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0820 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2243 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2320 |




# ჯუზეპე ვერდის ენერგეტიკული ეპოპეა

დიანა ჩაჩუა

*საეჭვოა, გასული საუკუნის შუახანებში ჯუზეპე ვერდის თავისი ცნობილი ოპერის "ნაბუკოს" შექმნისას ევროკავშირისთვის ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციაზე ეფიქრა. თითქმის ორი ასწლეულის გასვლის შემდეგ დიდი იტალიელი კომპოზიტორის ამ უკვდავი ოპერის სახელი ორმაგ ასოციაციებს იწვევს: ზოგისთვის - ბარიტონების, სოპრანოების, ტენორების და ბანების სასიამოვნო ჟღერადობას, ზოგისთვის კი - რუსეთზე დამოკიდებულების უხერხულ შეგრძნებას, რომელიც ევროპას გაზის და ნავთობის ალტერნატიული წყაროების მოძიებაზე ღრმად აფიქრებს.*

- ჯერჯერობით უცნობია, რა მიმართულებით წავა ირანული გაზი - აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენ? ეს წმინდა "ეკონომიკური" დილემა დღეს მსოფლიოს ისე აწუხებს, როგორც არასდროს.
- წინასწარი მონაცემებით, 2 მილიარდ დოლარად შეფასებული გაზსადენი ბუნებრივ აირს კასპიის რეგიონიდან, საქართველოს და შავი ზღვის გავლით, უკრაინას, შემდეგ კი ევროპის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ქვეყნებს მიაწვდის. გაივლის თუ არა საქართველოზე ევროპისკენ მიმავალი ბუნებრივი აირი, ამას დრო (და არა მარტო დრო) გვიჩვენებს.

გაზის გიგანტურ რესურსებსა და პოტენციურ ბაზრებს შორის დამაკავშირებელი გზები

B2




# "კასპიცემენტი", შესაძლოა, სააქციო საზოგადოება აღარ იყოს

თეა თედლიაშვილი

*სააქციო საზოგადოება "კასპიცემენტის" კასპელმა აქციონერებმა საწარმოს მიერ "აქციათა გამოსყიდვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე" ფოსტით განცხადებები მიიღეს, რომლებიც მარშალის კუნძულებიდან იყო გამოგზავნილი...*

- 2005 წლის 24 ივნისს საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ, შევიდა ცვლილებები და აქციონერს, რომელიც სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95 პროცენტზე მეტს ფლობს, უფლება ეძლევა, გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.
- ამ კანონში არსად ჩანს, რომ აქციონერი ვალდებულია, აუცილებლად მიჰყიდოს თავისი აქციები ქაღალდების 95 პროცენტის მფლობელს. ის, რომ აქციები მფლობელის სურვილის მიუხედავად მაინც მყიდველის საკუთრებაში გადავა, დარღვევაა.
- კასპელი აქციონერების უმრავლესობა თავისი აქციების გაყიდვაზე უარს ამბობს და აქციების მყიდველის საკუთრებაში გადასვლის კანონიერებით ინტერესდება.



B2

# "სახალხო ბანკი" პავილიონების გახსნას იწყებს

"სახალხო ბანკის" ქსელს კიდევ 12 ფილიალი და 11 პავილიონი შეემატება

*"სახალხო ბანკი" მოქალაქეების მომსახურების გამარტივებისა და გაიოლების მიზნით სპეციალური პავილიონების გახსნას იწყებს. გუშინ პირველი ასეთი პავილიონი ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მეტროსადგურ "სამედიცინო ინსტიტუტის" მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინ.*

ახალ პავილიონებში დამონტაჟებული იქნება ბანკომატები, რომლებიც აღრიცხვისა და ანგარიშსწორების საუკეთესო ფორმას წარმოადგენს, მუდმივად იმუშავებს ერთი მოლარე-ოპერატორი და მოქალაქეებს, მათ შორის - პენსიონერებს, მოემსახურება.



B4

## მინსკში "ბორჯომის" გაყიდვა შეაჩერეს

მინსკში "ბორჯომის" გაყიდვა დროებით შეაჩერეს. მინერალურ წყალს ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა. "წინასწარი ინფორმაციით, ლაბორატორიული კვლევის კონკრეტულ ეტაპზე, მედიკოსებს კითხვები გაუჩნდათ "ბორჯომის" ზოგიერთი პარტიის ქიმიურ და ფიზიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებით," - აცხადებენ მინსკის ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის საქალაქო ცენტრში. ცენტრში ასევე აცხადებენ, რომ, წინასწარი ინფორმაციით, ლაბორატორიული კვლევის ამ ეტაპზე მინერალური წყლის ისეთი პარტია არ არის აღმოჩენილი, რომელიც უსაფრთხოების კრიტერიუმებს არ შეესაბამება. "ბორჯომის" ლაბორატორიული გამოკვლევა უკვე დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება. როგორც ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიის მინსკის საქალაქო ცენტრში აცხადებენ, "ბორჯომის" ხარისხის შესახებ საბოლოო დასკვნა რამდენიმე დღეში გაკეთდება. **ინტერპრესნიუსი**

## "მინისა და მინერალური წყლების კომპანია" მინერალური წყლის ჩამოსხმის შემცირებას ითხოვს

კომპანია "მინისა და მინერალური წყლები" ლიცენზიით გათვალისწინებული მინერალური წყლის ჩამოსხმის შემცირებას ითხოვს. მთავრობის სხდომაზე გუშინ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა მინისტრთა კაბინეტს ინფორმაცია წარუდგინა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიისათვის მინერალური წყლის მოპოვებაზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიაში ცვლილების შეტანის საჭიროების შესახებ.

როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ პაპუაშვილმა განაცხადა, რუსეთში შექმნილი პრობლემების გამო, მინისა და მინერალური წყლების კომპანია დღე-ღამეში ლიცენზიით გათვალისწინებული მინერალური წყლის ჩამოსხმის შეცირებას ითხოვს.

პაპუაშვილის თქმით, ლიცენზიის მიხედვით, კომპანიამ დღე-ღამეში 320კუბ.მეტრი წყალი უნდა ჩამოასხას, მაგრამ შექმნილი პრობლემების გამო ამ მოცულობის შემცირებას ითხოვს. პაპუაშვილის თქმით, ეს საკითხი მთავრობამ განიხილა, თუმცა ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ბადრი ჯაფარიძემ განუცხადა, ვინაიდან რუსეთში "ბორჯომის" იმპორტი აიკრძალა, მინერალური წყლის მოხმარება შემცირდა. ამის გამო ბორჯომში ქარხნები გაჩერებულია და წყლის ჩამოსხმა აღარ ხდება.

**"ჩვენ დღეს საკმარისი პროდუქცია გაგვაჩნია იმისათვის, რომ დღევანდელი მოთხოვნა არსებული პროდუქციით დავაკმაყოფილოთ. ამიტომ, შესაბამისად, ლიცენზიით გათვალისწინებული 320 კუბ.მეტრი წყლის ჩამოსხმა აღარ ხდება და მიგვაჩნია, მთავრობამ ეს პრობლემა უნდა გაითვალისწინოს და მოცულობა შეამციროს,"** - განაცხადა ჯაფარიძემ. მისი თქმით, მოცულობის შემცირებით მინერალური წყლის ჩამოსხმაზე არსებული გადასახადიც შემცირდება. "ჩვენმა კომპანიამ ამ აკრძალვებით ისედაც ბევრი იზარალა. მიმაჩნია, რომ ჩვენი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, რათა ეს გადასახადები მაინც ავიცილოთ თავიდან," - განაცხადა კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა. **ინტერპრესნიუსი**

## ჩაის ქართულ-ჩინური საწარმო უკრაინაში გაიხსნება

ჩაის მწარმოებელი ქართულ-ჩინური კომპანია "ტონუსი" უკრაინაში ერთობლივი საწარმოს შექმნას გეგმავს. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, ამჟამად მიმდინარეობს უკრაინული ბაზრის შესწავლა, რის შემდეგაც დაგეგმილია ჩაისთან დაკავშირებით ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება. კომპანია "ტონუსი" აწარმოებს იოდიზირებულ ჩაის, რომელიც კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩაიზე ლიბერალიზაცია იწყება

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ჩაის მწარმოებლები ჩაიზე ლიბერალიზაციის პროექტს, რომლის განხორციელებასაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აპირებს, ქვეყნისთვის არასწორ ნაბიჯად მიიჩნევენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფიქრობენ, რომ ჩაიზე საბაჟო გადასახადების შემცირება ჯერჯერობით მიუღებელია, რადგან ლიბერალიზაციის დაწყება ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტული პროდუქციის მოზღვავებას. ჩაიზე საბაჟო გადასახადი ამჟამად 20 პროცენტს შეადგენს. ჩაის მწარმოებლები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი ბაზრის დაცვის მიზნით, აუცილებელია ჩაიზე შესაბამისი საბაჟო გადასახადის დაწესება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში იოდიზირებული ხორბლის ფქვილი გაიყიდება

სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და "იუნისეფის" დახმარებით, გორის წისქვილკომბინატში ფქვილში იოდიზირებული მარილის შერევის საცდელი პროექტი დაიწყება. როგორც სამინისტროს სურსათის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსმა ომარ კაჭარავამ განაცხადა, აღნიშნული საცდელი პროექტი გორის წისქვილ-კომბინატში წელს ჩატარდება. მისივე თქმით, ხორბლის დაფქვის პროცესში სპეციალური ხელსაწყო კილოგრამობაზე გათვლილ იოდიზირებულ მარილს შეურევს. კაჭარავას ინფორმაციით, მუშაობა იოდიზირებული მარილის გამოყენებასთან დაკავშირებით, სხვა პროდუქტებზეც მიმდინარეობს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხორბალზე საბაჟო გადასახადების გაუქმებას დადებითად აფასებს. როგორც სურსათის უსაფრთხოების სამმართველოს უფროსმა ომარ კაჭარავამ განაცხადა, ხორბლის იმპორტიორები საბაჟო გადასახადის 12 პროცენტს იხდიან. კაჭარავას თქმით, საქართველოს ბაზარი წელიწადში 600-700 ათასი ტონა იმპორტული ხორბლით მარაგდება. საბაჟო გადასახადების 0 პროცენტამდე დაყვანა ხელს შეუწყობს საქართველოში ხორბლის იმპორტიორთა გაზრდას. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ლატვიაში გამოფენაზე წასვლა კომპანიებს 1000 ევრო დაუჯდებათ

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა 28-29 ივნისს ლატვიაში ქართული პროდუქტების გამოფენას გამართავს. როგორც სავაჭრო-სამრეწველო პალატაში განაცხადეს, აღნიშნულ პროდუქციას შორის იქნება ქართული ღვინო. მონაწილეობას მიიღებენ კომპანიები "თბილისის მარანი", "თბილღვინო", "ალექსანდროული", "ქინძმარაული", "კახური ტრადიციების მეღვინეობა", "უშბა", "თელიანი ველი" და "ვაზიანი". გამოფენაში მონაწილეობის მიღება ყველა კომპანიას შეეძლება, რომელიც 1000 ევროს გადაიხდის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ბრენდების საერთაშორისო ლისტინგის" განხორციელება იწყება

საქართველოში საერთაშორისო პროექტის - "ბრენდების საერთაშორისო ლისტინგის" განხორციელება დღეს დაიწყება. პროექტის, რომელიც ქართული ბრენდების შეფასებასა და მათი ნუსხის (ლისტინგის) შექმნას ითვალისწინებს, დეტალური განხილვა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დაგეგმილ პრეზენტაციაზე გაიმართება. საქართველოში აღნიშნული საერთაშორისო პროექტის განხორციელების მიზანია ქართული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა: მართვის თანამედროვე სტილის დანერგვა და ეროვნული ბრენდების როგორც დსთ-ს, ასევე აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და დასავლეთის ბაზრებზე დამკვიდრება.

პროექტით გათვალისწინებულია კონსალტინგი საქართველოში ბრენდების შექმნასა და განვითარების საქმეში, ქართული ბრენდების შეტანა საერთაშორისო ნუსხაში და მათ შესახებ ინფირმაციის გავრცელება პროექტის მონაწილე ყველა ქვეყანაში საერთაშორისო ნუსხის გამოქვეყნების გზით.

როგორც პროექტის ორგანიზატორები აცხადებენ, პროექტის შემდგომ ეტაპზე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის უშუალო ხელშეწყობით, გათვალისწინებულია პროექტის მონაწილე ქვეყნებში ქართული ბრენდის დაპატენტების უზრუნველყოფა და უცხოეთში დაცვის მექნიზმების შემუშავება. **ინტერპრესნიუსი**

# ჯუზეპე ვერდის ენერგეტიკული ეპოპეა

პირველი გვერდიდან

ავსტრიული კომპანია OMV-ს მმართველის ოტო მუზილეკის განცხადებით, ირანის პოტენციალის გამოუყენებლობა "სიგიჟე იქნებოდა". მით უმეტეს, რომ 2020 წლისთვის ევროპა მთლიანად იმპორტირებულ გაზზე იქნება დამოკიდებული.




სწორედ ასეთ პირობებში წამოიჭრა "ნაბუკოს" მშენებლობის შექმნის იდეა, რომელიც ირანულ გაზს თურქეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, სლოვენიის და გერმანიის გავლით ევროპას მიაწვდის. გაზსადენის საპროექტო ღირებულება 4,6 მილიარდი ევროა. სამშენებლო სამუშაოები 2008 წლისთვის უნდა დაიწყოს, "ნაბუკოს" ამოქმედება კი 2011 წელს იგეგმება.

**"რუსეთს შეუძლია, კვლავაც გააგრძელოს უკრაინის, მოლდოვას, საქართველოს და, თუნდაც, ევროპის მისამართით "გაზის ბლოკადების" დაგეგმვა, თუმცა ასეთ შემთხვევაში, რუსეთი სასურველ შედეგს ვერ მიიღებს. "იანვრის გაკვეთილიდან" გამომდინარე, ევროპა არათუ არ დაუხრის მოსკოვის "ენერგოუსაფრთხოებას" თავს, არამედ შემხვედრი, სწრაფი ტემპებით გააგრძელებს ალტერნატიული გაზსადენების შენებას, რომლის არც ერთი მეტრი რუსეთის ტერიტორიაზე არ გაივლის. "რუსული ენერგოდიქტატისგან" გასათავისუფლებლად ევროკავშირი შეურიგდება ირანს და მას ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობასა და "მშვიდობიანი" ბირთვული მუხტების შექმნის ნებასაც კი დართავს. იმავე ლოგიკით, თურქეთს სწრაფი ტემპებით მიიღებენ ევროკავშირში. ევროკავშირსა და რუსეთს შორის მოსალოდნელი ურთიერთობების ფონზე, ყველა არსებული უთანხმოება უმნიშვნელოდ ჩანს. ევროპა ევროკავშირში საწვავის მიწოდების შეზღუდვის პერსპექტივას არ დაუშვებს, ამაზე ხომ მისი ეკონომიკა, მეტიც - მსოფლიოში ევროკავშირის სტრატეგიული როლია დამოკიდებული..."** - წერს რუსული მედია.

აღსანიშნავია გასული წლის 25 ოქტომბერს, ათენში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ენერგეტიკული საზოგადოების შექმნის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმება, რომელსაც ევროკავშირის, ალბანეთის, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის, ბულგარეთის, ხორვატიის, მაკედონიის, რუმინეთის, სერბეთის და მონტენეგროს წარმომადგენლებმა და კოსოვოში გაეროს მისიამ მოაწერეს ხელი. თურქეთმა თავისი მონაწილეობა ექვსი თვით გადადო. მოლდოვა, უკრაინა და ნორვეგია კი ჯერ მხოლოდ დამკვირვებლების სტატუსით სარგებლობენ. შეთანხმება ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის და ბენზინის სექტორებს ეხება. კერძოდ, საერთო ბაზრის შექმნის მთავარი ვალდებულებებია: ინტეგრირებული რეგიონული ბაზრის შექმნა და მისი ევროკავშირის ბაზართან დაახლოება; ელექტროენერგიის გენერაციისთვის, ტრანზიტისთვის და დისტრიბუციისთვის საერთო წესების შემოღება; ანტიკორუფციული პროგრამის ამოქმედება და სხვა.

თუმცა, ირანული გაზის მიღებას ინდოეთი და პაკისტანიც ისურვებდნენ. ამ საკითხზე მსჯელობა ქვეყნებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს. 21-ე საუკუნის დასაწყისში კი მოსალაპარაკებლად მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. 2,6 ათასი კმ სიგრძის გაზსადენი, პაკისტანის ტერიტორიის გავლით, ინდოეთში, შემდეგ კი ჩინეთის სამხრეთ რეგიონში მოხვდება. გაზსადენის მთლიანი ღირებულება 4,1 მილიარდ დოლარად ფასდება.

აღნიშნული გაზსადენის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ინდოეთისთვის - ქვეყანაში ბუნებრივ აირზე მოთხოვნილება 30 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზარდა, მომავალ წლებში კი იმპორტი მოხმარების 50 პროცენტს მიაღწევს.

2005 წლის ივნისში პაკისტანის და ინდოეთის ნავთობის მინისტრებმა გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გამართეს. საბოლოო გადაწყვეტილება წლის ბოლოს იქნება მიღებული. სხვათა შორის, ირანიდან გაზის "წამოღების" ინიციატივას მიესალმება "გაზპრომი", რომელმაც ამ ქვეყნებს გაზსადენის მშენებლობაში დახმარება აღუთქვა.

სამაგიეროდ, პაკისტანზე და ინდოეთზე სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს აშშ, რომელიც ირანული გაზის იმპორტისგან თავის შეკავებას მოითხოვს. ამის მიუხედავად, ინდოეთსა და პაკისტანს შორის მოლაპარაკებები გრძელდება.

დელიკატურ სიტუაციაშია გერმანული კონცერნი E.ON. მისი შვილობილი კომპანია RUHRGAS-ი მჭიდრო კავშირშია "გაზპრომთან". კომპანიის ხელმძღვანელი ბურკხარდ ბერგმანი დაუზარებლად იმეორებს, რომ კომპანია "გაზპრომთან" თანამშრომლობით კმაყოფილია. მეორე მხრივ, მოწოდების დივერსიფიკაციის პოლიტიკით "შთაგონებულმა" E.ON.-მა ნორვეგიასთან, ჩრდილოეთის ზღვაში 75 მილიონ ევროდ გაზის შემცველი მინდვრები შეიძინა.

თავის მხრივ, "გაზპრომი" გერმანულ კონცერნებთან ურთიერთობის "დივერსიფიკაციას" ცდილობს. "გაზპრომის" დირექტორმა ალექსანდრ მილერმა უმსხვილესი გერმანული ქიმიური კონცერნი "ბასფი" სამხრეთრუსული გაზის დამუშავებაში და ჩრდილოეთ ევროპის გაზსადენის მშენებლობაში ჩართო. ერთი სიტყვით, ევროპელ ექსპერტებს შთაბეჭდილება რჩებათ, რომ მოსკოვმა ურთიერთდაპირისპირებაზე სათამაშოდ "ბასფი" E.ON.-ს დაუპირისპირა. ასეთ პირობებში, გერმანელი ანალიტიკოსების შეფასებით, E.ON.-ს საპასუხო ნაბიჯის გადადგმა შეუძლია - "ნაბუკოს" ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებს შეუერთდეს და ამით "გაზპრომთან" სამომავლო ურთიერთობებისთვის პოზიციები გაიმყაროს.

P.S. და ბოლოს: ჯერჯერობით უცნობია, რა მიმართულებით წავა ირანული გაზი - აღმოსავლეთისკენ თუ დასავლეთისკენ? ეს წმინდა "ეკონომიკური" დილემა დღეს მსოფლიოს ისე აწუხებს, როგორც არასდროს.

P.P.S. მილსადენების მსოფლიო რუკაზე წყვეტილი ხაზებით, მაგრამ უკვე გაჩნდა ახალი პროექტის - საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის გაზსადენის მონახაზი. წინასწარი მონაცემებით, 2 მილიარდ დოლარად შეფასებული გაზსადენი ბუნებრივ აირს კასპიის რეგიონიდან, საქართველოს და შავი ზღვის გავლით, უკრაინას, შემდეგ კი ევროპის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ქვეყნებს მიაწვდის. ამ პროექტის შესახებ პირველად რამდენიმე თვის წინ, თბილისში ჩატარებულ "ნავთობის, გაზის, ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის" საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადეს. პროექტზე სპეციალურად შექმნილი კონსორციუმი მუშაობს. "მომავლის პროექტი", როგორც მას უკვე უწოდეს, კონკურენტუნარიანი იქნება. ამაში კონსორციუმის წევრები გვარწმუნებენ. გაივლის თუ არა საქართველოზე ევროპისკენ მიმავალი ბუნებრივი აირი, ამას დრო (და არა მარტო დრო) გვიჩვენებს.

# "კასპიცემენტი", შესაძლოა, სააქციო საზოგადოება აღარ იყოს

პირველი გვერდიდან

"კასპიცემენტის" აქციონერმა ანზორ მანძულაშვილმა "მარშალის კუნძულებიდან"

წერილი მიიღო (თურმე "კასპიცემენტი", რომელსაც კასპელები გარემოს ეკოლოგიურად დაბინძურებისთვის ხშირად უჩივიან, "მარშალის კუნძულებზე" ყოფილა დაფუძნებული...), სადაც წერია, რომ სააქციო საზოგადოება "კასპიცემენტი" აქციების გაყიდვას, ანუ აღნიშნული საზოგადოებისთვის მიყიდვას 26 თეთრად სთავაზობდა. კომპანიის მიერ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად 4 მაისი იყო დადგენილი. როგორც წერილშია აღნიშნული, "გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხდება დარჩენილი გამოსასყიდი თანხის დეპონირება და აქციები მყიდველის საკუთრებაში გადავა."

"კასპიცემენტის" აქციათა გამოსყიდვის გადაწყვეტილების თაობაზე განცხადებაში (რომელშიც აღნიშნულია გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი) მითითებულია საბროკერო კომპანია "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი".

2005 წლის 24 ივნისს საქართველოს კანონში მეწარმეთა შესახებ, შევიდა ცვლილებები და აქციონერს, რომელიც სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95 პროცენტზე მეტს ფლობს, უფლება ეძლევა, გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.

"მუხლი 533. აქციათა სავალდებულო მიყიდვა (24. 06. 2005. .N 1781):

1. თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა 95 პროცენტზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს (ამ მუხლის მიზნებისთვის "მყიდველს") უფლება აქვს, გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები ამ კანონის 532 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიან ფასად, ხოლო დანარჩენ აქციონერებს რჩებათ აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი ფასის მიღების უფლება..."

"ამ კანონში არსად ჩანს, რომ აქციონერი ვალდებულია, აუცილებლად მიჰყიდოს თავისი აქციები ქაღალდების 95 პროცენტის მფლობელს. "ის, რომ აქციები მფლობელის სურვილის მიუხედავად მაინც მყიდველის საკუთრებაში გადავა, დარღვევაა," - აცხადებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის ხელმძღვანელი ქეთევან ბებიაშვილი.

მანძულაშვილისთვის დღემდე გაურკვეველია, რატომ სთავაზობდა "კასპიცემენტი" ოფიციალური განცხადებით აქციების გამოსყიდვას 26 თეთრად მაშინ, როცა მას ხელთ ჰქონდა შ.პ.ს. "კომპანია ცენტრის" მიერ გაცემული ლიცენზია N70-001 ვინმე აქციონერ ანეტა ჩიტიაშვილზე, სადაც ეწერა, რომ ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1.30 ლარს შეადგენს. უფრო მეტიც, აქციების მფლობელს არანაირი სურვილი არ აქვს, აქციები ნებით გაყიდოს. ამასთანავე, აქციების ფასი, "კასპიცემენტის" მუშაობიდან გამომდინარე, არ დაცემულა.

"კასპიცემენტის" აქციონერები იმასაც ამბობენ, რომ წარმოების ზრდის მიუხედავად, მათთვის დივიდენდების ზრდა არ მომხდარა, თუმცა სააქციო საზოგადოების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები სერიოზულად გაიზარდა.

კასპელი აქციონერების უმრავლესობა თავისი აქციების გაყიდვაზე უარს ამბობს და აქციების მყიდველის საკუთრებაში გადასვლის კანონიერებით ინტერესდება.

აღნიშნული საკითხით რესპუბლიკური პარტია დაინტერესდა და საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

"საკუთრების უფლებას საქართველოს კონსტიტუცია იცავს. ამ შემთხვევაში აქციონერების საკუთრების უფლება ილახება. ჩემი აქციები მე მინდა მქონდეს. რა უფლება გაქვს, რომ მათ გაყიდვას მავალდებულებ? ეს უსამართლობაა. კანონი "აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ", ჩემი აზრით, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციასთან არ არის შესაბამისობაში. ჩვენ ამ საკითხით რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური ოფისიც დავაინტერესეთ. რამდენიმე დღეში სასარჩელო განცხადების შეტანისთვის მზადება დაიწყება. ეს პროცედურა საკმაოდ ხანგრძლივია. კიდევ უფრო დიდი დრო დასჭირდება საკონსტიტუციო სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს პროცესი, შესაძლოა, ექვსი თვის განმავლობაშიც გაგრძელდეს," - ამბობს რესპუბლიკური პარტიის კასპის ორგანიზაციის თავმჯდომარე ხათუნა თათანაშვილი.

"... ნომინალური მფლობელები გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან 7 დღის ვადაში მათთან რეგისტრირებულ ყველა აქციას აბრუნებენ ნომინალური მფლობელობიდან..."

სააქციო საზოგადოება "კასპიცემენტის" მიერ აქციათა გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად მითითებული იყო 4 მაისი. ასე რომ, "ლარიბი" კასპელების აქციები, კანონის თანახმად, უკვე დიდი ხნის შესყიდული უნდა იყოს."

## საქართველოში უმუშევრობის დონე 6,8 პროცენტით გაიზარდა

"მრეწველების" მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 6,8 პროცენტით გაიზარდა. როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფრაქცია "მრეწველების" ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, უმუშევრობის დონე 2005 წელს, 2004 წელთან შედარებით, დაახლოებით 7 პროცენტით გაიზარდა.

**"მთავრობა გეგმავს, რომ 2010 წლისთვის ქვეყანაში უმუშევრობას 3 პროცენტით შეამცირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონე 2004 წლის მაჩვენებელსაც ვერ მიუახლოვდება,"** - განაცხადა ტყემალაძემ.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა გოცირიძე "მრეწველების" ლიდერს არ დაეთანხმა. როგორც მან განაცხადა, ამჟამად მიმდინარეობს უმუშევრობის სტატისტიკის დაზუსტება და გადამოწმება, რადგან წინა წლებში ქვეყანაში უმუშევრობის დონე იგივე იყო, თუმცა დარეგისტრირებული უმუშევრების რაოდენობა - მცირე. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ყაზახეთში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დღეს, ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ყაზახეთში მიემგზავრება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრა ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ დანიალ ახმეტოვთან.

კომპანია "ყაზმუნაიგაზის" შენობაში პრემიერ-მინისტრი შეხვდება ამ კომპანიის პრეზიდენტ უზაკბაი კარაბალინს. ამავე დღეს გაიმართება ნოღაიდელის შეხვედრა ბანკ "ტურან ალემის" წარმომადგენლებთან. 2 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის მონაწილეობით საქართველო-ყაზახეთის ბიზნესფორუმი გაიხსნება, რომლის დასრულების შემდეგ საქართველოს პრემიერი ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდება. ამავე დღეს ზურაბ ნოღაიდელი დაესწრება ქართული ღვინის დეგუსტაციას და ტურისტული სააგენტოების პრეზენტაციას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი ყაზახეთის რესპუბლიკაში "ალიანსბანკისა" და "გაზკომერსბანკის" წარმომადგენლებთან შეხვედრით დასრულდება. **ინტერპრესნიუსი**

## კომიტეტი საბაჟო შემოსავლების ზრდის გეგმის შესწორებას მოითხოვს

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბეჟან ბუცხრიკიძე ფინანსთა სამინისტროს მოუწოდებს, კორექტირება შეიტანოს საბაჟო შემოსავლების ზრდის დაგეგმილ პარამეტრში.

აღნიშნული განცხადება ბუცხრიკიძემ გააკეთა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, სადაც მთავრობის 2007-2010 წლის გეგმის განხილვა გაიმართა.

დოკუმენტის მიხედვით, 2007 წელს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საბაჟო შემოსავლების 10-პროცენტიანი ზრდაა დაგეგმილი.

"გვაინტერესებს, როგორ მოხდება ასეთი ზრდა იმ პირობებში, როდესაც საბაჟო გადასახადების შესახებ კანონში ცვლილებებით მთელი რიგი საბაჟო განაკვეთების შემცირებას ვგეგმავთ. ამის შედეგად კი ბიუჯეტს, სულ მცირე, 70 მილიონი ლარი დააკლდება," - განაცხადა ბუცხრიკიძემ. დეპუტატის თქმით, წარმოუდგენელია, საბაჟოზე ბრუნვა იმ დონეზე გაიზარდოს, რომ საგეგმო პარამეტრის შესრულება შესაძლებელი გახდეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "საქაერონავიგაცია" საერთაშორისო შეხვედრას მასპინძლობს

"საქაერონავიგაცია" კავკასიაში საჰაერო მართვის განვითარების და რეგიონული თანამშრომლობის გააქტიურების საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეხვედრას მასპინძლობს. როგორც "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი კარბელაშვილმა განაცხადა, შეხვედრა გუშინ დაიწყო და 2 ივნისამდე გაგრძელდება. შეხვედრის მიზანია რეგიონული თანამშრომლობის განვითარება საჰაერო მოძრაობის მართვის სფეროში, ასევე, რეგიონის საჰარეო სივრცის ეფექტური გამოყენება-ჰარმონიზაცია და უსაფრთხოების დონის ამაღლება.

**"მსგავი შეხვედრები აქამდე არსად ჩატარებულა და ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ საქართველო, მსოფლიო უსაფრთხოებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გარდა, რეგიონის განვითარებასაც აქტიურად ცდილობს,"** - განაცხადა კარბელაშვილმა.

შეხვედრაში სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს საჰაერო ნავიგაციის პროვაიდერების წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონფერენცია მსოფლიოში ამ დარგის ერთ-ერთი ლიდერის - შვედური საკონსულტაციო კომპანია Swedavia-ს ეგიდით იმართება. **ინტერპრესნიუსი**

## აბრამოვიჩი ევრაზის აქციებს ყიდულობს



რუსი ოლიგარქი და საფეხბურთო გუნდ "ჩელსის" მფლობელი რომან აბრამოვიჩი რუსული მეტალურგიული კომპანია "ევრაზის" 40%-იანი აქციების ყიდვას აპირებს. გარიგების თანხა 3 მილიარდ დოლარს აჭარბებს და ამასთან ერთად, ინდუსტრიის შემდგომ კონსოლიდაციასაც ხელს შეუწყობს. კომპანია "ევრაზი" ლონდონის სააქციო ბირჟაზეა დარეგისტრირებული. აბრამოვიჩის პრეს-მდივნის ინფორმაციით, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ალუმინისა და ნავთობის აქტივების გაყიდვის შემდეგ, აღნიშნული გარიგება აბრამოვიჩისთვის პირველი მსხვილი ინვესტიცია იქნება რუსეთში.

ამ გარიგების შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ლუქსემბურგის Acelor-მა რუსული "სევერსტალის" შესყიდვის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. ექსპერტების აზრით, აბრამოვიჩმა, რომლის კაპიტალიც Forbes-ის მონაცემებით 18,2 მილიარდი დოლარია, შესაძლოა, "ევრაზსა" და ინგლისურ-ჰოლანდიურ მეტალურგიულ კომპანია Corus-სთან მოლაპარაკებების განახლებას შეუწყოს ხელი. ცნობილია, რომ აღნიშნული კომპანიები ამ წელს, სავარაუდო თანამშრომლობის ინიციატივით არაოფიციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ორივე კომპანიასთან დაახლოებული პირის განცხადებით, "აბრამოვიჩი "ევრაზის" დიდ წილს არ იყიდდა, თუ მას კიდევ რაიმე გარიგება არ აქვს დაგეგმილი." მისივე თქმით, Corus თავდაუზოგავად ცდილობს ჩაერთოს ფოლადწარმოების საქმიანობაში, რადგან აცნობიერებს, რომ თვითონ საკმაოდ უსუსურია. ინკოგნიტო წყაროს მიერ გაკეთებულ ამ განცხადებაზე Corus წარმომადგენლები არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. ინვესტორი, აცხადებს, რომ აბრამოვიჩის მიერ აქციების შესყიდვა რუსულ ეროვნულ მეტალურგიულ საქმიანობაზე დადებითად იმოქმედებს. ექსპერტების აზრით, "სევერსტალის" მეთაურის მარდაშოვის მიერ კომპანიის Arcelor-ზე მიყიდვას, კრემლი ამ გარიგებით დააბალანსებს. კონსოლიდაციაში მონაწილეობას რუსული მეტალურგიის მაგნატი ალიშერ უსმანოვიც მიიღებს. ის ქვეყანაში ორ უმსხვილეს კომბინატს აკონტროლებს. უსმანოვი აცხადებს, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები აბრამოვიჩთან. ამასთან, ის მზად არის, მიიღოს გარიგების ნებისმიერი სქემა, რომელიც მისი კომპანიისთვის ღირებული იქნება. შეგახსენებთ, რომ აბრამოვიჩმა გასულ წელს თავისი ნავთობკომპანია "სიბნეფტი" "გაზპრომს" 13 მილიარდ დოლარად მიყიდა. "აბრამოვიჩი "ევრაზს" დიდ თანხებს მოუტანს",- აცხადებს კომპანიებთან დაახლოებული პირი, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს.

## BASF კატალიზატორების მწარმოებლებს 5 მილიარდს გადაუხდის

მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული ქიმიური კონცერნი BASF თავის ამერიკელ კონკურენტ კომპანია Engelhard-ის შესყიდვას აპირებს. კომპანიებმა კენჭი უყარეს გაერთიანების ინიციატივას. BASF ამერიკულ კომპანიაში 5 მილარდ დოლარს გადაიხდის. გერმანული კონცერნი თითოეულ აქციას 39 დოლარად შეიძენს.

პირველად BASF-ის მიერ ამერიკული კონკურენტის შესყიდვის შესახებ ინფორმაცია 2006 წლის იანვარში გავრცელდა. იმისთვის, რომ ამერიკული კომპანიების აქციონერები მოეზიდათ, BASF-ის ხელმძღვანელობას გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუხდა. ისინი აქციებში 37 დოლარის გადახდას აპირებდნენ, თუმცა საბოლოოდ ეს თანხა 39 დოლარზე შეჩერდა. ეს სიტუაცია ტრეიდერებმა ხელოვნურად შექმნეს. მთელი თვის მანძილზე ამერიკული კომპანიის ქაღალდები 38-იდან 39 დოლარამდე მერყეობდა. კომპანია Engelhard ქიმიური კატალიზატორების უნიკალური პატენტების მფლობელია, რომელიც ავტომობილების მიერ გამოყოფილ მხუთავ აირს ანეიტრალებს. გაერთიანების შემდეგ BASF-Engelhard, მსოფლიოში მხუთავი გაზის გამანეიტრალებელი პროდუქციის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია იქნება.

# უყურე რეკლამას და ილაპარაკე უფასოდ!

მობილური კავშირის ამერიკული კომპანია "ვირჯინ მობილ USA" თავის მომხმარებლებს სთავაზობს, უფასო კავშირი გამოიყენონ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამავე კომპანიის ოპერატორების მიერ გაშვებულ რეკლამებს ნახავენ. "ვირჯინ მობილის" სარეკლამო "ბარტერის" მოცულობა თვეში 75 წუთია. სამაგიეროდ, კლიენტი ვალდებული იქნება, არამარტო უყუროს სარეკლამო კლიპებს, რომლებიც მისი ტელეფონის მონიტორზე გავა და რომელთა საერთო ხანგრძლივობაც ასევე თვეში 75 წუთი იქნება, არამედ ამ რეკლამაზე თავისი გამოხმაურებაც ტელეფონითვე დააფიქსიროს.

"ვირჯინ მობილის" ამგვარი ხრიკი სულაც არაა მოულოდნელობა - მობილური კავშირის ოპერატორები ხშირად ფასდაკლებას და სხვა ხერხს (ვიდეოთამაშები, ვიდეოფილმები და ახალი ამბები) მიმართავენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი კლიენტი მიიზიდონ. საქმისადმი ამგვარ წამახალისებელ დამოკიდებულებაში კი ერთ-ერთი პიონერი სწორედ "ვირჯინ მობილია", რომელსაც თანაბარი წილობრივი მონაწილეობით ფლობენ კომპანია "ნექსტელი" და ცნობილი ბრიტანელი მილიარდერის, სერ რიჩარდ ბრენსონის კომპანია "ვირჯინი". სხვათა შორის, ეს კომპანია ბიზნესში თავისი ნოვატორული მიდგომებით გამოირჩევა.




საინტერესოა, რომ "ვირჯინ მობილის" კლიენტურის უმეტესობა (დაახლოებით 65 პროცენტი) შედარებით ხელმოკლე ხალხია, რომელთა დიდი უმრავლესობა 30 წლამდე ახალგაზრდები არიან.

ამ წამოწყებაზე "ვირჯინ მობილი" დიდ იმედებს ამყარებს. ფაქტობრივად, კომპანია თავისი კლიენტისგან ფულის აუღებლად მიიღებს უფრო მეტ მოგებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სალაპარაკო დროის მიხედვით გადაახდევინებს თანხას. ამის გარანტი კი რეკლამის მიმცემები იქნებიან.

"ვირჯინ მობილს" უკვე ჰყავს ორი პარტნიორი, რომლებიც მის წამოწყებას გამოეხმაურნენ. ესენია: კომპანიები "პეპსი" და "მაიკროსოფტი", რომელიც ამგვარად აპირებს თავისი ახალი პროდუქტის, სათამაშო მინი-კომპიუტერ "Xბოქსის" ბაზარზე წამოწევას. გარდა ამისა, "ვირჯინ მობილის" მომხმარებელი თავის მობილურზე იხილავს თამბაქოს საწინააღმდეგო რეკლამებს.

უნდა ითქვას, რომ "ვირჯინ მობილის" მარკეტოლოგები ჯერ ვარაუდის დონეზეც ვერ ამბობენ, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება გახდეს მათი ნოვაცია. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სატელეფონო საუბრები ისედაც საკმაოდ იაფი ჯდება და მათი ღირებულება მოლაპარაკის ბიუჯეტს დიდად ვერ აზარალებს.

# საუდის არაბეთი ნავთობის გადამუშავებას აფართოებს

საუდის არაბეთის ნავთობკომპანია "საუდი არამკომ" 20 და 24 მაისს გააფორმა ორი დიდი კონტრაქტი, რომელთა საერთო ღირებულება 12 მილიარდი დოლარია და რომლებიც ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას ითვალისწინებს.

თითოეული ქარხნის დღიური წარმადობა 400000 ბარელია და მათი საშუალებით, მსოფლიოს უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა - საუდის არაბეთი იმედოვნებს, რომ მსოფლიოს ბაზრისთვის ბენზინისა და მაზუთის უდიდესი მიმწოდებელიც გახდება.

პირველი ხელშეკრულება დაიდო ფრანგულ ნავთობკომპანია "ტოტალთან". ეს კონტრაქტი ითვალისწინებს სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ჯუბაილში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენებას. მეორე ხელშეკრულებაში კი "არამკოს" კომპანიონია ამერიკული ნავთობკომპანია "კონოკოფილიპსი". ეს კონტრაქტი ითვალისწინებს ქარხნის აშენებას წითელი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქ იანბუში.

ორივე ქარხანა არაბეთში მოპოვებულ ნედლ ნავთობს სრული ციკლით გადაამუშავებს. ისინი 2011 წელს ამოქმედდება. "არამკო" და მისი ორივე პარტნიორი ხარჯებსაც და მოგებასაც თანაბრად გაინაწილებენ. ამასთან, სამარკეტინგო სამუშაოებსაც თანაბრად შეასრულებენ.

ამ ორი ქარხნიდან, იანბუში მოხდება უმაღლესი ხარისხის, მცირე რაოდენობით გოგირდოვანი მინარევების შემცველი პროდუქტების (ბენზინი, დიზელი და მაზუთი) დამზადება, რომლებიც აკმაყოფილებს (და დააკმაყოფილებს) ევროპისა და აშშ-ს ახლანდელ და მომავალ (!) სტანდარტებს. ჯუბაილის ქარხანაში კი მოხდება როგორც ევროპული და აშშ-ს ბაზრისთვის, ასევე სხვა ბაზრებისთვის განკუთვნილი ნავთობპროდუქტების წარმოება.



საუდი არამკოს" პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი აბდალა ჯუმა.

"არამკოს" პრეზიდენტ აბდალა ჯუმას განცხადებით, მის კომპანიას მომდევნო ხუთ წელიწადში განზრახული აქვს, პარტნიორებთან ერთად, რამდენიმე ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება, რომლებშიც 50 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.

საუდის არაბეთი და OPEC-ის (ორგანიზეიშნ ოფ დი პეტროლეუმ ექსპორტინგ ქანთრის - ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) სხვა ქვეყნები შიშობენ, რომ ნავთობის გაძვირებული ფასების გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი მოთხოვნის არაპროგნოზირებად ზრდას იწვევს, რასაც შედეგად ფასების კიდევ უფრო ზრდა მოსდევს. მათი აზრით, სწორედ ეს გარემოებაა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ბარელი ნედლი ნავთობის ფასმა სარეკორდო ნიშნულს მიაღწია.

OPEC-ს მიზნად აქვს დასახული, 2010 წლისთვის დაახლოებით 400 მილიონი ბარელით გაზარდოს ნავთობის დღიური გადამუშავების მოცულობა. ამასთან, ამ ორგანიზაციის მთავარ მიზნად კვლავაც რჩება, პირველ რიგში, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპული ბაზრების მაღალი ხარისხის ნავთობპროდუქტებით მომარაგება.

უნდა ითქვას, რომ საუდეთს OPEC-ის ყველა სხვა ქვეყანაზე ორჯერ მეტი დაზვერილი ნავთობმარაგი გააჩნია. თუმცა, ქვეყანაში მოპოვებული ნავთობის სოლიდური ნაწილი მჟავა-მინარევებს შეიცავს, რაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის გადამუშავების პროცესში. ასეთი ნედლეულიდან ნავთობპროდუქტების გადამუშავება გაცილებით ძვირი ჯდება და ამ ეტაპზე ასეთი საქმიანობა კონკურენტუნარიანი არ არის.

საუდის არაბეთი 2009 წლისთვის ნედლი ნავთობის დღიური მოპოვების 12.5 მილიონ ბარელამდე გაზრდას აპირებს. ექსპერტები აცხადებენ, რომ მოპოვების შემდგომი ექსპანსია დამოკიდებული იქნება გადამამუშავებელი ქარხნების შესაძლებლობებზე.

და ბოლოს, "არამკოს" დაგეგმილი აქვს, "ტოტალთან" და "კონოკოფილიპსთან" ერთად, ერთობლივი ნავთობგადამამუშავებელი კომპანიების დაარსება (ამას სამ კომპანიას შორის ახლახან გაფორმებული წინასწარი კონტრაქტები ითვალისწინებს). ამასთან, პარტნიორებს ახალი კომპანიების აქციათა 35-35-პროცენტიანი პაკეტები გადაეცემათ. დარჩენილ 30-30 პროცენტს კი საუდის არაბეთის მოსახლეობას მიჰყიდიან. ოღონდ, ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, რაც ქარხნები ამოქმედდება.

# ვენესუელაში კალაშნიკოვის ქარხანას ააშენებენ

რუსეთი ვენესუელაში კალაშნიკოვის ავტომატების ქარხნის გახსნას აპირებს, თეთრი სახლი კი მოსკოვის ამ ნაბიჯით უკმაყოფილოა.

მოსკოვსა და კარაკასს შორის საბრძოლო ურთიერთობების გაღრმავების შესახებ განცხადება ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ეკვადორში სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა. "რუსები ვენესუელაში კალაშნიკოვის იარაღის მწარმოებელ ქარხანას ააშენებენ, სადაც საბრძოლო იარაღი დამზადდება. ასე, რომ ჩვენ შევძლებთ დავიცვათ ყველა ქუჩა, ყველა სახლი და კუთხე",- ციტატა ჩავესის გამოსვლიდან.

მოსკოვის ცენტრალურ ქარხანაში კი აცხადებენ, რომ ამ ფაქტის შესახებ მათ "მხოლოდ სმენიათ". ქარხანაში კონკრეტული კომენტარის გაკეთებისგან რატომღაც თავს იკავებენ.

დაახლოებით ერთი წლის წინ, რუსეთმა და ვენესუელამ ქვეყანაში 100 ათასი კალაშნიკოვის ავტომატის უკანასკნელი მოდელის - AK-103-ის შემოტანას მოაწერეს ხელი. გარიგება 54 მილიარდ დოლარად შედგა. იარაღის გარდა, რუსეთი ვენესუელას 2 ათასი საწავლო დანადგარით და ავტომატების სარეზერვო ნაწილებითაც უზრუნველყოფს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რუსული ავტომატები ბელგიურ იარაღს შეცვლიან, რომლითაც ვენესუელის არმია ნახევარი საუკუნეა მარაგდება.

ვენესუელასა და რუსეთს შორის საბრძოლო ურთიერთობების გამყარება თეთრი სახლის უკმაყოფილებას იწვევს. მაისში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვენესუელაში იარაღის გაყიდვაზე შეზღუდვებიც კი დააწესეს. ამერიკელი ჩინოვნიკები თავიანთ შეშფოთებას "ვენესუელის, კუბისა და ირანის კავშირებით" ხსნიან. საპასუხოდ, ოფიციალურმა კარაკასმა ამერიკული საბრძოლო ავიატექნიკის გამოყენებაზე უარი განაცხადა.

რუსეთი ვენესუელაში იარაღის შეზღუდვებს "წინასწარ ჩაფიქრებულს" უწოდებს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვიის თქმით, ვენესუელაში რუსული ავტომატების შეტანას და ქარხნის მშენებლობას ხელს ვერაფერი შეუშლის. "ვიცით, რომ ვენესუელა საბრძოლო პროდუქციის ყიდვას ესპანეთისგან აპირებდა. ამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებიც კი მიმდინარეობდა, თუმცა გარიგება ჩაიშალა. რუსეთი კი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ თავის მოვალეობებს ფრთხილად და სამართლიანად შეასრულებს," - აცხადებს ივანოვი. რუსი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ვენესუელასა და ესპანეთს შორის მოლაპარაკებები ვაშინგტონმა ჩაშალა.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდა დაფიქსირდა

გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. საბირჟო მოედნებზე არსებულ განწყობას, რამდენიმე დამაიმედებელ კოპრორაციულ სიახლესთან ერთად, ძირითადად განსაზღვრავდა ინვესტორთა შორის არსებული მოსაზრება, რომ გუშინწინდელი კლებისას აქციების კვოტირებამ საინვესტიციო დონეს მიაღწია.










ექსპერტთა აზრით, ინდექსები კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რომ არა ნავთობის გაძვირება და დოლარის კურსის რყევა. ინვესტორები კვლავ შიშობენ, რომ ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა შესაძლოა ძირითადი საპროცენტო განაკვეთი ისევ გაზარდოს.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,73 პროცენტით, 11.175,19 პუნქტამდე გაიზარდა. 0,82 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.182,59 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,66 პროცენტით, 1.268,21 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის გაძვირება გრძელდება

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე ფასების ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 72,3 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 72,5 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ექსპერტთა აზრით, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ნავთობის გაძვირება ქარიშხლებისა და საავტომობილო სეზონის დაწყებამ განაპირობა, რაც ყოველწლიურად ხდება. გარდა ამისა, დამატებით მოქმედებს მსოფლიოში არსებული რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია და ხვალ ოპეკის სამიტის გახსნა. ბროკერები სერიოზულად შიშობენ, ნავთობის მოპოვების შემცირების შესახებ ვენესუელის მთვარობის მიერ დაყენებულ წინადადებას მხარდამჭერები არ გამოუჩნდნენ.

ამასთან, ერთგვარი გაფრთხილების მსგავსად გაიჟღერა ყატარის ენერგეტიკის მინისტრის აბდულა ბენ ჰამად ალ ატიაჰის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ოპეკი ნავთობის გაძვირების წინააღმდეგ უძლურია. მისი თქმით, ნავთობის ბაზარი სრულად არის დამოკიდებული გეოპოლიტიკურ და სპეკულანტთა გავლენაზე.

"შავი ოქროს" ბოლოდროინდელი გაძვირების შედეგად ძოპეკის ნავთობის კალათის" ფასმა 65,41 დოლარი/ბარელს მიაღწია, რაც უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი ძოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი ძკალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა.

ძოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 68 დოლარი/ბარელი 2006 წლის 2 მაისს დაფიქსირდა.

## ძვირფასი ლითონები ისევ გაძვირდა

გუშინ ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 653,9 დოლარამდე გაძვირდა, რაც უკანასკნელი 24 დღის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ხოლო 1 უნცია ვერცხლის ფასმა 13,07 დოლარს, ანუ კვირანახევრის მაქსიმუმს მიაღწია.

ექსპერტთა აზრით, ძვირფასი ლითონების ამგვარი გაძვირების მიზეზი ნავთობის ფასის ზრდა და მსოფლიო სავალუტო ბაზარზე დოლარის პოზიციების შერყევის გამო ოქროს აქტიურმა საინვესტიციო შეძენამ განაპირობა.

შეგახსენებთ, რომ მაისის პირველ ნახევარში ოქროსა და ვერცხლის ფასმა 26 წლიან მაქსიმუმს მიაღწია. კერძოდ, 11 მაისს 1 უნცია ვერცხლის ფასმა 15,2 დოლარს მიაღწია, 12 მაისს კი უნციალ ოქრო 732 დოლარამდე გაძვირდა. ეს მაჩვენებლები 1980 წლის იანვრის შემდეგ სარეკორდო გახლდათ.

## ზიმბაბვეში 100 ათას დოლარიანი კუპიურა გამოუშვეს

თავისთავად ცხადია, საუბარია ქვეყნის, სადაც ინფლაციის დონე 1000 პროცენტს აღემატება, ადგილობრივ ვალუტაზე. ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის მიხედვით, 100 ათასი ზიმბაბვური დოლარი 1 ამერიკული დოლარის ტოლია, თუმცა, არაოფიციალურ ბაზარზე, იგი სამჯერ ნაკლები ღირს. სულ რაღაც ოთხი თვის წინ ზიმბაბვეში გამოუშვეს 50 ათას დოლარიანი კუპიურა, რომლითაც დღეს ზიმბაბველები ერთ პურსაც ვერ ყიდულობენ. სამშაბათს ბოლივიის მთავრობამ ევროპის ბანკიდან საექსპორტო გარანტიების სანაცვლოდ 50 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის კრიდიტი მიიღო. ეს ფული ძირითადად ნავთობპროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენას მოხმარდება.

## პენტაგონი ნავთობს შთანთქავს

აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ენერგეტიკული ცენტრის ინფორმაციით, 2004 წელს პენტაგონმა 145 მილიონი ბარელი ნავთობი გამოიყენა და 6,7 მილიარდი დოლარი ნავთობპროდუქტებში, ძირითადად, საწვავის, შესაძენად დახარჯა. 2005 წელს ამ დანახარჯმა 8,8 მილიარდ დოლარს მიაღწია, წელს კი, სავარაუდოდ, იგი 10 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. სულ სამხედროები აშშ-ში გამოყენებული ნავთობის 2 პროცენტს მოიხმარენ.





# სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აი"-მ საქველმოქმედო აქცია ჩაატარა



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აი"-ს ინიციატივით, 202-ე უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებისთვის საქველმოქმედო აქცია ჩატარდა. საპირველივნისო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციამ "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის". გუშინ, 50-მდე უსინათლო და მხედველობამოკლებული ბავშვი "ბი-სი-აის" ჯანმრთელობის ცენტრში მიიყვანეს. მათ აქციის ფაგრლებში გათვალისწინებული სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ. სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებმა უსინათლო ბავშვებს ახალი პროგრამა "ოჯახის ექიმის" სადაზღვევო პოლისებიც გადასცეს.

"ბი-სი-აი"-ს ახალი სადაზღვევო პროგრამა "ოჯახის ექიმი" უსინათლო ბავშვებს უფასო და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებითა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფს, ამასთან ერთად, "ავერსის" აფთიაქების ქსელში ისინი მედიკამენტებზე 10-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლებენ.

"ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, "ბი-სი-აის" ჯანმრთელობის ცენტრმა 202-ე უსინათლო ბავშვთა აღსაზრდელებისთვის საქველმოქმედო აქცია ჩაატარა. ჩვენ სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში ამ ბავშვებს უფასო სამედიცინო-ამბულატორიულ გამოკვლევებს ჩავუტარებთ, ეს კი ჩვენს სამედიცინო ცენტრს ამ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ სურათს მისცემს. უსინათლო ბავშვებს ახალი სადაზღვევო პროგრამის "ოჯახის ექიმის" პოლისებიც გადავეცით, რომლის ფარგლებშიც ეს ბავშვები უფასო სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებენ. ამასთან, მოგახსენებთ, რომ საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩვენთან ერთად მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციამ " საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" მიიღო," - აცხადებს "ბი-სი-აის" ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა გამყრელიძე.

ასოციაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" მსგავს საქველმოქმედო აქციებს ხშირად ატარებენ. ასოციაციის წარმომადგენელი მაია კვეზერელი-კოპაძე აცხადებს, რომ აქციაში მონაწილეობა მათ სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აიმ" შესთავაზა. ასოციაციამ უსინათლო ბავშვებს, საჩუქრების სახით, მაისურები და ტკბილეული გადასცა.

ივა დავითაია, კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი: "სადაზღვევო კომპანია "ბი-სი-აიმ", ამ ეტაპზე ყურადღება 202-ე უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლაზე შეაჩერა. ახალი პროგრამა "ოჯახის ექიმის" ფარგლებში ჩვენ ამ ბავშვებს უფასო სამედიცინო მომსახურებას გავუწევთ და, თან, სპეციალურ პოლისებსაც გადავცემთ, რომლის მეშვეობითაც მათ ნებისმიერ დროს შეეძლებათ, მიმართონ ექიმს. ეს ჩვენს მიერ ჩატარებული პირველი აქციაა და დიდი სურვილი გვაქვს, რომ მსგავს ღონისძიებებს სისტემური სახე მივცეთ. ჩვენი ახალი პროგრამა "ოჯახის ექიმი", ძირითადად, სოციალურად დაუცველ ფენებზე ვრცელდება. "ოჯახის ექიმი" ნებისმიერი ასაკისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანს საშუალებას მისცემს, მინიმალურ ფასებში მიიღონ ხარისხიანი სამედიცინო დახმარება, ეს კი ჩვენი კომპანიის პრიორიტეტია."

## ელექტროენერგიის დიფერენცირებული ტარიფი დღეიდან ამოქმედდება

ელექტროენერგიის დიფერენცირებული ტარიფი დღეიდან ამოქმედდება. ძალაში შედის დადგენილება, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, 11 მაისს მიიღო.

სემეკ-ის გადაწყვეტილებით, დღეიდან თბილისსა და რეგიონებში ელექტროენერგიის ტარიფი სამსაფეხურიანი იქნება. თბილისელი მომხმარებელი, რომელიც თვეში 100 კილოვატსაათ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიისთვის 13,48 თეთრს გადაიხდის.

მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 101 კვტ/სთ-დან 300 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიას ხარჯავს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 16 თეთრი იქნება, ხოლო მომხმარებლისთვის, რომელიც თვეში 301 კილოვატ საათზე მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ერთი კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი 17,69 თეთრი იქნება.

რაც შეეხება რეგიონებს, 100 კვტ/სთ-მდე ელექტროენერგიის მოხმარების დროს ერთი კვტ/სთ-ის ფასი 12,98 თეთრი იქნება. 101-დან 300 კილოვატ საათამდე - 16,52 თეთრი, ხოლო 301 კილოვატ საათის ზემოთ - 17,49 თეთრი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებში სამი ენერგოკომპანია - "გაერთიანებული სადისტრიბუციო", "აჭარის ენერგოკომპანია" და "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" მოქმედებს, ტარიფები რეგიონში მცხოვრები ყველა მომხმარებლისთვის ერთნაირი იქნება.

ის მომხმარებელი, რომელიც ელექტროენერგიის საფასურის ანგარიშსწორებას ენერგოკომპანიასთან ე.წ. კომუნალური მრიცხველის ჩვენების საფუძველზე ახორციელებს, 1 კილოვატსაათში 12,98 თეთრს გადაიხდის. **ინტერპრესნიუსი**

## რუსთავში ბინათმშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე კონკურსი გამოცხადდა

ქალაქ რუსთავში ბინათმშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე კონკურსი ოფიციალურად გამოცხადდა. როგორც რუსთავის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ბესიკ ყოლბაიამ განაცხადა, ბინათმშენებლობით დაინტერესებული ფირმების რაოდენობა 9-დან 4-მდე შემცირდა. მათ შორის - 3 ქართული, ერთი კი თურქული კომპანიაა.

რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ნადაშვილის თქმით, თურქულმა კომპანია "ტამმა", რომელსაც ბაქოში ბინათმშენებლობის დიდი გამოცდილება აქვს, მერიაში საკუთარი წინადადებები უკვე შეიტანა.

**"თურქულ კომპანიას ორი 14-სართულიანი კორპუსის აშენება სურს. მათ ასევე სურვილი გამოთქვეს, რომ ბინათმშენებლობისთვის სხვა ტერიტორიაც შევურჩიოთ,"** - განაცხადა დავით ნადაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

## გერმანიასა და საქართველოს შორის შეთანხმება გაფორმდება

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, დღეს შეთანხმება გაფორმდება. როგორც "ინტერპრესნიუსს" გერმანიის საელჩოში განუცხადეს, გერმანულ-ქართული შეთანხმება საგადასახადო ბარიერების მოშლას გულისხმობს. ბარიერების მოშლა კი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას შეუწყობს ხელს.

გერმანულ-ქართული ორმაგი დაბეგვრის შეთანხმება ძალაში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისთანავე შევა. ხელშეკრულებას ხელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, მინისტრი ალექსი ალექსიშვილი და გერმანიის ელჩი საქართველოში უვე შრამი მოაწერენ. **ინტერპრესნიუსი**






# "სახალხო ბანკი" პავილიონების გახსნას იწყებს

"სახალხო ბანკის" ქსელს კიდევ 12 ფილიალი და 11 პავილიონი შეემატება

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის "სახალხო ბანკს" საქართველოში ყველაზე ფართო ქსელი გააჩნია - 160 ფილიალი და სერვის-ცენტრი ქვეყნისა და, მთლიანად, ამიერკავკასიის მასშტაბით, 100 ბანკომატი. საქართველოს 45 რაიონში კი "სახალხო ბანკი" ერთადერთი საბანკო დაწესებულებაა. ამასთანავე, "სახალხო ბანკი" საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია და მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი ქვეყნის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს.



პავილიონების გახსნის პარალელურად, "სახალხო ბანკი" ფილიალების ქსელს კვლავ აფართოებს - არსებულ ფილიალებს, უკვე 25 ივნისამდე, დედაქალაქის მასშტაბით კიდევ 12 ფილიალი შეემატება.

რაც შეეხება ახალ პავილიონებს, სადაც დამონტაჟებული იქნება ბანკომატები, რომლებიც აღრიცხვისა და ანგარიშსწორების საუკეთესო ფორმას წარმოადგენს, მუდმივად იმუშავებს ერთი მოლარე-ოპერატორი და მოქალაქეებს, მათ შორის - პენსიონერებს, მოემსახურება. პავილიონში ასევე მუდმივად იმუშავებს ბანკის ინსტრუქტორი, რომელიც მოქალაქეებს ადგილზევე, უშუალოდ ბანკომატით სარგებლობის წესებს გააცნობს. "სახალხო ბანკი" 11 ივნისამდე თბილისის სხვადასხვა რაიონში ათი პავილიონის გახსნას გეგმავს.

## ამინდი

| | 1/06 | 2/06 | 3/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 14 | 23 |
| რიგა | 11 | 17 | 21 |
| ვილნიუსი | 12 | 21 | 19 |
| მოსკოვი | 21 | 20 | 22 |
| მინსკი | 14 | 22 | 16 |
| პარიზი | 13 | 20 | 22 |
| რომი | 17 | 17 | 16 |
| ლონდონი | 15 | 20 | 24 |
| მადრიდი | 26 | 28 | 30 |
| ბონი | 8 | 15 | 17 |
| ვარშავა | 19 | 18 | 18 |
| ათენა | 32 | 33 | 27 |
| ბერნი | 6 | 10 | 14 |
| ამსტერდამი | 9 | 15 | 17 |
| ოსლო | 16 | 16 | 15 |
| ანკარა | 35 | 36 | 38 |
| ვარნა | 21 | 27 | 28 |
| დელი | 53 | 51 | 43 |
| ტოკიო | 30 | 28 | 24 |
| კოპენჰაგენი | 11 | 11 | 14 |
| ბაქო | 32 | 33 | 33 |
| ერევანი | 37 | 36 | 35 |
| ასტანა | 21 | 15 | 16 |
| ჰელსინკი | 9 | 11 | 12 |
| დუბლინი | 15 | 17 | 18 |
| ლისაბონი | 27 | 27 | 31 |
| პრაღა | 9 | 10 | 16 |
| სოფია | 18 | 18 | 23 |
| ბუდაპეშტი | 20 | 14 | 17 |
| ბუხარესტი | 24 | 22 | 25 |

# რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის სამუშაო შეხვედრა

გასული წლის ნოემბრიდან საქართველოში დაიწყო დახმარების შვედური პროგრამა, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს რძის წარმოების სექტორის განვითარებას. პროგრამა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (SIDA) შეიმუშავეს და იგი შვედური საერთაშორისო კომპანიის "OPTO INTERNATIONAL" ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი დაეხმარება რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებლებს როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, და ხელს შეუწყობს უსაფრთხოების სტანდარტების ევროსტანდარტებთან შესაბამისობას.

პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას საქართველოში რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის შექმნა და მისი მხარდაჭერა წარმოადგენს, როგორც ინტელექტუალური, ისე ფინანსური რესურსით.

18-დან 20 მაისის ჩათვლით, ლიკანში ასოციაციის სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს რძის პროდუქტების ბაზრის ლიდერები, ექსპერტები და პროექტის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განიხილეს ასოციაციის მიზნები და მათი განხორციელების გზები, ასევე ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია აღნიშნული ასოციაციის წევრობისათვის. შეხვედრის პროცესში განიხილეს ის ძირითადი სამუშაო მიმართულებები, რომლებიც რძის პროდუქტების მწარმოებელთა საქმიანობის გაუმჯობესებას ემსახურება და საზოგადოების მოთხოვნებს პასუხობს. რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის ერთ-ერთი მიზანი მასმედიის მეშვეობით საზოგადოებასთან რეგულარული ურთიერთობაა. აუცილებელია მუდმივად მიმდინარეობდეს მომხმარებელთა ინფორმირება რძის პროდუქტების ვარგისიანობის, შენახვის პირობების, მოხმარების, საჭიროებისა და საუკეთესო თვისებების შესახებ.

ასევე განხილულ იქნა წარმოებული რძის პროდუქტების ხარისხის ამაღლების და მისი სტაბილურობისათვის საჭირო ღონისძიებები. ეს საკითხი მნიშვნელოვნად უკავშირდება ნედლეულად ნატურალური რძის გამოყენებას, რომლის შეგროვებაც მოხდება ფერმერთა გაერთიანებებთან წარმატებული ურთიერთობის საშუალებით. ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში დაარსდა ახალი გაერთიანებები.

შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სურსათის უვნებლობის საკითხებს.

შემუშავდა ასოციაციის წევრობისათვის აუცილებელი კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია ნებისმიერი წევრისათვის.

შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია მოსახლეობასთან რეგულარული და წარმატებული ურთიერთობისათვის აუცილებელ რგოლს წარმოადგენს.

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასი გაიზარდა

ერთ ბარელი AZERI LT-ის სახეობის ნავთობის ფასმა 30 მაისს $71,26 შეადგინა, რაც $0,84-ით მეტია წინა ვაჭრობაზე დაფიქსირებულთან შედარებით. AZERI LT-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14 პროცენტი.

URAL-ის ფასმა ერთ ბარელზე $65,23 შეადგინა ($1,07-ით მეტი). URAL-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 1,8 პროცენტი.

Brent-ის ფასმა ერთ ბარელზე $69,96 შეადგინა ($0,20-ით მეტი). Brent-ის სიმკვრივე API-ის მიხედვით 38,3 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,36 პროცენტი.

AZERI LT-ის კოტირება ასახავს აზერბაიჯანული ნავთობის ფასს ხმელთაშუა ზღვის პორტებში, სადაც მას აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანია გადაზიდავს სუფსას ტერმინალიდან. URAL-ის კოდიტება ნავთობის ნოვოროსიისკის პორტში გადაზიდული ნავთობის ფასს ასახავს. **პრაიმ-ნიუს**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## დევიზი უცვლელია - „უკეთ, ვიდრე ათენში!"



C2

## პელე: „ზიდანი ერთადერთია!"



C3

## „ფინიქსმა" ანგარიში გაათანაბრა



C4



სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15




# გოლის გატანა უნდა ვისწავლოთ

მიხეილ აბაიშვილი
დორნბირნიდან

**საქართველო - პარაგვაი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვალდესი (37)
**გაფრთხილება:** ტოლედო, ხიზანიშვილი, გოგუა
**საქართველო:** ლომაია, სალუქვაძე (გოგუა 63), კალაძე, ხიზანიშვილი, კანდელაკი, კანკავა, ალადაშვილი (დემეტრაძე 63), მენთეშაშვილი (კვირკველია 79), მარცვალაძე (იაშვილი 71), ასათიანი (მუჯირი 71), არველაძე
**მთ.მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი
**პარაგვაი:** ვილიარი, ტოლედო (ნუნიესი 81), გამარა, კასარესი, ბონეტი, აკუნია (დოშ სანტოსი 58), პარადესი, რივერასი (ბარტეტო 58), ვალდესი, კანისა, კუევასი
**მთ.მწვრთნელი:** ანიბალ რუისი
**მსაჯი:** ტომას გენგელი
ამხანაგური მატჩი. 31 მაისი. დორნბირნი. 2000 მაყურებელი



ასათიანმა რამდენიმე საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

საქართველოს ნაკრები მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე გაემგზავრა დორნბირნის სტადიონზე, რომელიც შვიდიათასამდე ქომაგს იტევს. არც ერთი თავისუფალი ადგილი არ ყოფილა, სტადიონი პირთამდე გაივსო. ნამდვილად არ მოველოდი, თუ ამდენი ჩვენი თანამემამულე მოახერხებდა თამაშზე ჩამოსვლას და ეროვნული ნაკრების მხარდაჭერას. ავსტრია, გერმანია, შვეიცარია და ბელგია - ასეთი გახლავთ გეოგრაფია იმ ქვეყნებისა, საიდანაც ჩამოვიდნენ ქართველი გულშემატკივრები. დაახლოებით 150-მდე ჩვენი ქომაგი მთელი მატჩის განმავლობაში არ გაჩერებულა და ხმაშეწყობილი ქომაგით პარაგვაელი ინჩასების დესანტები დაჩრდილეს.

ახლა კი, რაც შეეხება თავად თამაშს, რომელიც, როგორც შევიტყვე, ქართველმა გულშემატკივარმა იხილა.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ პარაგვაის ნაკრები თავისთვის ჩვეულ სტილში ითამაშებდა. დიახ საქართველოს ნაკრები მთელი 90 წუთის განმავლობაში ფლობდა სათამაშო უპირატესობას, მაგრამ ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ანიბალ რუისის გუნდი სწორედ ასე თამაშობს. პარაგვაელები მეტოქეს უპრობლემოდ უთმობენ მინდვრის ცენტრს, აძლევენ შეტევის საშუალებას, თავად კი კონტრშეტევების იმედად არიან.

თუ პარაგვაის ნაკრების ძლევა გინდა, ამ გუნდის კართან შექმნილი მომენტები მაქსიმალურად უნდა გამოიყენო, ჩვენებმა კი ეს ვერ მოახერხეს, მარტო შოთა არველაძეს ჰქონდა, სულ ცოტა, სამი აშკარა საგოლე მომენტი, მაგრამ ვეტერანმა ფორვარდმა ვერც ერთხელ ვერ მოახერხა მეტოქის კარის დალაშქვრა.

დეტალურად მატჩის აღწერას აღარ მოვყვები, მით უმეტეს, რომ ტელეტრანსლაცია გულშემატკივარმა ნახა. უბრალოდ ერთს აღვნიშნავ, ახალ ზელანდიასთან გამართული მატჩის შემდეგ ტოპმიოლერმა გამოუყენებელ მომენტებზე გაამახვილა ყურადღება და იგივე გამეორდა ამჯერადაც.

რაც შეეხება ჩვენს კარში გატანილ გოლს, პარაგვაის ნაკრებმა ჩვეულ სტილში ითამაშა, სწრაფი კონტრშეტევა, ვალდესი მეკარესთან პირისპირ დარჩა და გოლი... მოკლედ სამხრეთამერიკელებმა მატჩში შექმნილი ერთადერთი მომენტი აქციეს გოლად. ჩვენ კი...

თუმცა, მოდით, ბოლომდე კრიტიკულები ნუ ვიქნებით, გარკვეული დადებითი მომენტები მაინც გამოჩნდა. ჯერ ერთი, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ დალაგებული ფეხბურთი ითამაშა გუნდთან, რომელიც სულ ცოტა ხანში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. ჩვენი ნაკრების აქილევსის ქუსლად კი კვლავაც მომენტების გამოუყენებლობა რჩება. მართალია ტოპმიოლერს ამ მატჩის მერეც ბევრი ექნება საფიქრალი, მაგრამ არა მგონია, მის კოლეგა ანიბალ რუისს ჰქონდეს მთლად დალხინებულად საქმე, საქართველოს ნაკრებმა პარაგვაელებს, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც აპატია. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი რუისის გუნდს მეტოქეები ასე არ დაინდობენ, თუმცა ეგ რა ჩვენი საფიქრალია, ამაზე უმჯობესია პარაგვაელთა თავკაცმა იფიქროს.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია არ გამართულა, კლაუს ტოპმიოლერმა კი ორიოდ ქართველ ჟურნალისტს მცირე კომენტარი მოგვცა.

„თავადაც ნახეთ მატჩი და როგორც ვიცი, ტრანსლაცია საქართველოშიც მიმდინარეობდა, ძალზედ საწყენია, როცა ასეთ უპირატესობას ფლობ, ბევრ საგოლე მომენტს ქმნი და ვერ ახერხებ გამოყენებას. ადრეც ვთქვი და გავიმეორებ, რა თქმა უნდა, შედეგი ჩვენთვის მეორეხარისხოვანი არ არის და ძალზედ გვინდოდა მოგება, თუმცა როგორც ზელანდიასთან, ასევე ამ მატჩს სხვა მიზანი და დატვირთვა აქვს. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ჩამოვაყალიბოთ გუნდი და შევძლოთ იმ სიმაღლეზე აღწევა, რასაც ეროვნული ნაკრები ჰქვია. ფეხბურთელების გამორჩევას არ დავიწყებ ყველამ მაქსიმუმი გაიღო და იმედი მაქვს, რომ ყოველ თამაშში ასე იქნება, რაც მთავარია, სწორ გზაზე ვდგავართ და ამის შედეგს აგვისტოში იხილავთ", - თქვა ტოპმიოლერმა.

შეხვედრის შემდეგ ქართული დესანტი ფეხბურთელებს გასახდელთან ელოდა, ჩვენმა გულშემატკივრებმა საქართველოს ჰიმნის სიმღერით გააცილეს ფეხბურთელები, რომლებმაც ისინი ნაკრების მაისურებით დაასაჩუქრეს.

**ავსტრიიდან რეპორტაჟი განხორციელდა სამშენებლო კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" მხარდაჭერით**

## ლიცენზიები კლუბებს!

საფეხბურთო სეზონის დასრულებასთან ერთად, დამთავრდა კლუბების წლევანდელი სალიცენზიო პერიოდიც.

გუშინ, 31 მაისს, სფფ-ის საკონფერენციო დარბაზში უმაღლესი ლიგის შვიდ კლუბს: ბოლნისის „სიონს", თბილისის „ვიტ ჯორჯიას", „დინამოს", „ამერს", „სპარტაკს", ბორჯომის „ბორჯომს" და ზესტაფონის „ზესტაფონს" ოფიციალურად, საზეიმო ვითარებაში გადაეცათ უეფა-2006-07 წლების სეზონის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზიები. შეგახსენებთ, რომ ჩამოთვლილი კლუბებიდან ოთხი წლეულს ევროტურნირებში იასპარეზებს: „სიონი" - ჩემპიონთა თასზე, „ვიტ ჯორჯია" და „ამერი" - უეფა-ს თასზე, ხოლო „დინამო" - ინტერტოტოს თასზე. შეკრებაზე სფფ-ის მესვეურებმა მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორებს და თასის მფლობელს ოფიციალური წერილით მიულოცეს მიღწეული შედეგი და შემდგომი წარმატებები უსურვეს ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე.

## პარაგვაული სკანდალი

გუშინ საქართველოს ნაკრებმა პარაგვაის ეროვნულ გუნდთან გამართა ამხანაგური მატჩი, რომლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე პარაგვაულ ფეხბურთთან დაკავშირებით სერიოზული სკანდალი ატყდა. გუშინ გაირკვა ერთი მეტად პიკანტური დეტალი. შაბათს, მას შემდეგ, რაც პარაგვაის ნაკრები ამხანაგურ მატჩში დანიელებს გაეჯიბრა, პარაგვაის ნაკრებთან მომუშავე ფიფას წარმომადგენელმა მანუელ ჰოფმანმა დანიური გაზეთის ფოტოჟურნალისტ ქალს ემილი ასლუნდს დაურეკა და შესთავაზა, რომ მას პარაგვაის ნაკრების ერთ-ერთი ფეხბურთელი, ასე ვთქვათ, უფრო ახლოს გაეცნო და მასთან ერთად გაეტარებინა ღამე. დანიელმა ქალმა პარაგვაელი მაჭანკალი ტაქტიანი უარით გაისტუმრა, მეორე დღეს კი დაიწყო იმის გამოძიება, თუ რატომ მაჭანკლობს ადამიანი, რომელიც ფიფას წარმომადგენლის მოვალეობას ასრულებს. ჯერჯერობით პარაგვაის ნაკრების ხელმძღვანელები კომენტარს არ აკეთებენ. სამაგიეროდ, ამ საქმით ფიფას მაღალჩინოსნები დაინტერესდნენ.

## ჩინელი ფანები გააფრთხილეს

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოუწოდა ჩინელ ფანებს, რომ ისინი მოერიდნონ საფეხბურთო ხულიგნებს.

სააგენტო როიტერის ცნობით, ჩინოვნიკებმა მოუწოდეს ჩინელ ტურისტებს, რომლებიც მუნდიალზე აპირებენ გამგზავრებას, რომ ყოველი მატჩის დამთავრებისთანავე დაბრუნდნენ სასტუმროში და მოერიდონ ხალხის თავშეყრის ადგილებს. „მოერიდეთ საფეხბურთო ხულიგნებს. გთხოვთ მატჩების შემდეგ შეძლებისდაგვარად სწრაფად დაბრუნდით სასტუმროებში. ნუ ივლით იმ ადგილებში, სადაც ფანები იკრიბებიან. განსაკუთრებით მოერიდეთ ბარებს", - ნათქვამია ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში უდიდეს ინტერესს იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები გერმანიაში არ ითამაშებს. გულშემატკივართა 70 პროცენტი მუნდიალის არც ერთი მატჩის ტელერეპორტაჟის გამოტოვებას არ აპირებს. ჩინეთის მოსახლეობის 96 პროცენტი კი მაქსიმალურად ბევრი თამაშის ხილვას გეგმავს, თუმცა ჩინეთში პირდაპირი რეპორტაჟები გვიან ღამით დაიწყება.

## საფინი დააჯარიმეს

როლან გაროს ორგანიზატორებმა მარატ საფინი 10 000 დოლარით დააჯარიმეს. ეს მაქსიმალური ფულადი ჯარიმაა, რომელიც შესაძლოა ჩოგბურთელმა გადაიხადოს.

სასჯელის მიზეზი უბრალოა: საფრანგეთის ღია პირველობის პირველივე წრეში დამარცხებული საფინი მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. რუსი ჩოგბურთელი ჯარიმების გადახდას შეჩვეულია, თუმცა კარიერის განმავლობაში ასეთი სოლიდური თანხით მხოლოდ მეორედ დაჯარიმდა.

## კარპოვი ტუსაღებს ეთამაშება

4 ივნისს ცნობილი რუსი მოჭადრაკე ანატოლი კარპოვი რუსეთის ერთ-ერთ შრომაგასწორებით კოლონიას ეწვევა, სადაც ჭადრაკის ერთდროულ სეანსს გამართავს ტუსაღებთან. მატჩის შემდეგ კი კოლონიის ბინადარებსაც შეხვდება.

კარპოვი იმ ორგანიზაციის წევრია, რომელიც პატიმართა რეაბილიტაციაზე მუშაობს.

## ბაჯო „იუვენტუსში" ბრუნდება

ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი რობერტო ბაჯო შესაძლოა „იუვენტუსში" დაბრუნდეს და მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფი კლუბის ვიცე-პრეზიდენტი გახდეს. ამჟამად რობერტო ძმასთან ერთად არგენტინაშია, სადაც ნადირობით ერთობა. როგორც ამბობენ, ტურინელთა ყოფილმა კერპმა კლუბის ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დაკავებაზე სიტყვიერი თანხმობა უკვე განაცხადა.

## ისრაელში მუნდიალის ჩვენებას ითხოვენ

ათასობით ებრაელი გამოვიდა საპროტესტო მანიფესტაციაზე და მოითხოვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩები ტელევიზიებმა უფასოდ გადასცენ. როგორც ცნობილია, ტელეტრანსლაციების უფლება ადგილობრივმა კომპანია „ჩარლტონმა" შეიძინა, რომელმაც თავიდან მართლაც ასტრონომიული თანხა დაასახელა სრული პაკეტის შეძენაზე, კერძოდ, 1000 შეიკელი ანუ 220 დოლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ნახვა პირდაპირ ეთერში მოუნდებოდა, ამ თანხას გადაიხდიდა. ამის შემდეგ თანხა თითქმის განახევრდა, მაგრამ ებრაელები მაინც უკმაყოფილონი არიან და ითხოვენ, რომ ტრანსლაციები საერთოდ უფასოდ გადაიცეს.

## „დინამო" 29 ივნისს გაიყიდება

კომპანია „ნაფტა მოსკვა" აგრძელებს მოლაპარაკებას საფეხბურთო კლუბ მოსკოვის „დინამოს" შეძენის თაობაზე. კომპანია, რომლის ერთ-ერთ მესვეურად რომან აბრამოვიჩი ითვლება, თავის დროზე იტალიური „რომას" ყიდვასაც აპირებდა, თუმცა მაშინ იტალიელებმა რუსული კომპანია უარით გაისტუმრეს. ამჟამად „ნაფტა მოსკვამ" მოსკოვის „დინამოს" დაადგა თვალი. სავარაუდოდ, გარიგება 29 ივნისს უნდა შედგეს.

# ჩინელების ჯავრი თურქეთზე იყარეს

ტურინში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე გუშინ მეათე ტურის მატჩები გაიმართა. ცხრა ტურის შემდეგ ქართველი მამაკაცები მე-18 ადგილზე იყვნენ. ამის მთავარი მიზეზი მე-9 ტურში ჩინეთის ნაკრებთან შეხვედრაში განცდილი კატასტროფული მარცხია. გუშინ ქართველ მამაკაცებს თურქეთის გუნდი დაუპირისპირდა. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებმა ჩინეთის ჯავრი თურქეთის ნაკრებზე იყარეს. ჯობავამ ფანცულაიამ და ყაჭეიშვილმა იოლად მოტგეს პარტიები, სამწუხაროდ დამარცხდა არუთუნიანი თორემ ამჯერად ქართველები მოიგებდნენ მშრალი ანგარიშით. ასეა თუ ისე გუშინდელი დღის შემდეგ ქართველი მამაკაცების სატურნირო მდგომარეობა მაიც საგრძნობლად გაუმჯობესდა. აპხლა რაც შეეხება ქალებს. ჩვენი ნაკრები ცხრა ტურის შემდეგ მესამე ადგილზე იყო და გუშინ ტურნირის ლიდერ უკრაინის ქალთა ნაკრებს ხვდებოდა. მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა.

პირველ დაფაზე შავი ფიგურებით მოთამაშე ხურციძე ჟუკოვას დაუზავდა, მესამე დაფაზე კი ჯავახიშვილმა ასევე შავი ფიგურებით ითამაშა და ქულები უსენინასთან გაიყო. პარტიის ბედი მეორე დაფაზე წყდებოდა, რომელზეც ძაგნიძე თეთრი ფიგურებით იანოვსკას ეთამაშებოდა. სამწუხაროდ ქართველი მოჭადრაკე თეთრი ფიგურებით დამარცხდა და უკრაინელებმა ლიდერობა განიმტკიცეს.

# დევიზი უცვლელია - „უკეთ, ვიდრე ათენში!"

ნიჭიერი სპორტსმენების ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა საქართველო. ახლო წარსულის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა ევროპის ოთხგზის და მსოფლიოს ხუთგზის გამარჯვებული თავისუფალ ჭიდაობაში, სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლერი ხაბელოვი.

სპორტული კარიერის შემდეგ ხაბელოვი კვლავ ქართული სპორტის და ოლიმპიზმის სამსახურში დარჩა. ახლა ის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტია.

**- საინტერესოა თქვენი მოსაზრება სპორტული კარიერისა და ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სპორტული სტრუქტურის მართვის თაობაზე. რომელი უფრო ადვილია თქვენთვის?**

- მიხარია, ქართულ სპორტში ჩემი მოკრძალებული წვლილი რომ შემაქვს. სპორტი უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. ადვილად არაფერი მიიღწევა, მით უმეტეს, სპორტში. პროფესიონალი სპორტსმენის სტატუსი უზარმაზარ შრომასთან ერთად ნიშნავს უამრავ ადამიანურ სიამოვნებაზე უარის თქმას.

პირადად ჩემთვის არანაკლებ რთულია იყო წამყვანი სპორტული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვიდრე თავად სპორტსმენობა იყო. ხანდახან პასუხისმგებლობაც უფრო მეტია, რადგან საერთაშორისო სარბიელზე წარმატება-წარუმატებლობა დიდად არის დამოკიდებული ქვეყანაში სპორტული სტრუქტურების მუშაობაზე.

**- სეოკ-ში მოსვლამდე თქვენ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყავით... რამდენად განსხვავდება ამ ორი სტრუქტურის სამუშაო სტილი?**

- რომ გითხრათ, ისეთი სხვაობაა, როგორც ცა და დედამიწა-მეთქი, მართალი არ ვიქნები, თუმცა, ბუნებრივია, სამუშაო მოდელი გარკვეულწილად განსხვავდება. არის რაღაც საკითხები, რაც უშუალოდ ან ოლიმპიური კომიტეტის ან სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციებში შედის და სხვა ვერ ჩაერევა.

მათი ფუნქციების დაწვრილებით ჩამოთვლა არაფერს მოგვცემს. რაც მთავარია, ეს ორი სპორტული სტრუქტურა წლების განმავლობაში საქვეყნო საქმეს აკეთებს, თანამშრომლობს და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა დაუშვებელია. რა მნიშვნელობა აქვს, ვის რა აკისრია? მიზანი ერთია - ქართული სპორტის განვითარება.

**- ახლახან სეულში ANOC-ის (ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასციაცია) გენერალურ ასამბლეაზე განიხილებოდა სახელმწიფო სტრუქტურებსა და ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს შორის ურთიერთობის საკითხი. თქვენს შემთხვევაში როგორი დამოკიდებულებაა სეოკ-სა და ამჯერად უკვე სპორტისა და ახალგაზრდულ დეპარტამენტთან, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან?**

- პირადად ჩემთვის გაუგებარია, რა საჭიროა ზედმეტი დაძაბულობა? საბედნიეროდ, პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს ეოკ-ს მსგავსი პრობლემები არასდროს ჰქონია. ასე რომ, ქართულ სპორტში ერთსულოვნებაა.

იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ სეოკ-სა და სპორტის სახელმწიფო სტრუქტურებს შორის გაუგებრობა მოხდეს ან ვინმე ხელოვნურად შეეცადოს ჩვენს შორის ურთიერთობის გაფუჭებას. ჩვენ ყოველთვის გვქონდა ქართული სპორტის წინსვლის ერთიანი ხედვა. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.



ლერი ხაბელოვი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.

გოგიტა ბახაიძის ფოტო

წარმატებით სრულდება საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დავალება ქვეყანაში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სპორტის სახელმწიფო სტრუქტურებს, მართვის ადგილობრივ ორგანოებს.

**- „ბორჯომი 2014"-ის პროექტის პირველი ეტაპი დამამთავრებელ ფაზაში შედის. მალე გამოვლინდება კანდიდატი ქალაქებიც...**

- ოლიმპიური თამაშები საქართველოსთვის გაცილებით მეტს ნიშნავს. როგორც იცით, იდეა - ვუმასპინძლოთ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, სეოკ-ის პრეზიდენტს ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის. თუმცა მისი ხორცშესხმა წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის, განსაკუთრებით კი ქვეყნის პრეზიდენტის თანადგომის გარეშე. ზედმეტად მიმაჩნია იმაზე საუბარი, თუ რას ნიშნავს ეს პროექტი არა მარტო ქართული სპორტისთვის, არამედ საერთოდ ქვეყნისთვის.

ცოტა ხნის წინ თბილისში იმყოფებოდა ცნობილი ამერიკელი ექსპერტი, ჟურნალ „Around the Rings"-ის დამფუძნებელი ედ ჰულა და საკმაოდ ოპტიმისტური განწყობითაც დატოვა საქართველო. ის ამ საქმის კარგ მცოდნედ ითვლება. მოუთმენლად ველით 22 ივნისს, როდესაც ლოზანაში თბილისის დროით 15 საათზე გამოვლინდებიან ის კანდიდატი ქალაქები, რომლებიც ამ საპატიო მისიისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

**- ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონთა და პრიზიორთა მონუმენტურ-დეკორატიული კომპოზიციის „ოდა ქართველ ოლიმპიელებს" დადგმასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?**

- ვფიქრობ, მისი განხორციელება დროის საქმეა, რადგან ცნობილი ხელოვანის ლევან ვარდოსანიძის ეს პროექტი ნამდვილად მშვენიერია. ადგილიც კარგი შეირჩა - სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია. დარწმუნებული ვარ, თბილისის მერიის თავკაცთა დახმარებით ეს იდეა პეკინის თამაშებამდე ხორცს შეისხამს.

**- პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის პირველი ლიცენზია ტრადიციულად ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მოიპოვა. რეალურად რამდენი საგზურის მოპოვებაა შესაძლებელი?**

- სხვათა შორის, ნინოსთვის პეკინის თამაშები სარეკორდო - მეექვსე იქნება.

რაც შეეხება ჩინეთში ლიცენზიანტთა რაოდენობას, ვფიქრობ, სოლიდური გუნდით წარვდგებით. ამ მხრივ ჩვენთვის 2007 წელი გადამწყვეტი იქნება, რადგან პეკინის საგზურების უმეტესობა გაისად გათამაშდება.

იმედი გვაქვს, პეკინში 35-40 სპორტსმენით წავალთ.

**- მოსკოვში და ტამპერეში ახლახან დასრულებულ მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს ადევნებდით თვალყურს. თუ შეიძლება, მოკლედ შეაფასეთ მოჭიდავეთა და ძიუდოისტთა გამოსვლა და, საერთოდ, სამომავლო პერსპექტივა.**

- როგორც ყოველთვის, პეკინშიც ჩვენი ძირითადი „დამრტყმელი" ძალა საჭიდაო სახეობები იქნება, მათ შორის ძიუდო. ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ ფორმაში არიან ისინი ოლიმპიადამდე ორი წლით ადრე.

სპორტის ორივე სახეობის ნაკრებში თაობათა ცვლა მიმდინარეობს. ეს პროცესი კი ყოველთვის მტკივნეულია. თუმცა მოჭიდავეებმა და ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატზე მართლაც კარგად იასპარეზეს. ყველა სინჯის 6 მედალი ურიგო შედეგი არ არის. თავად სპოტსმენების, ნაკრებთა მწვრთნელების, ფედერაციების, სეოკ-ისა და ოლიმპიური ფონდის, სპორტის დეპარტამენტის ერთიანი ძალისხმევა ნაყოფიერი გამოდგა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და წარმატება მივულოცო ნიჭიერ ბატუტზე მხტომელს ლუბა გოლოვინას, რომელიც ახლახან ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის.

**- პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის სახელმწიფოს მხრიდან თუ არის მხარდაჭერა?**

- სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია დიდ შედეგებზე ფიქრი. რამდენიც არ უნდა გააკეთოს ამ მხრივ ბიზნეს-სტრუქტურებმა, სახელმწიფოს თანადგომას სულ სხვა ეფექტი აქვს.

მთავარი ის არის, რომ ქართულ სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობას პირადად საქართველოს პრეზიდენტი უჭერს მხარს.

**- თუ არსებობს იმის პერსპექტივა, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე სათამაშო სახეობებითაც წავალთ?**

- სეოკ-ისთვის ეს საკითხი ერთ-ერთი პრიორიტეტულია. ამ ეტაპზე ცალსახა პასუხი არ გვაქვს, თუმცა გვაქვს იმედი.

ოლიმპიადის პროგრამაში სათამაშო სახეობების შეტანა ძალზე რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. შარშან კალათბურთზე გავაკეთეთ აქცენტი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა, თუმცა ამ გუნდს უთუოდ შესწევს ძალა 2012 წელს ლონდონში იასპარეზოს. წლეულს გარკვეულ იმედს ვამყარებთ პლაჟის ფრენბურთზე. ვფიქრობთ, ბრაზილიელი სპორტსმენების გაქართველებამ ნაყოფი უნდა გამოიღოს. საწყლოსნო სახეობების ფედერაციასაც სერიოზული არგუმენტები მოჰყავს, რათა წყალბურთელთა გუნდი პეკინში მოხვდეს. იმედს ახლახან ახალგაზრდა წყალბურთელების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლაც აძლიერებს. ჯერჯერობით ყველაზე მეტი შანსი, ალბათ, მაინც საფეხბურთო ნაკრებს აქვს. სეოკ-სა და ფეხბურთის ფედერაციას შორის აუცილებლად დაისახება სამომავლო გეგმები. გერმანული სამწვრთნელო შტაბის პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება.

**- ქართულ სპორტში დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოლიმპიური ფონდი...**

- ოლიმპიური ფონდის წვლილი, რომლის დამფუძნებელიც და პრეზიდენტიც ბადრი პატარკაციშვილია, ბოლო წლების სპორტულ მიღწევებში უდიდესია.

როგორც წესი, პროექტებს ჯერ განიხილავენ ფედერაციები, შემდეგ მას შეაჯერებენ სეოკ-ისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები და მხოლოდ ამის შემდეგ იგზავნება ფონდში. მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში ფონდმა 11 მილიონი ლარი გამოყო, რომლის 80 პროცენტი მიზნობრივად „პეკინი 2008"-ის პროგრამაზე დაიხარჯება.

ასე რომ, ოლიმპიური ფონდი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და აღებულ ვალდებულებებსაც დროულად ასრულებს. შარშან ფონდის ხარჯებმა ოთხ მილიონ ლარს გადააჭარბა. წლეულს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის მზადებისა და მონაწილეობის ხარჯების გარდა ოლიმპიური ფონდის პროგრამის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სპორტსმენების, მწვრთნელებისა და ვეტერან ოლიმპიელთა სოციალური დაცვა - ყოველთვიურ სტიპენდიებს 300-დან 2000 ლარამდე ამ კატეგორიის 120 კაცი იღებს.

**- ფედერაციათა სათავეში სახელისუფლებო კადრების მოსვლა ერთგვარ ტენდენციად იქცა...**

- მერე რა არის ამაში ცუდი? ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ხელისუფლება ნამდვილად დაინტერესებულია სპორტის წინსვლით. ვფიქრობ, კრივის, სროლის, ბადმინტონისა და მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციების საქმიანობაზე ეს გარემოება მხოლოდ დადებითად აისახება. სხვათა შორის, ანალოგიური პრაქტიკა ფართოდაა დანერგილი რუსეთში, ბელორუსიასა და აზერბაიჯანში.

**- და მაინც, რას უნდა ველოდოთ პეკინიდან?**

- ალბათ სასიამოვნო სიურპრიზებს, თუმცა პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. კარგად გვესმის, რომ ოლიმპიური ოქრო პეკინში გაცილებით ძნელი მოსაპოვებელი იქნება, ვიდრე ათენში იყო. ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ პეკინის თამაშები ქართველი სპორტსმენების ტრიუმფით ჩაივლის, თუმცა ამისთვის ფინანსებთან ერთად მრავალი კომპონენტის ერთობლიობაა აუცილებელი. ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი დევიზი უცვლელია: უკეთ, ვიდრე ათენში!

## ინფოთეკა

### იაპონელთა რიგებში ცვლილებაა

მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონიის ნაკრები შეცვლილი შემადგენლობით ჩავა. ტრავმირებული მაკოტო ტანაკას ნაცვლად გუნდში ტერიუკი მონივა ითამაშებს. ტანაკამ, რომელიც იაპონელთა დაცვის ბურჯი გახლდათ, ბუნდესნაკრებთან ამხანაგურ მატჩში მიიღო ტრავმა. მუნდიალზე იაპონიის ნაკრები C ჯგუფში ბრაზილიასთან, ხორვატიასთან და ავსტრალიასთან ერთად იასპარეზებს.

### უადო „ოლიმპიაკოსშია"

გაზეთ „ეკიპის" ცნობით, მაროკოს ნაკრებისა და ფრანგული „რენის" მცველმა აბდესლამ უადომ ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან" გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულების თანახმად, აფრიკელი ფეხბურთელი ფრანგულ გუნდში, სულ ცოტა, სამ წელიწადს ითამაშებს.

### ვან დერ ვარტი მამა გახდა

ჰოლანდიის ნაკრებისა და გერმანული „ჰამბურგის" ნახევარმცველი რაფაელ ვან დერ ვარტი გუშინ საღამოს მამა გახდა. ფეხბურთელს, რომელიც მარცხენა ფეხის ტრავმის გამო ჯერაც ვერ ვარჯიშობს სრულყოფილად, ბიჭი შეეძინა. იმავე საღამოს ჰოლანდიურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რაფაელმა ნაკრების რეჟიმი დაარღვია და მწვრთნელთან შეუთანხმებლად დატოვა ნაკრების ბაზა, საიდანაც სამშობიარო სახლში გაემართა. შესაძლოა, ამის გამო ვან დერ ვარტი მკაცრად დაისაჯოს.

### კერბიშლის „მიდლსბროში" იწვევენ

ბრიტანული პრესის ცნობით, „მიდლსბროს" ხელმძღვანელობამ უკვე გააკეთა არჩევანი სტივ მაკლარენის შემცვლელზე. სავარაუდოდ, მაკლარენს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში, ალან კერბიშლი შეცვლის. სეზონის ბოლოს კერბიშლიმ „ჩარლტონი" დატოვა და ახალ კლუბს ეძებდა. „მიდლსბროში" მუშაობაზე უარი თქვეს ტერი ვენეიბლზმა და მარტინ ონილმა.

### ინგლისელ ფანებს დროშების ფრიალი აეკრძალათ

ინგლისელი ფანები, რომლებიც გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას თავიანთ ავტომანქანებზე ან მოტოციკლებზე ქვეყნის დროშებს მიაკრავენ, შესაძლოა პოლიციაში აღმოჩნდნენ. „როიტერის" ცნობით, ბრიტანელი მოტოციკლისტები საგანგებოდ გააფრთხილეს, რომ მათი დროშები ცხენებს აშინებთ. „თუ შემთხვევით მანქანას დროშა მოსძვრება, შესაძლოა მან საფრთხე შეუქმნას ფეხით მოსიარულეებსა და ველოსიპედისტებს. ამიტომ უმჯობესია დროშები საერთოდ არ მიამაგრონ", - განაცხადეს პოლიციელებმა.

### „რეალი" „ინტერს" ადრიანოს სთხოვს

მადრიდის „რეალის" იტალიელი აგენტმა ენცო ბრონძეტიმ მილანის „ინტერის" ხელმძღვანელობას ადრიანოს თაობაზე მოსალაპარაკებლად ჩააკითხა. ბრონძეტის თქმით, მილანელები ბრაზილიელი თავდამსხმელის გაყიდვაზე ორ კვირაში ეტყვიან საბოლოო პასუხს. შეგახსენებთ, რომ მანამდე „ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ საჯაროდ განაცხადა, რომ ადრიანო ამ ზაფხულს კლუბს არ დატოვებს.

### მოურინიომ თანამემამულე მეკარე დაიმატა

პორტუგალიის „ნასიონალის" 30 წლის მეკარე ენრიკე ხილარიო ლონდონის „ჩელსის" კუთვნილება გახდა. „არისტოკრატთა" პორტუგალიელი თავკაცის ჟოზე მოურინიოს თქმით, მისი თანამემამულე კლუბის ძირითადი მეკარის პეტერ ჩეხის დუბლიორი იქნება. ხილარიო „პორტუს" ღირსებას მაშინ იცავდა, როცა გუნდს ჟოზე მოურინიო ედგა სათავეში.

### რეკობას მომავალი გაურკვეველია

თითქმის საბოლოოდ გადაწყდა, რომ „ინტერის" ურუგვაელი თავდამსხმელი ალვარო რეკობა კლუბს დატოვებს. ფეხბურთელის კონტრაქტს მილანურ გუნდთან ვადა ამოეწურა, თუმცა მასიმო მორატი 29 წლის რეკობას ახალი კონტრაქტის თაობაზე ჯერ არ შეხმიანებია. იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, „ინტერი" უარს იტყვის რეკობასთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე და მომდევნო კვირას მას ტრანსფერზე დააყენებს.

### ინგლისური კლუბები იტალიელი ფეხბურთელით ინტერესდებიან

იტალიური „სამპდორიას" ნახევარმცველით აიმო დიანათი პრემიერლიგის ერთბაშად სამი კლუბი „ლივერპული", „ტოტენჰემი" და „არსენალი" დაინტერესდა.

„სკუადრა აძურას" ფეხბურთელით, ინგლისურის გარდა, იტალიური კლუბებიც ინტერესდებიან. მათ შორის ყველაზე მეტ აქტიურობას „ფიორენტინა" იჩენს. თუმცა ჯერჯერობით ფეხბურთელს არჩევანი არ გაუკეთებია.

### ვან დერ მეიდემ „გალათასარაი" უარყო

ინგლისის „ევერტონის" ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ენდი ვან დერ მეიდემ უარყო გავრცელებული ხმები მისი თურქულ „გალათასარაიში" გადასვლის თაობაზე.

ფეხბურთელის თქმით, სულ მცირე, კიდევ ერთი სეზონით უნდა, რათა დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები. ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა წლევანდელ სეზონში ტრავმის გამო „ევერტონში" მხოლოდ ათი მატჩი ჩაატარა.

# მარტინას დაბრუნება

როლან გაროზე დასრულდა პირველი წრე, რომელსაც მოულოდნელობების გარეშე არ ჩაუვლია. მესამე დღე რუსებისთვის მეტად უიღბლო აღმოჩნდა. გათამაშებას გამოეთიშა ნადეჟდა პეტროვა, რომელსაც ამ სეზონში ოთხი ტურნირი ჰქონდა მოგებული და საფრანგეთის ღია პირველობაზეც განთესილთა შორის იყო, თუმცა პეტროვას მარცხს გარკვეული ობიექტური მიზეზებიც აქვს. რუსმა ჩოგბურთელმა როლან გარომდე გამართული რომის ტურნირი ტრავმის გამო გამოტოვა და პარიზშიც მოუშუშებელი ტრავმით ჩავიდა. ამიტომაც იყო, რომ პეტროვასა და მორიგამის შეხვედრა თითქმის ერთ საათში დამთავრდა, ნადეჟდა ორ სეტში დამარცხდა და ორივე ერთნაირი ანგარიშით 2:6 დათმო.

მოულოდნელობა მამაკაცთა ტურნირშიც დაფიქსირდა. მარატ საფინმა ვერაფერი გააწყო გონსალესთან. ერთ დროს მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა უსუსური ჩოგბურთი აჩვენა. გამართლება ამ მარცხსაც შეიძლება მოეძებნოს. საფინი ტურნირისთვის მზად არ იყო და არც თიხნარზე თამაშობს კარგად. გონსალესი კი თიხის კორტების სპეციალისტია.

პირველ წრეში დამარცხდა კიდევ ერთი ტიტულოვანი ჩოგბურთელი ენდი როდიკი, რომელმაც მარტინთან შეხვედრაში ტრავმა მოიმიზეზა და მესამე სეტში თამაში შეწყვიტა.

მესამე დღის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მარტინა ჰინგისის დიდ ჩოგბურთში დაბრუნება უნდა მივიჩნიოთ. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შვეიცარიელმა დიდი სლემის ტურნირის პირველივე წრეში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.


*მარტინა ჰინგისმა გამარჯვებით დაიწყო.*

მარტინას მეტოქე მისი ძველი ნაცნობი ლიზა რეიმონდი იყო. ჰინგისმა ბრწყინვალედ ითამაშა და მეტოქე უშანსოდ დატოვა. მარტინამ ორ სეტში იმარჯვა - 6:2,6:2.

31 მაისი

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| კარლოს მოია - მიხაილ იუჟნი | 6:3,6:4,6:2 |
| როჯერ ფედერერი - ალეხანდრო ფალა | 6:1,6:4,6:3 |
| ფლავიო სარეტა - ნიკოლაი დავიდენკო | 2:6,1:4 (სარეტამ თამაში შეწყვიტა) |
| ფილიპ კოლჩრეიბერი - ხუან კარლოს ფერერო | 2:6,4:6,2:6 |
| მარკ გასკელი - ნიკოლას კიფერი | 0:6,1:6,7:5,6:3,9:11 |
| მაქს მირნი - ნიკოლას მასუ | 4:6,5:7,4:6 |
| ტომას ბერდიჩი - ფილიპო ვოლანდრი | 6:2,6:1,6:1 |
| ხოსე აკასუსო - ლუკას დლოუჩი | 6:4,6:7,3:6,1:6 |
| სტეფანო გალვანი - ალბერტ მონტანესი | 5:7,1:6,6:3,6:2,4:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| მარია შარაპოვა - ივეტა ბენესოვა | 6:4,6:1 |
| აი სუგიამა - არავან რეზაი | 6:4,4:6,3:6 |
| ამელი მორსემო - ვერა დუშევინა | 6:1,7:6 |
| ელენა იანკოვიჩი - მარიონ ბარტოლი | 2:6,6:4,6:1 |
| ფრანჩესკა სკიავონე - მარტინა მიულერი | 6:2,6:2 |
| ჰანა სრომოვა - დინარა საფინა | 0:6,2:6 |
| ალის კორნეტი - ვირჯინია რუანო პასკუალი | 6,4,4:6,6:1 |
| კატარინა სრებოტნიკი - ეშლი ჰერკლოუდი | 6:3,6:2 |
| ანა ჩაკვეტაძე - ნა ლი | 5:7,3:6 |
| ტანტიან სუნი - ნიკოლ ვაიდასოვა | 1:6,3:6 |
| კრისტინ ფლიპკენსი - ფლავია პენეტა | 1:6,0:6 |

შეხვედრის შემდეგ მან ჟურნალისტებს მცირე ინტერვიუ მისცა.

**- როგორ გრძნობთ თავს დაბრუნების შემდეგ?**

- ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პაუზა საერთოდ არ მქონია. შესაძლოა იმიტომ, რომ პირველივე შეხვედრა იოლად მოვიგე. თანაც პირველ წრეში ჩემი მეტოქე ძველი ნაცნობი იყო და მასთან თამაში არასდროს მიჭირდა.

**- ამ ტურნირზე რა გეგმები გაქვთ?**

- მოვლენების ფორსირება არ მჭირდება. რა თქმა უნდა, პარიზში მოსაგებად ჩამოვედი, თავს მშვენივრად ვგრძნობ და დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თამაშისთვის მზად ვარ.

**- დაბრუნება რატომ გადაწყვიტეთ?**

- ჩოგბურთი მომენატრა და ვხედავდი, რომ ჩემი დაბრუნება ბევრს უნდოდა. ახლა მთავარია თითოეული მატჩისთვის მოვემზადო და ვაჩვენო, რომ დიდი სლემის ტურნირებს ტყუილად არ დავუბრუნდი.

**- თამაშის წინ არ ნერვიულობდით?**

- ცოტათი, თუმცა დავიწყე თუ არა თამაში, დავწყნარდი და ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

**- შედეგით კმაყოფილი ხართ?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ერთსაც ვიტყვი: გამარჯვება იოლად მოვიპოვე და ამ მატჩს ნამდვილ გამოცდას ვერ დავარქმევდი. ლიზამ დღეს აშკარად სუსტად ითამაშა და ამოცანა ამანაც გამიიოლა. ეს უფრო ვარჯიშს ჰგავდა. ნამდვილი ბრძოლები კი ჯერ წინაა. იმედია ყველაფერი რიგზე იქნება და მომდევნო წრეებშიც შევძლებ გამარჯვებას. ჯერჯერობით კი კმაყოფილი ვარ.

# პელე: „ზიდანი ერთადერთია!“

მარი ჭავახიშვილი

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ, ბუნებრივია, უდავოდ საინტერესოა, როგორ აფასებს თანამედროვე ფეხბურთის ტენდენციებსა და გერმანიაში მოასპარეზე გუნდების შანსებს ფეხბურთის მეფე პელე. თუმცა, გერმანელ ჟურნალისტებთან საუბრისას ბრაზილიელი განსაკუთრებული ორიგინალობით არ გამორჩეულა - მსოფლიო თასი თანამემამულეებს მოაგებინა.

**- გული ხომ არ გწყდებათ, რომ თანამედროვე ფეხბურთში დიდი ყურადღება დაცვასა და საბოლოო შედეგს ექცევა, მაშინ, როცა თქვენ დროს უფრო სანახაობრივი იყო?**

- სამაგიეროდ, ადრე თავდამსხმელებს მუდმივად ტრუსებზე ექაჩებოდნენ, ფეხებში ურტყამდნენ, რადგან მაშინ მსაჯები ბოლო წუთამდე სწყალობდნენ ფეხბურთელებს. ახლა კი მცველები უფრო ერიდებიან წესების დარღვევას. ზოგადად კარგი ფეხბურთი მოედანზე მყოფი მოთამაშეების ტექნიკურობასა და სწრაფ მოქმედებაზეა აგებული.

**- თანამედროვე ფეხბურთელებიდან ვინ უფრო გესიმპათიურებათ?**

- არ მიყვარს, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ბევრს ვსაუბრობ. დროთა განმავლობაში ფეხბურთმა ისეთი მეტამორფოზა განიცადა, მოთამაშეები ველარ ახერხებენ წარმატების პიკზე ხანგრძლივად ყოფნას. დღეს თუ ერთია ვარსკვლავი, ორი წლის შემდეგ ეს ფეხბურთელი თითქოს არც ყოფილაო. მაგალითად, რობინიო ბრაზილიაში ექსტრაკლასის ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ ევროპაში გაირკვა, რომ სერიოზული თამაშისთვის მზად არ ყოფილა. ჯერ ხეირიანად კუნთებიც არა აქვს გამაგრებული. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ზიდანის გარდა, ვერავის დავასახელებ. ზიზუ ერთადერთია, ვინც წლებია უკვე ძირს არ ეშვება. შემდეგი ალბათ რონალდინიო იქნება. თუ ის მსოფლიო ჩემპიონატზე კარგად გამოვა, მაშინ ზიდანის გზას ღირსეულად გააგრძელებს.

**- რას იტყვით 17 წლის თეო უოლკოტზე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე იმავე ასაკში იასპარეზებს, რა ასაკშიც თქვენი დებიუტი შედგა...**

- უოლკოტის სიტუაცია ჩემსას ნამდვილად არ ჰგავს. მე 15 წლიდან „სანტოსის“ ძირითადში ვთამაშობდი, თექვსმეტისამ ბრაზილიის ნაკრებში არგენტინელების წინააღმდეგ ვითამაშე. ასე რომ, გამოცდილება უფრო მეტი მქონდა. თეოს კი, არა მგონია, ბოლომდე გააზრებული ჰქონდეს, რა არის ნამდვილი, კაცური ფეხბურთი. მისი თამაში ჯერ თვალითაც არ უნახავს ვინმეს, ნაკრების თანაგუნდელებსაც კი. ერთი სიტყვით, მიჭირს იმის დაჯერება, რომ ეს ბიჭი გერმანიაში სასწაულებს მოახდენს.

**- დაგვისახელებთ გერმანიის ფავორიტებს?**

- ჩემთვის ცალსახაა, რომ დღევანდელ ფეხბურთში ბრაზილიის ნაკრები ნომერ პირველია, მაგრამ გერმანიაში ჩემპიონატის მოგება პარეირას გუნდისთვის იოლი არ იქნება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გუნდი ტურნირის აბსოლუტური ფავორიტია. ასეთებს კი ბოლომდე არ სწყალობთ ბედი. ხომ გახსოვთ, 1998 წელს ბრაზილიას უკონკურენტოდ თვლიდნენ, მაგრამ ფრანგებმა ფინალში 0:3 გაანადგურეს. 1994-ში პირიქით, ბრაზილიას ლანძღავდნენ, სამაგიეროდ, ჰოლანდიელებს ალმართებდნენ. მაგრამ თასი ჩემს თანამემამულეებს დარჩათ.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ბრაზილიის ნაკრებს, პირველად არსებობის ისტორიაში, სუსტი რგოლი ფაქტობრივად არ ჰყავს. თუ ასეა, ვინ შეძლებს „პენტაკამპეონეთა“ დამარცხებას?**

- ძნელია ამის წინასწარმეტყველება. მსოფლიო ჩემპიონატებზე უმნიშვნელოვანესია, რა განწყობითა და შემართებით გავა ნაკრები მოედანზე კონკრეტული მატჩის სათამაშოდ.

**- როგორ ფიქრობთ, წლეულს რომ ინგლისელებს ბრაზილიელებთან მოუხდეთ შეხვედრა, წინა ჩემპიონატზე დამარცხებისთვის რევანშს იზეიმებენ?**

- ამ ოთხი წლის განმავლობაში ინგლისელთა ნაკრების დონე გაცილებით ამაღლდა. ჩემი აზრით, ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ბრიტანელებს საუკეთესო გუნდი ჰყავთ. რუნის ტრავმა რომ არა, ფინალამდე ალბათ იოლად გავიდოდნენ. მაგრამ ახლა უკვე აღარ ვიცი. რუნი გუნდის ძირითადი ფიგურაა, რომლის შემცვლელი ერიქსონს არავინ ჰყავს.

**- როგორც წესი, სამხრეთამერიკული გუნდები ევროპაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებს ვერ იგებენ. ეს მარტო ბრაზილიამ მოახერხა და ისიც შორეულ 1958 წელს. რატომ უჭირთ სამხრეთამერიკელებს ევროპაში საუკეთესო თამაშის ჩვენება?**

- არ ვიცი, მაგრამ თქვენს კითხვას შებრუნებით ვუპასუხებ: ეს ევროპელებს უჭირთ თავიანთ კონტინენტს გარეთ თამაში ნესტიანი და ცხელი კლიმატის გამო, რაც ძირითადად ამერიკისა და აზიისთვისაა დამახასიათებელი. შინ კი იმ ერთადერთ კოზირს იყენებენ, რაც აქვთ - უპირატესობას „ფიზიკაში“.

**- მეტეოროლოგთა მტკიცებით, ევროპას ცხელი ზაფხული ელის...**

- მართლა? მაშინ პარეირას გუნდს ერთი სერიოზული პრობლემა მოეხსნება.




## ბრეცკი „ფენიქსში“ დარჩება

ლეგენდარულმა კანადელმა ჰოკეისტმა, ამჟამად კი NHL-ის კლუბ „ფენიქსის“ მთავარმა მწვრთნელმა უეინ გრეცკიმ კიდევ ხუთი წლით გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. გრეცკის რამდენიმე სხვა შეთავაზებაც ჰბონდა, თუმცა მან „ფენიქსთან“ ამჯობინა დარჩენა.

## მუნდიალმა ჩრდილო კორეაში ჩააღწია

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება მზადაა არსებობის მანძილზე პირველად მოაწყოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩების პირდაპირი ტელეტრანსლაცია. ერთ-ერთი ჩრდილოკორეული გაზეთის ცნობით, ფხენიანმა უკვე გაგზავნა ოფიციალური მოთხოვნა მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტში და მატჩების ტელეტრანსლაციის შესყიდვას აპირებს. ჩრდილოკორეელებმა დახმარებისთვის სამხრეთ კორეას მიმართეს. ახლა სწორედ ამ ქვეყნის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული მოეწყობა თუ არა ჩრდილოეთ კორეაში მუნდიალის მატჩების პირდაპირი ტელეტრანსლაციები.

## ლაუდრუპი „რეალში“

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი მიხაელ ლაუდრუპი სულ ცოტა ხნის წინ დანიურ კლუბ „ბრონდბიუს“ ხელმძღვანელობდა. ორი კვირაა, რაც მიხაელმა ეს გუნდი დატოვა და ახლა რომელიმე ევროპული გრანდის მწვრთნელობაზე აცხადებს პრეტენზიას.

ლაუდრუპის აგენტმა აღნიშნა, რომ რამდენიმე კლუბმა უკვე გამოთქვა მიხაელის გადაბირების სურვილი, მაგრამ თავად ლაურდუპს სწორედ „რეალში“ სურს მუშაობა და ამიტომ ჯერჯერობით ყველა შეთავაზებაზე უარი განაცხადა. „ლაუდრუპის გადაბირება ბევრს სურს, მაგრამ თანხმობას მხოლოდ მაშინ განვაცხადებთ, როდესაც „რეალის“ დონის გუნდიდან მივიღებთ მიწვევას“, - აცხადებს მიხაელის აგენტი ბაირამ თუთუმლუ.

## ლოპეს კარო „რასინგში“ იმუშავებს

მადრიდის „რეალის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კარო უკვე შეუთანხმდა სანტანდერის „რასინგს“ და მომავალი სეზონიდან ამ გუნდის მწვრთნელი იქნება. სანტანდერელებმა ლოპეს კაროსთან ჯერჯერობით მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

## სამეფო კლუბის პრეზიდენტს 2 ივლისს აირჩევენ

გადაწყდა, რომ 2 ივლისს გაიმართება მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის არჩევნები. კლუბის დირექტორატის გადაწყვეტილებით, კანდიდატებმა 6-დან 15 ივნისამდე უნდა შეიტანონ განაცხადები. ჯერჯერობით საპრეზიდენტო არჩევნებში 9 კანდიდატი აპირებს მონაწილეობის მიღებას.

## არმსტრონგი გაამართლეს

არც ისე დიდი ხნის წინ ფრანგულ გაზეთ „ეკიპში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ 1999 წელს ლენს არმსტრონგმა ტურ დე ფრანსი დოპინგის წყალობით მოიგო.

ამის შემდეგ ჰოლანდიაში დაიწყო დამოუკიდებელი გამოძიება. გუშინ კი გამომძიებელმა გამოაქვეყნა დასკვნები, რომლის თანახმად ლეგენდარულ მრბოლს არაფერში არ ედება ბრალი.

## რაული „რომაში“

გუშინ იტალიურმა მედიამ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. მადრიდის „რეალი“ მზადაა შეელიოს რაულს და ფეხბურთელი იტალიურ „რომაში“ გაუშვას. სპალეტის უკვე დიდი ხანია სურს რაულის შეძენა, მაგრამ „რეალიდან“ ამ ფეხბურთელის წასვლაზე საუბარიც კი წარმოუდგენელი იყო. ახლა კი, როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა. იტალიური კლუბის წარმომადგენლების განცხადებით, მათ უკვე დაიწყეს მოლაპარაკება მადრიდის „რეალის“ კაპიტანთან. ყველაფერი მას შემდეგ გადაწყდება, რაც „რეალში“ ახალ პრეზიდენტს აირჩევენ.

## ლამი ბრუნდება

გერმანიის ნაკრების მცველი ფილიპ ლამი უკეთაა. ფეხბურთელმია ტრავმა მოიშუშა და პარასკევს მონაწილეობას მიიღებს გერმანიისა და კოლუმბიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში. „ფილიპი ჩემს გეგმებში შედის. კოლუმბიის ნაკრების წინააღმდეგ აუცილებლად ვათამაშებ, რათა მუნდიალის დაწყებამდე სათამაშო პრაქტიკა შეიძინოს“, - აცხადებს იურგენ კლინსმანი.

## „დინამოდან“ „ატლეტიკოში“

მადრიდის „ატლეტიკომ“ უკვე შეიძინა იურკას სეიტარიდისი და კოშტინია. ორივე ფეხბურთელი მადრიდულ კლუბში მოსკოვის „დინამოდან“ გადავიდა. რუსულმა კლუბმა ორივე პორტუგალიური „პორტოდან“ იყიდა, თუმცა ბერძენი მცველისა და პორტუგალიელი ნახევარმცველის რუსული კარიერა არ აეწყო.

## მესი დაბრუნდა

არგენტინისა და ანგოლის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში მონაწილეობა მიიღო არგენტინელთა იმედმა ლიო მესიმ. შეგახსენებთ, რომ „ბარსელონას“ ვარსკვლავს „ჩელსისთან“ განმეორებით მატჩში კუნთი დაეჭიმა და თითქმის ორი თვეა მინდორზე არ გასულა. არგენტინელები შიშობდნენ, რომ ის ვერც მუნდიალისთვის დადგებოდა ფეხზე. სამშაბათს კი მესი ანგოლასთან მატჩში ნახევარი საათით გავიდა მინდორზე და თავისი თამაშით არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა.

## პეტროვის სურვილი

შოტლანდიური „სელტიკისა“ და ბულგარეთის ნაკრების კაპიტანი სტილიან პეტროვი აცხადებს, რომ შოტლანდიურ გრანდს დატოვებს. „მინდა რაიმე ახალი გავაკეთო, მინდა წავიდე „სელტიკიდან“, რადგან ამ გუნდში უკვე ყველაფერს მივაღწიე. ცვლილებები მჭირდება. ძალიან მომწონს ინგლისური ფეხბურთი და იმედია, სწორედ პრემიერლიგის რომელიმე კლუბში გავაგრძელებ კარიერას“, - აცხადებს პეტროვი.

## ოლა კმაყოფილია

რამდენიმე დღის წინ ჯიბრილ სისემ განაცხადა, რომ „ლივერპულის“ დატოვება და „ლიონში“ კარიერის გაგრძელება სურს. ამ ცნობამ ყველაზე მეტად „ლიონის“ პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა გაახარა. „როდესაც ასეთი დონის ფეხბურთელს სურს „ლიონში“ გადმოსვლა, ცხადია, სასიხარულოა. ყველაფერს ვილონებ, რათა ეს ტრანსფერი შედგეს“, - აცხადებს ოლა.

## „კაჭკაჭებს“ კემპბელი არ სჭირდებათ

რამდენიმე დღის წინ ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა სოლ კემპბელი. მაშინვე ითქვა, რომ მცველის შეძენა „ნიუკასლს“ სურდა, თუმცა ჯორდებმა ეს ინფორმაცია უარყვეს. „ნიუკასლის“ მთავარი მწვრთნელის გლენ როიდერის თქმით, კემპბელი უკვე ბებერია იმისთვის, რომ მის გუნდში ითამაშოს.

## ბალაკი გააბრაზეს

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი უკმაყოფილოა, რომ, გერმანული მედიის აზრით, ის ლონდონის „ჩელსიში“ მხოლოდ ფულის გამო გადავიდა. „ლონდონურ კლუბში სარფიანი კონტრაქტის გამო არ გადავსულვარ. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურს. თანამედროვე ფეხბურთში კლუბიდან კლუბში გადასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა. დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილას „ბაიერნის“ ნებისმიერი სხვა ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, ამ თემაზე არც კი ილაპარაკებდნენ“, - აცხადებს მიხაელ ბალაკი.

## „მანჩესტერს“ რიკელმე აინტერესებს

ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“ ესპანური „ვილიარეალიდან“ არგენტინელი ნახევარმცველის ხუან რამონ რიკელმეს გადაბირება უნდა. სწორედ ამ მიზნით მანჩესტერელთა თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი შვებულების დროს გერმანიაში ჩასვლას და არგენტინის ნაკრების მატჩებზე დასწრებას აპირებს. თავის ლიდერს „ვილიარეალი“ მხოლოდ 15 მილიონი ევროს სანაცვლოდ დათმობს, მაშინ როცა „მანჩესტერი“ ფეხბურთელში 10 მილიონ ევროს იხდის.

## რონალდო მესამეა

ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი რონალდო თავისი ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში სამ საუკეთესო ბომბარდირს შორის დასახელდა. შვეიცარიის „ლუცერნთან“ ამხანაგურ მატჩში რონალდომ დუბლი შეასრულა და ეროვნული ნაკრების მაისურით გატანილი გოლების რაოდენობა 69-მდე გაზარდა. ამ მიღწევით „რეალის“ ფორვარდმა გაუსწრო ლეგენდარულ ზიკოს, რომლის ანგარიშზე 67 გოლია. ახლა რონალდო მხოლოდ რომარიოსა და ფეხბურთის მეფე პელეს ჩამორჩება, რომელთაც ქვეყნის პირველ გუნდში, შესაბამისად, 71 და 95 გოლი აქვთ გატანილი.

## კოუტუ „პარმაში“ დარჩა

იტალიური „პარმას“ მცველმა ფერნანდო კოუტუმ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა.

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე „პარმაში“ 2005 წელს რომის „ლაციოდან“ გადაბარგდა და გუნდს სერია ა-ში დარჩენაში დაეხმარა. მიმდინარე სეზონში 36 წლის კოუტუმ „პარმას“ შემადგენლობაში 20 შეხვედრა გამართა.

## „ატლეტიკომ“ 17 წლის არგენტინელი დაიმატა

მადრიდის „ატლეტიკომ“ 6-წლიანი კონტრაქტი გააფორმა 17 წლის არგენტინელ თავდამსხმელთან სერხიო აგიეროსთან. ესპანური პრესის ცნობით, არგენტინის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ფეხბურთელის სატრანსფერო თანხა 20 მილიონი ევროა. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული თანხა დადასტურდება, აგიერო, რომელიც მანამდე „ინდეპენდიენტეს“ ღირსებას იცავდა, „ატლეტიკოს“ ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშე გახდება.

## „ჩელსი“ დაჯარიმდა

ინგლისის ფეხბურთის სადისციპლინო კომიტეტმა 10 ათასი ფუნტი სტერლინგით დააჯარიმა ლონდონის „ჩელსი“. „არისტოკრატები“ პრემიერლიგის 30-ე ტურში „ფულჰემთან“ თამაშისას (0:1) უსაქციელობის გამო დაისაჯნენ. ამ მატჩში ინგლისის ჩემპიონებმა დიდიე დროგბას გოლის წყალობით ანგარიში გაათანაბრეს, თუმცა მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, რის შემდეგაც „ჩელსის“ ფეხბურთელებმა აშკარად გამოხატეს უკმაყოფილება. გუნდის დამრიგებელმა ჟოზე მოურინიომ კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მარცხში აშკარად დაადანაშაულა შეხვედრის არბიტრი მაიკ დინი. მანამდე, ორი ტურით ადრე, „ჩელსი“ ერთხელ უკვე დააჯარიმეს („ვესტ ბრომვიჩთან“ გამართული მატჩისას).

## ესპანელებს დელ ორნო გამოაკლდათ

ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას, რათა ნება დართონ, რომ ტრავმირებული მცველი ასიერ დელ ორნო შეცვალონ. შეგახსენებთ, რომ „ჩელსის“ მცველს წინა კვირას ვარჯიშზე აქილევსის მყესი დაუზიანდა. სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ ნაკრების მთავარმა ექიმმა განაცხადა, რომ დელ ორნოს, სულ ცოტა, ათი დღე დასჭირდება ტრავმის მოსაშუშებლად, კიდევ ათი დღე კი - ოპტიმალური ფორმის დასაბრუნებლად. იმ შემთხვევაში, თუ ფიფა ესპანელებს ცვლილების ნებას დართავს, დელ ორნოს ნაცვლად მოედანზე „დეპორტივოს“ ფეხბურთელი ხოან კაპდევილია ან „ხეტაფეს“ მცველი მარიანო პერნია გამოვა.

## „ალემანია“ თავდამსხმელებით ძლიერდება

ბუნდესლიგაში ახლახან აღზევებული „ალემანია“ ორი თავდამსხმელით - ვედად იბიშევიჩითა და ემანუელ კრონტირასით გაძლიერდა. 21 წლის ბოსნიელი იბიშევიჩი, რომელიც მანამდე პსჟ-ს ღირსებას იცავდა, გერმანულ გუნდში სამი სეზონი ითამაშებს. რაც შეეხება „ალემანიას“ მეორე შენაძენს, 23 წლის კრონტირასი „მიუნხენ-1860“-ის კუთვნილება იყო, თუმცა 2002-03 წლების სეზონის მეორე ნახევარში იჯარით იყო განათხოვრებული.


# ბარბაროსები ღვინის ქვეყანაში

საუკუნის მატჩი

მსოფლიოს უპირველესი წვეული გუნდი ქართველი ბორჯღალოსნების წინააღმდეგ

საქართველო ბარბაროსები

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი

4 ივნისი, 2006 წ.

დასაწყისი 18:00 სთ-ზე

ბილეთის ფასი:




# „ფინიქსმა“ ანგარიში გაათანაბრა

NBA-ს დასავლეთ კონფერენციის ფინალურ სერიაში მეოთხე მატჩი გაიმართა. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „ფენიქსმა“ საკუთარ მოედანზე დამაჯერებლად სძლია „დალასს“ 106:86 და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 2:2.

ამ შეხვედრაში „ფენიქსის“ კალათბურთელებმა შეძლეს მთავარი, მათ პირწმინდად გამოთიშეს თამაშიდან დალასელთა გერმანელი ლიდერი დირკ ნოვიცკი. მან ამ მატჩში მხოლოდ 11 ქულა მოაგროვა, ფარქვეშ ბრძოლა კი სულ 7-ჯერ მოიგო. ცხადია, ასეთი მაჩვენებელი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელისთვის დამაკმაყოფილებელი არ არის.

დალასელთა შორის საუკეთესო იყო დუან ჰოვარდი, რომელმაც 16 ქულა შესძინა გუნდს და 9-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი.

მასპინძელთა რიგებში ცალკეული კალათბურთელების გამოყოფა არასწორი იქნებოდა. სტივ ნეშმა გუნდს 21 ქულა შესძინა, ლეანდრო ბარბოსამ - 24, ბორის დიავმა - 20, შონ მერიონმა კი - 15. თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს ლეანდრო ბარბოსას კარგი თამაში. ის სათადარიგოთა სკამიდან შევიდა მოედანზე და თავისი გუნდის გამარჯვებაშიც ლომის წილი შეიტანა.

თუ ფინალური სერიის პირველ სამ მატჩს ნიკოლოზ ცქიტიშვილი მხოლოდ სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს, ამჯერად თამაშის საშუალებაც მიეცა, თუმცა სულ ერთი წუთი დაყო მოედანზე და ბურთიც კი არ მიუღია.

ამრიგად, სერიაში ანგარიში გათანაბრდა. თუ აღმოსავლეთ კონფერენციაში გამარჯვებულის ვინაობა თითქმის უკვე გაირკვა („მაიამი“ 3:1-ს იგებს), დასავლეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა და გამორიცხული არაა, გამარჯვებულის გამოსავლენად შვიდივე მატჩის გამართვა გახდეს საჭირო.




ცქიტიშვილი რაჯა ბელს ულოცავს გამარჯვებას.

# "თბილისური გაზაფხული"

გაცნობებთ, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან და მათთან გათანაბრებულ ორგანიზაციებთან მუშაობის სამსახური "დიპლომატი" აწყობს მორიგ ტურნირს მინი-ფეხბურთში "თბილისური ზაფხული-2006". ტურნირი ტრადიციულია და 1997 წლიდან იმართება.

ტურნირში მონაწილეობას იღებენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და მათთან გათანაბრებული საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან დაკომპლექტებული გუნდები.

წლევანდელ ტურნირში მონაწილეობას იღებს: დიდი ბრიტანეთის საელჩო, იტალიის საელჩო, საფრანგეთის საელჩო, რუსეთის საელჩო, ისრაელის საელჩო, თურქეთის საელჩო, უკრაინის საელჩო და ს.ს.ი.პ. "დიპლომატი".

ტურნირი სტარტს აიღებს 1 ივნისს 19-00 საათზე.

(ტურნირი გაიხსნება უკრაინისა და რუსეთის საელჩოების შეხვედრით).

ტურნირის სპონსორები არიან შემდეგი კომპანიები: "იამაჰა", "კასტელი", "თელიანი ველი" და "ბორჯომი"

თამაშები გაიმართება ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ღია სტადიონზე (ირაო).

*დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:*
*ს.ს.ი.პ. "დიპლომატი"*
*მის: დ. აღმაშენებლის გამზ.N61*
*ტელ: 98-40-79; 899-94-20-27.*
*საკონტაქტო პირი:*
*გიგი გიგინეიშვილი*

ტურნირი "თბილისური გაზაფხული" - 2006"-ის გათამაშების ცხრილი

GROUP - A

| N | | 1 | 2 | 3 | 4 | ქულა | გოლები | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსეთის საელჩო | | | | | | | |
| 2 | უკრაინის საელჩო | | | | | | | |
| 3 | ისრაელის საელჩო | | | | | | | |
| 4 | საფრანგეთის საელჩო | | | | | | | |

GROUP - B

| N | | 1 | 2 | 3 | 4 | ქულა | გოლები | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იტალიის საელჩო | | | | | | | |
| 2 | სამსახური დიპლომატი" | | | | | | | |
| 3 | თურქეთის საელჩო | | | | | | | |
| 4 | დიდი ბრიტანეთის საელჩო | | | | | | | |

## ინფოთეკა

### ბონერა 4 მილიონი ფუნტი ღირს

მილანის „ინტერმა“ მოლაპარაკებები წამოიწყო „პარმას“ ხელმძღვანელობასთან იტალიის ნაკრების მცველის დანიელ ბონერას თაობაზე. ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად მილანური კლუბის წარმომადგენლები მარკო ბნაკა და ლელე ორიალი „პარმას“ სპორტულ დირექტორს გაბრიელე ძამაგნას შეხვდნენ.

ბონერა, რომელიც „სკუადრა აძურასთან“ ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე სათამაშოდ ემზადება, ერთნაირად კარგად თამაშობს როგორც მარჯვენა მცველის პოზიციაზე, ისე დაცვის ცენტრშიც.

იტალიელი მცველის სავარაუდო სატრანსფერო თანხად 4 მილიონი ფუნტი სტერლინგი სახელდება.

### ლე რუა „მარსელში“?

ფრანგულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საფეხბურთო კლუბ „მარსელის“ მწვრთნელის პოსტს, სავარაუდოდ, კლოდ ლე რუა დაიკავებს.

„ცხადია, ძალზე სასიამოვნოა, როცა შენით ასეთი დონის კლუბი ინტერესდება. მაგრამ მე მწვრთნელობის ერთადერთი კანდიდატი არ ვარ“, - განაცხადა ლე რუამ.

კლოდ ლე რუას გარდა, „მარსელის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე რენე ჟერარი, ჟან ტიგანა და ჟერნო რორი სახელდებიან.

### ერიქსონი: უოლკოტი ანრის ასლია

გაზეთ „სანის“ ცნობით, თეო უოლკოტი, რომელის დებიუტიც ინგლისის ნაკრებში უნგრეთთან ამხანაგურ მატჩში შედგა, ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელის სახელით შევიდა. მოედანზე გასვლისას ინგლისელი ფეხბურთელი 17 წლისა და 75 დღის გახლდათ. მანამდე ყველაზე ახალგაზრდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი უეინ რუნი იყო. „ვფიქრობ, თეოსადმი ნდობა ვარჯიშიდან ვარჯიშამდე და თამაშიდან თამაშამდე მატულობს. მან დაამტკიცა, რომ თავისი განუმეორებელი სიჩქარით ჩვენთვის საჭირო მოთამაშეა. თეო ტიერი ანრის პატარა ასლია და ვიმედოვნებ, რომ მომავალში ფრანგის კალიბრის მოთამაშედ ჩამოყალიბდება“, - განაცხადა ინგლისელთა თავკაცმა სვენ-გორან ერიქსონმა.

### „ფიორენტინას“ სპორტული დირექტორი დისკვალიფიცირებულია

ფლორენციის „ფიორენტინას“ სპორტულ დირექტორ პანტელეო კორვინოს დისციპლინარულმა კომისიამ 6-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. იტალიური პრესის ცნობით, „ლეჩეს“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობისას კორვინომ, გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მომუშავე ანტონიო ლილოსთან ერთად, კლუბში 14 წლის სამი ფეხბურთელი აიყვანა, რაც იტალიური კანონებით დაუშვებელია.

### პეროტამ მხარი დაიზიანა

იტალიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი სიმონე პეროტა ნაკრებთან ერთად კოვერჩანოს ბაზაზე ვარჯიშისას დაშავდა. ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, მხრის ტრავმის გამო იტალიელი ფეხბურთელი შესაძლოა რამდენიმე დღით გამოეთიშოს ნაკრებს.

### „ნიუკასლი“ ჰუტისთვის ბრძოლაში ჩაერთო

ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედი“ ლონდონის „ჩელსის“ გერმანელი მცველით რობერტ ჰუტით დაინტერესდა. ფეხბურთელზე მოთხოვნილება მას შემდეგ გაიზარდა, რაც ჰუტმა განაცხადა, რომ „ჩელსიში“ თამაშით უკმაყოფილოა და ახალ კლუბს ეძებს.

გერმანიის ნაკრების მცველით პრემიერლიგის სხვა კლუბებიც („ევერტონი“, „მიდლსბრო“, „უიგანი“) არიან დაინტერესებულნი.

### ფერგიუსონი ვიეირას თავისთან უხმობს

კვლავაც გაურკვეველია, დარჩება თუ არა ტურინის „იუვენტუსი“ სერია ა-ში. თუ ისე მოხდა, რომ გუნდი სერია ბ-ში დაქვეითდა, კლუბს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დატოვებს, მათ შორის პატრიკ ვიეირა, რომელიც „ბებერ ქალბატონში“ სულ ერთი წლის წინ გადაბარგდა. ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზად არის ახლავე შეიძინოს ფრანგი ფეხბურთელი. მით უმეტეს, რომ ინგლისელთა დამრიგებელი სერ ალექს ფერგიუსონი ვიეირას დიდი თაყვანისმცემელია და მანამდე არაერთხელ ცდილობდა მის „ოლდ ტრაფორდზე“ გადაბირებას.

# განცხადება ტენდერის შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"**

1. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, მდებარე ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის ქ. N15ა, აცხადებს ღია ტენდერს საკარანტინო და საშიში მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების უზრუნველსაყოფად შესაბამისი მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

გასაწევი მომსახურება მოიცავს საქართველოის ტერიტორიაზე საშიში მავნე ორგანიზმების კერების (მათი აღმოჩენის შემთხვევაში) დამუშავებას შემასხურებელი ტექნიკით. დასამუშავებელი ფართობი შეადგენს 8000 ჰექტარს.

2. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადაა 2006 წლის ივნისი - აგვისტოს თვეები.

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 18 ივნისიდან 21 ივნისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის ქ. N15ა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზირები);

ბ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (იურიდიული პირების შემთხვევაში);

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეალიბიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;

ვ) ინფორმაცია მათ ხელთ არსებული შემასხურებელი ტექნიკის შესახებ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაცია და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 2006 წლის 1 ივნისიდან 18 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის ქ.N15ა.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების სატანდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ანგ N200122900, სახაზინო 302003000.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ.თბილისი, მ.თამარაშვილის ქ.N15ა. ზურაბ ლიპარტია.

**სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატანდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"**

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური" აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების (ჯილეხი, ცოფი, თურქული) საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის, ტუბერკულინიზაციის ჩატარებაზე და ბრუცელოზზე გამოსაკვლევად სისხლის აღებაზე.*

ზემოთ აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს ლოტებად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად 10 ქალაქსა და რაიონში.

| ქალაქები და რაიონები | სულ ასაცრელი და გამოსაკვლევი სულადობის რაოდენობა | მათ შორის | | | ტუბერკულინიზაცია | ბრუცელოზზე გამოსაკვლევად სისხლის აღება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჯილეხი | თურქული | ცოფი | | |
| 1.საგარეჯო | 488610 | 242704 | 235906 | 5000 | - | 5000 |
| 2.თიანეთი | 24702 | 17302 | - | 2000 | - | 5400 |
| 3.ყაზბეგი | 61504 | 58654 | - | 400 | - | 2450 |
| 4.ამბროლაური | 31290 | 22790 | - | 2000 | - | 6500 |
| 5.ონი | 17474 | 13074 | - | 1200 | - | 3200 |
| 6.ცაგერი | 38722 | 30222 | - | 2000 | - | 6500 |
| 7.ლენტეხი | 29262 | 23262 | - | 400 | - | 5600 |
| 8.სენაკი | 73352 | 56452 | - | 3400 | - | 13500 |
| 9.მესტია | 59598 | 45098 | - | 600 | - | 13900 |
| 10.ქ.ფოთი | 8478 | 5078 | - | 3000 | - | 400 |

ლოტების მიხედვით შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული. პრეტენდენტს უფლება აქვს შემოიტანოს სატენდერო წინადადება ერთ ან რამდენიმე ლოტზე. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

მომსახურება უნდა განხორციელდეს 2006 წლის 1 დეკემბრამდე.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2006 წლის 1 ივნისიდან 18 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილი ქ.N15ა. III სართული. ტელ: 397069.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი: 302003000, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური".

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 18 ივნისიდან 21 ივნისის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილი ქ.N15ა. III სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 21 ივნისს 15.00 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.
5. ცნობას იმის შესახებ, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს შესაბამისი განათლება (დიპლომის ასლი)
6. ინფორმაციას მომსახურების გაწევის პროცესში მონაწილე პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.
7. მომსახურების პროცესში დასაშვებია სუბკონტრაქტორების მონაწილეობაც, რომლებზეც ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს განცხადებით მოთხოვნილი შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

თუ პრეტენდენტი განცხადებით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აღმოჩნდება ყალბი, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ბატონ ზურაბ ლიპარტიას. საკონტაქტო ტელეფონები: 39-70-69, 8 99 90-42-17.

## სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ორგტექნიკის შესყიდვის ტენდერის შედეგები

| N | გამარჯვებული ორგანიზაციის დასახელება | I ლოტი | II ლოტი | III ლოტი | IV ლოტი | V ლოტი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს ,,ალგორითმი" | კომპიუტერი 50 ც. - 55000,00 ლარი | უწყვეტი კვების წყარო 50 ც. - 4300,00 ლარი | - | კოპირების აპარატი 1 ც. - 13360,00 ლარი | - | 72660,00 |
| 2 | შპს ,,ორიენტ ლოჯიკი" | - | - | Pპრინტერი 30 ც. - 7871,10 ლარი | - | ფაქსი 4 ც. - 1350,44 ლარი | 9221,54 |

## ს.ს. "პროკრედიტბანკი" აცხადებს ტენდერს ბანკის საფოსტო მომსახურებით უზრუნველყოფაზე

ჩვენი მოთხოვნებია:

1. ხელსაყრელი ტარიფები სხვადასხვა ქვეყნებზე (განსაკუთრებით გერმანიასა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებზე);
2. გზავნილების ადრესატისთვის პირადად გადაცემა და დროული ჩაბარება;
3. ბანკის განსაკუთრებული გზავნილების ხელმოწერით დადასტურება.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზებები დალუქული კონვერტით მისამართზე:
ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"
სათაო ოფისი
ადმინისტრაციული განყოფილება
დ. აღმაშენებლის 154.
თბილისი
ტელ: 202222

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 15 ივნისი

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

**(ქ. თბილისი ჭანტურიას ქ N 12) აცხადებს ტენდერს შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე ორ ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს**

**შესყიდვის ობიექტი - სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში (ჭანტურიას ქ. N12).**

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

| ლოტი | დასახელება |
|---|---|
| 1 | ადმინისტრაციული შენობის შიდა და გარე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები |
| 2 | ადმინისრტაციული შენობის X სართულზე არსებული ტერასის კეთილმოწყობა |
| | |

**დეტალური ინფორმაცია განსახორციელებელ სამუშაოებზე მოყვანილია სატენდერო დოკუმენტაციაში.**

სამშენებლო სამუშაოს შესრულება უნდა დაიწყოს გამარჯვებულ პრეტენდენტთან (ან პრეტენდენტებთან) ხელშეკრულების დადებიდან 1 კვირის განმავლობაში.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი 2006 წლის 20 ივნისს, 13.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. N12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი.

წარმოდგენილი პაკეტების გახსნა მოხდება 2006 წლის 20 ივნისს 13.00 საათზე, საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. N12, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს VI სართულზე, კომისიის თავმჯდომარის ოთახში.

დაგვიანებით შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს და სატენდერო წინადადებას სატენდერო კომისია არ განიხილავს.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

*იურიდიულ პირთათვის:*

- მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობები სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან).
- მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელობის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს.

*ფიზიკურ პირთათვის:*

- უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის. (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან)
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

*დამატებითი მოთხოვნები:*

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა)
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან)
- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა შესახებ.
- ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მოცულობა (ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლები).
- პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაცია.

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია

დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის მიღებამდე უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ ანგარიშზე:

***მიმღები:*** ხაზინის ერთიანი ანგარიში-საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო-91. ანგ.N200122900 საიდენტიფიკაციო კოდი 203840433 მიმღები ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107 სახაზინო კოდი 302003000.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. N12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ( 999744 მზია კალანდაძე***

სატენდერო კომისია

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 09.03.07**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ქედის რაიონის, სოფელ ცხმორისის სკოლის სპორტდარბაზის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ქედის რაიონის, სოფელ ცხმორისის სკოლის სპორტდარბაზის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ქედის რაიონის, სოფელ ცხმორისის სათემო კავშირთან "მნათობი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ქედის რაიონის, სოფელ ცხმორისის სათემო კავშირი "მნათობი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 1 ივნისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 500 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 29 ივნისს 14:00** - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 29 ივნისს 14:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 06.02.23.**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**საჩხერის რაიონის სოფ. მერჯევის წყალსადენის რეკონსტრუქცია**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **საჩხერის რაიონის, მერჯევის საკრებულოს, სოფელ მერჯევის წყალსადენის რეკონსტრუქცია.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება მერჯევის საკრებულოს სათემო კავშირი ""მერჯევი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, მერჯევის საკრებულოს სათემო კავშირი "მერჯევი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 1 ივნისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 29 ივნისს** 17:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 29 ივნისს** 17:00 საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 09.02.26**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ძაბლავეთის სკოლის მშენებლობა**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ძაბლავეთის სკოლის მშენებლობა.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ხელვაჩაურის რაიონის, სოფელ ძაბლავეთის სათემო კავშირთან "ღრემი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ქედის რაიონის, სოფელ ძაბლავეთის სათემო კავშირი "ღრემი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**შაკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 1 ივნისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**შაკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 500 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 29 ივნისს 15:00**-მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 29 ივნისს 15:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 06.12.16.**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ხონის რაიონის, სოფელ ნახახულევის საშ. სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ხონის რაიონის, სოფელ ნახახულევის საშ. სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ნახახულევის საკრებულოს სათემო კავშირი "ფესვები", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ნახახულევის საკრებულოს სათემო კავშირი "ფესვები", იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ 2006 წლის 1 ივნისიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

**საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 200 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 29 ივნისს** 11:00 - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.**

